# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 30 აგვისტო, 2006 წელი.

№ 167 (5508)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.




ნუ გავყიდით, მოვუაროთ საქართველოს!

## ბაბუ, ამ ხალხს რატომ არ რცხვენია? 7





## რას ექასიან ჭკვიანს დუშეთში? 2

აიეტი, ფარტაზი და... სააკაშვილი

ფიცი მწამს, ბოლო არ გამაკვირვებს

ასეთები გვყავს?

## არჩევნების გადმოტანით ოპოზიცია შოკში ჩააგდეს

3 გვ.

## ქვიშაზე დასხმული წყალივით

8 გვ.

## როგორ დავიცვათ ბავშვი ტეტანუსისგან

5 გვ.

## ფული და სექსი...

14 გვ.

## უწყლოდ გავერანდება




## ვეტერანების დაცინვა, კანონის უგულებელყოფა და სირაქლემას პოზიცია 5

## სომხეთს ჯიჰადით ემუქრებიან 10



◉ პრეზიდენტი

# რას ეძახიან ჭკვიანს დუშეთში?

## აიეტი, ფარტაზი და... სააკაშვილი

**გასულ კვირას სამი დღე უქმე კი იყო, მაგრამ ეს უიქენდი საქართველოში პოლიტიკურად მაინც დაიტვირთა.**

ჩვენს ქვეყანას მეზობელი არა, მაგრამ მეგობარი ამერიკის შეერთებული შტატებიდან სენატორთა დელეგაცია ეწვია, რომელსაც ჯორჯ ბუშისა და კონდოლიზა რაისის შემდეგ შტატებში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და გავლენიანი პოლიტპერსონა ჯონ მაკკეინი მეთაურობდა.

იანკმა სტუმრებმა საქართველოს რამდენიმე რეგიონი თვით მიხეილ სააკაშვილის მეგზურობით მოიარეს.



განსაკუთრებით ზარზეიმიანი იყო ამერიკელ სენატორთა თანდასწრებით მცხეთაში სასამართლოს ახალი შენობის გახსნა, სადაც თბილისის, ბათუმისა და ბორჯომის პრეზიდენტი სააკაშვილი კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი გამოსვლით გამოირჩა.

მან ქება და დიდება მიუძღვნა სასამართლოს რეფორმას, რომელმაც სანდრო გირგვლიანის მკვლელობის შემკვეთები დაუსჯელნი დატოვა, სამაგიეროდ 14 წლის მოზარდს 10 წლით თავისუფლება აღუკვეთა, უნივერსიტეტის პროფესორები წვრილმანი ხულიგნობისთვის დააჯარიმა, თანასწორობის ინსტიტუტის წევრები კი ლექსის ხმამაღლა წაკითხვისთვის ერთი თვით გისოსებში გამოამწყვდია და კიდევ ვინ იცის, რამდენი უსამართლობა ჩაიდინა და რამდენსაც აწი ჩაიდენს.

ამ საქმის მცირერიცხოვან მხარდამჭერთა რიგში მოიხსენია სააკაშვილმა სენატორი მაკკეინიც და სასამართლოს „წარმატებულ რეფორმირებაში“ გიგა ბოკერიას ლომის წილსაც გუსვა ხაზი.

ქართველი ხალხი შესანიშნავად ხედავს და ყოველდღე თავის თავზე ცდის რაოდენ წარმატებულიც არის სასამართლო რეფორმა, რომელიც დავით სულაქველიძის, მერაბ ტურავას, ნინო გვენეტაძის დარ პროფესიონალ მოსამართლეებს დისციპლინურად დევნის და სისტემიდან იკვეთავს, სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმის, ანუ ქართველი ერის ღირსების, ჩვენი მომავალი თაობის სვე-ბედის განსჯას კი გიორგი ჩემიას ანდობს.

სააკაშვილის აღნიშვნით, ეს ბოკერიას დამსახურებაც ყოფილა, თუმცა არა მგონია, ვინმეს დავიწყებოდა, რომ თავის დროზე სრულიად ახალგაზრდა მიხეილი აშშ-დან ედუარდ შევარდნაძემ საგანგებოდ სასამართლო რეფორმის გასატარებლად ჩამოიყვანა.

მიშამაც „ბაბუს“ იმედები არ გაუმტყუნა და ბოკერიასთან ერთად შექმნა ის სასამართლო, დღეს რომ გვაქვს.

სააკაშვილმა სიამაყით აღნიშნა, სწორედ ჩვენეული რეფორმების შედეგია, მოსამართლეებს ხელფასები 100 პროცენტით რომ გავუზარდეთო.

მართლაც საამაყო და მისასალმებელი იქნებოდა, ხელისუფლებას ამაში სასამართლო სისტემის გაჯანსაღებისა და იქ წლობით გამეფებული კორუფციის აღმოფხვრის განზრახვა, რომ ჩაედო, მაგრამ მალევე გამოჩნდა რომ მოსამართლეებისთვის მაღალი ხელფასების დანიშვნა ამ ყველაფრის ოდენ შირმა იყო და ქვეყნის მესაჭეთა მზაკვრულ მიზანს ემსახურებოდა.

ანუ, ხელფასების გაორმაგებით მოსამართლეები ყურებით დაიჭირეს და „ვილაცის“ უჩინარმა ენამ ისინი თავიდანვე მკაცრად გააფრთხილა: ამხელა ხელფასებს იმისთვის გინიშნავთ, ყველა ჩვენი დავალება და დირექტივა უსიტყვოდ შეასრულოთ, თუ ასე არ მოიქცევით, სამსახურსაც დაკარგავთ და მაღალ ხელფასებსაცო.

ეს ხრიკი შესანიშნავად მუშაობს. ხელისუფლებამ სასამართლო ჯიბეში ჩაისვა და მორჩილ მოსამართლეებს იმას აკეთებინებს, რასაც უნდა. კაი დედის შვილები იქნებიან და ხმას ამოიღებენ, ხელფასის დაკარგვას ვინ ჩივის, შესაძლოა საერთოდ მოსამართლეობის უფლება ჩამოართვან და შიმშილით სიკვდილისთვის გაწირონ.

ესეც, სააკაშვილისა და ბოკერიას „წარმატებული სასამართლო რეფორმა“.

განსაკუთრებით მხიარული იყო ბატონ მიხეილ სააკაშვილის გამოსვლის ბოლო ნაწილი, როცა მან საკუთარ ინტუიციასა და ამერიკული პრესის ვარაუდებზე დაყრდნობით, სენატორ მაკკეინს ამერიკის პრეზიდენტობა უწინასწარმეტყველა.

მიხეილმა გული არც მაკკეინის თანმხლებ სხვა სენატორებს დაწყვიტა და დაამატა: ასევე, გამორიცხული არ არის ამ სენატორთა სახით ჩვენ ამერიკის რამდენიმე მომდევნო პრეზიდენტს ვმასპინძლობთო.

— ასეა, საქართველო არის პრეზიდენტების სამჭედლო და სამშობლო, — დაასკვნა ბოლოს სააკაშვილმა.

თქვენი არ ვიცი და ამ ორი ახალი ამბის გამგონეს პირი ღიად დამრჩა.

როდის მერე გახდა საქართველო მაკკეინისა თუ სხვა ამერიკელი სენატორების სამჭედლო და მით უმეტეს სამშობლო?

ამ კითხვაზე პასუხს ახლაც ვეძებ და თუ ვინმემ იცით, რედაქციაში გელოდებით.

ან რომელ პრეზიდენტს გულისხმობდა, როცა ჩვენს ქვეყანას „პრეზიდენტების სამჭედლო“ უწოდა?

თუ — თავის თავს, მაშინ უნდა შევახსენოთ, რომ იგი საქართველოში კი არა, შორეულ ამერიკაში, ბიძია სოროსის ფულებით „გამოჭედილი“ პრეზიდენტია.

არა მგონია, შევარდნაძე ეგულისხმა, რადგანაც არც ედუარდ ამბროსის ძე „გამოუჭედია“ საქართველოს. იგი ჯერ ცეკას მდივნად, პოლიტბიუროს წევრად კრემლმა, პრეზიდენტად კი ჯაბა იოსელიანმა და თენგიზ კიტოვანმა „გამოჭედეს“.

საქართველოსა და ქართველი ხალხის მიერ „გამოჭედილი“ პრეზიდენტი კი სამარცხვინოდ დაამხეს და მოკლეს რენეგატმა ქართველებმა.

იქნებ სააკაშვილი იმ პრეზიდენტს გულისხმობდა, რომელიც ბოლოს და ბოლოს მართლა საქართველოში, ქართველი ხალხის წიაღში უნდა გამოიჭედოს?

არ ვიცი!

სამაგიეროდ ვიცი ის, რომ ბათუმის ცირკში მოყოლილი ზღაპრის შემდეგ ისტორიაში სააკაშვილის ანგარიშზე კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი გამოსვლა შევა.

მოგეხსენებათ, ჩვენი მატიანე დღემდე ინახავს ორი ქართველი მამულიშვილის — აიეტისა და ფარტაზის გამოსვლებს, როგორც სიბრძნისა და მჭევრმეტყველების შესანიშნავ ნიმუშებს.

ისტორია სააკაშვილის გამოსვლებსაც უეჭველად შეინახავს, როგორც... როგორც... როგორც როგორს?

ამას თავად ისტორია გადაწყვეტს.



## ფიცი მწამს, ბოლო არ გამაკვირვებს

**სტუმრიანობის მიუხედავად, მიხეილ სააკაშვილმა მასპინძლებისთვისაც მოიცალა და მარიამობის დღესასწაული ოპოზიციას ისე მიულოცა, უკეთესს რომ ვერ ინატრებდნენ.**

მან დეკემბრისთვის დანიშნული თვითმმართველობის არჩევნების თარიღი 5 ოქტომბრამდე გადმოსწია და ოპოზიციურ პარტიებს წინასაარჩევნო მოსამზადებელი პერიოდი თითქმის 4 თვიდან 35 დღემდე შეუმცირა.

ამის გამო, რესპუბლიკელი დავით უსუფაშვილისა არ იყოს, ოპოზიცია უმკაცრეს ცაიტნოტში აღმოჩნდა.

როცა სააკაშვილი მაკკეინთან ერთად უშგულში სვანური ფერხულის ცეკვას ცდილობდა, ოპოზიციონერი პოლიტიკოსები სარეგისტრაციო საბუთების შესაგროვებლად მარიამობის უქმე დღეს თავქუდმოგლეჯილი დარბოდნენ.

მართალია მათ რეგისტრაციის გავლა მოასწრეს, მაგრამ ვერანაირად ვერ მოასწრებენ მთლიანი საქართველოს მასშტაბით საარჩევნო კომისიის წევრთა დანიშვნას. შეუვსებელ ადგილებს კი ბუნებრივია, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები დაიკავებენ.

ხელისუფლებამ ოპოზიციას სრულიად მოულოდნელად გადამწყვეტი გოლი გაუტანა. ამას თვით ოპოზიციონერებიც შესანიშნავად ხვდებიან და აღიარებენ, რომ პრეზიდენტის ამ გადაწყვეტილებით მათ არჩევნებში გამარჯვების ყველა შანსი მოესპოთ, თუმცა გასაკვირად, მათ მხარი არ აუბეს ლეიბორისტთა ლიდერის მოწოდებას არჩევნების ბოიკოტირების შესახებ და ფორსმაჟორულ სიტუაციაში რეგისტრაცია კისრისტეხით გაიარეს.

უნდა ითქვას, რომ ოპოზიციის ამგვარი საქციელი ძალიან უცნაურია. თუ მათ იციან, რომ არჩევნებში გამარჯვების შანსი არა აქვთ, რატომ იღებენ მასში მონაწილეობას? რატომ აძლევენ ხელისუფლებას ტრაბახის საშუალებას დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნები ჩავატარეთო. რატომ არ აყენებენ მსოფლიოს იმ ფაქტის წინაშე, რომ საქართველოში, რომლის ხელისუფლებაც დემოკრატიის ეტალონობას იკვეხნის, დიქტატორული რეჟიმის დარად, ერთპარტიული არჩევნები ტარდება?

მართლაც გაუგებარია.

იქნებ ოპოზიციას რაიმე ისეთი ტრიუკი აქვს მოფიქრებული, რომელსაც ჩვენი, უბრალო მოკვდავთა გონება და ინტუიცია ვერ სწვდება.

აქვთ კი ამის თავი?

ისე, ამ გადაწყვეტილებით ხელისუფლებამ დაამტკიცა, რომ მას საკმაოდ ეშინია თვით ამ ოპოზიციისაც კი, რომელსაც წარამარა სუსტსა და უსუსურს უწოდებს.

## ასეთები გვყავს?

**ღმერთო შეგცოდე და კაცის ენა რას არ იტყვის. მით უმეტეს, თუ ამ ენის პატრონი შალვა ნათელაშვილია.**

არჩევნების 5 ოქტომბერს დანიშვნით გაწიწმატებულმა ლეიბორისტთა ლიდერმა სააკაშვილს „აბდალა პრეზიდენტი“ უწოდა.

ამის გაგონებაზე უმალვე საკუთარ თავს მოვუწოდე, არასდროს თქვა შენი ქვეყნის პრეზიდენტზე ასეთი რამ, თუნდაც ასეთი იყოს და სათქმელი ენის წვერზე გადგესო.

არა, არა, მაგას ჩემს თავს არ ვაკადრებ, რომ მეკადრებინა, აქამდე ხომ ცხრაჯერ ვიტყოდიო, დამამშვიდა შინაგანმა ხმამ და მერე ერთი ძველი ანეკდოტიც გამახსენდა, გურულს რომ ეკითხებიან, თქვენთან სულელს რა ჰქვიაო. აბდალიო, — უპასუხებს გურული. ჭკვიანსო? — ისევ ეკითხებიან. მასეთები არ გვყავსო, — ეუბნება გურული.

ჩვენ გვყავს?

რას ეძახიან ჭკვიანს დუშეთში, ბატონო შალვა?

**ჯაბა ხუბუა**

◉ ინფორმაცია

## მიხეილ სააკაშვილმა სენატორი მაკკეინი წმინდა გიორგის ორდენით დააჯილდოვა



**საქართველოში ვიზიტით მყოფი სენატორი ჯონ მაკკეინი პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა წმინდა გიორგის ორდენით დააჯილდოვა.**

აღსანიშნავია, რომ მიხეილ სააკაშვილმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ამავე ორდენით დააჯილდოვა. ამერიკელ სენატორთა ჯგუფმა, რომელსაც ჯონ მაკკეინი ხელმძღვანელობდა, მოინახულა ბათუმი, უშგული, სენაკის ბატალიონი. თბილისში დაბრუნებულმა ამერიკელმა სტუმრებმა დედაქალაქი დაათვალიერეს. საქართველოს პრეზიდენტმა სენატორ მაკკეინს იუბილეც მიულოცა და საჩუქრად ქართული ხმალი გადასცა, როგორც მეგობრობის, სიძლიერისა და ერთად ყოფნის სიმბოლო.

**მედიანიუსი**

◉ ინფორმაცია

## ცესკო ღამეებს ათენებს!



**ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გუშინწინ, გვიან ღამით განახლებულ სხდომაზე ცესკომ განკარგულებით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსის დებულება დაამტკიცა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ცესკოს პრესსამსახურიდან აცნობეს.**

**მათივე განმარტებით, ამავე სხდომაზე საარჩევნო ადმინისტრაციამ 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებისათვის ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების (ქუთაისის, ფოთის, რუსთავისა და ბათუმის) ტერიტორიის განსაზღვრის შესახებ განკარგულება დაამტკიცა.**

**ინტერპრესნიუსი**

## ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების პერსპექტივებზე იმსჯელეს

**სოხუმში გაეროს ოფისის შტაბბინაში, გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში ჟან არნო, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მდგარი რუს სამშვიდობოთა სარდალს, გენერალ-მაიორ სერგეი ჩაბანს შეხვდა.**

**გენერალური მდივნის წარმომადგენელმა რუს გენერალთან ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პერსპექტივებზე იმსჯელეს.**

**მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოლაპარაკებათა ჩვეულ რიტმში დასაბრუნებლად აუცილებელია ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო საბჭოს მუშაობის განახლება.**

## რეფერენდუმის თარიღი ჯერჯერობით უცნობია



**ე.წ. სამხრეთ ოსეთი ნოემბერში რეფერენდუმის ჩატარებას აპირებს. ეს რეფერენდუმი დნესტრისპირეთში დაგეგმილი ამავე სახის აქციის ჩატარებიდან ორ თვეშია დაგეგმილი. ე.წ. სამხრეთ ოსეთელებს იმედი აქვთ, რომ რეფერენდუმის ჩატარებას მათი საერთაშორისო აღიარება და რუსეთთან გაერთიანება მოჰყვება.**

**ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის „სახელმწიფო“ კომიტეტის ხელმძღვანელის ირინა გაგლოევას თქმით, რეფერენდუმის ჩატარების თარიღი ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის და ამ საკითხის ირგვლივ კონსულტაციები მიმდინარეობს.**

**„რეფერენდუმი — ეს ხალხის ნების გამომხატველი უმაღლესი დემოკრატიული ფორმაა და მსოფლიოს არც ერთ სახელმწიფოს და საზოგადოებრივ ორგანიზაციას მისი შედეგების გაუქმება არ შეუძლია“, — ამბობს ედუარდ კოკოითის წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციაში დიმიტრი მედოევი.**

**XO-ЭИБ-ЭНИ**

ეკონომიკა

# ზურაბ ნოღაიდელი – მეღვინეობისა და მევენახეობის სექტორს რუსეთის მხრიდან აგრესია ემუქრება

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, დღეს საქართველოს მეღვინეობისა და მევენახეობის სექტორი რუსეთის მხრიდან აშკარა აგრესიის ქვეშაა. მისივე თქმით, ქართული მხარის მოქმედებები ადეკვატური უნდა იყოს და იქნება კიდეც.**



ეს განცხადება პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა გუშინ სასტუმრო „შერატონ მეტეხი-პალასში“ მეღვინეებთან შეხვედრისას გააკეთა.

პრემიერის თქმით, საქართველოს მთავრობა მობილიზებულია იმისთვის, რომ მიმდინარე წელს რთველმა წარმატებით ჩაიაროს. როგორც ნოღაიდელი აღნიშნავს, კახეთში რთველი დაახლოებით 10-15 დღეში დაიწყება და ეს პროცესი წარმატებით უნდა დასრულდეს.

„რთველის წარმატებით ჩატარება არის საწინდარი იმისა, რომ ამ სექტორში არსებული ბევრი პრობლემა მოგვარდეს“, – განაცხადა ნოღაიდელმა.

პრემიერ-მინისტრმა გუშინდელ შეხვედრაზე სოფლის მეურნეობის მინისტრ მიხეილ სვიმონიშვილს დაავალა, რომ რთველის პერიოდში ოფისი კახეთში გადაიტანოს და ამ პროცესს მეთვალყურეობა პირადად გაუწიოს.

„რთველის წარმატებით ჩატარების შემდეგ გავაგრძელებთ ქართული ღვინის პოზიციების განმტკიცებას სხვა ბაზრებზე“, - განაცხადა ნოღაიდელმა.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ 2006 წლის მარტის ბოლოს მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც რუსეთის ტერიტორიაზე ქართული ღვინის შეტანას კრძალავს, პოლიტიკური ხასიათისაა და მიმართულია იმისკენ, რომ საქართველოს მაკროეკონომიკური ზიანი მიადგეს. თუმცა, ნოღაიდელის განცხადებით, ეს გათვლები არასწორი აღმოჩნდა.

**ინტერპრესნიუსი**

ინფორმაცია

## გაზრდილი პენსიების გაცემა სექტემბერში დაიწყება

**1 სექტემბრიდან საქართველოს მასშტაბით პენსია 5 ლარით გაიზრდება. პარალელურად თბილისელი პენსიონერები სტაჟისა და ნამსახურობის მიხედვით გაზრდილ პენსიას მიიღებენ. თბილისის მერია ასაკობრივ პენსიონერებს – 19.195 მოქალაქეს ყოველთვიურ საპენსიო შემოსავალზე რამდენიმე ლარს დაუმატებს.**

**მას, ვისაც 5 წლამდე სტაჟი აქვს, 2-ლარიან დანამატს მიიღებს, 5-დან 15 წლამდე სტაჟის მქონეთ – 4 ლარს, 15-დან 25 წლამდე სტაჟის ზემოთ პენსია 10 ლარით გაიზრდება.**

**საპენსიო დანამატებისთვის საჭირო თანხას თბილისის მერიის ჯანდაცვის საქალაქო სამსახური აანაზღაურებს.**

**გაზრდილ პენსიებს პენსიონერები სექტემბრის თვიდან მიიღებენ.**

## ლეიბორისტული პარტია თავის გადაწყვეტილებას ხვალ გააჟღერებს

**31 აგვისტოს გახდება ცნობილი, ლეიბორისტული პარტია მიიღებს თუ არა მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, – განაცხადა ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა.**

**არჩევნების ბოიკოტირებას ლეიბორისტული პარტია ადრეც მხარს უჭერდა, თუმცა, შალვა ნათელაშვილის თქმით, მსოფლიო პრაქტიკით არჩევნების ბოიკოტირებას მაშინ აქვს აზრი, როდესაც ბოიკოტს მხარს უჭერს წამყვანი პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა.**



**ლეიბორისტული პარტიის უკმაყოფილება გამოიწვია საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებამ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების 5 ოქტომბრისთვის დანიშვნის თაობაზე.**

**შალვა ნათელაშვილის თქმით, ოპოზიციური პარტიების ინტერესები დაცული არ არის და დეკემბრისთვის ნავარაუდევი არჩევნების 5 ოქტომბრისთვის გადმოტანის მთავარი მიზანი საარჩევნო კომისიებში მათი წარმომადგენლების არდაშვება იყო.**

**მედიანიუსი**

აქტუალური თემა

# არჩევნების გადმოტანით ოპოზიცია შოკში ჩააგდეს

**დეკემბრისთვის გათვალისწინებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, 5 ოქტომბერს გაიმართება. ასეთი სიურპრიზით უკმაყოფილო ოპოზიცია აცხადებს, რომ ხელისუფლება ცაიტნოტის შექმნას ხელოვნურად ცდილობს, რათა ამით ისარგებლოს და საარჩევნო კომისიები საკუთარი კადრებით დააკომპლექტოს. მმართველი პარტია კი განმარტავს, რომ რაკი არჩევნებისთვის დეკემბრის პირველი რიცხვები ოპოზიციამ დაიწუნა, ხელისუფლებამ შემხვედრი ნაბიჯი გადადგა და 5 ოქტომბერზე შეჩერდა. „ჩვენთვის თარიღს არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მზად ვიყავით არჩევნები ნებისმიერ დროს ჩატარებულიყო. პოლიტიკური პარტიის დანიშნულებაც ის არის, რომ ის მუდმივად უნდა ემზადებოდეს არჩევნებისთვის და საამისოდ ნებისმიერ მომენტში მზად უნდა იყოს“, – აცხადებს საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი დავით კირკიტაძე.**

პარლამენტის პირველი სხდომა 12 სექტემბერს გაიმართება. 26 აგვისტოს მიღებული პრეზიდენტის განკარგულების თანახმად, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში კანდიდატების წარდგენის ვადა 11 სექტემბერს უნდა შეწყდეს. „ეს ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ არც მე და არც დავით ბერძენიშვილს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობისთვის თეორიული შანსიც კი არ გვქონდეს“, – მიაჩნია კობა დავითაშვილს. უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია აღნიშნავს, რომ ეს არის ყურით მოთრეული საბაბი. მისი თქმით, ბერძენიშვილს და დავითაშვილს მაქსიმალური ხელშეწყობა ექნებათ ხელისუფლებისგან, რომ მათ კენჭი იყარონ. გიგა ბოკერიას აზრით, ოპოზიციის შეშფოთება გამოწვეულია იმით, რომ დემოკრატიულ არჩევნებში გამარჯვების არანაირი შანსი მათ არა აქვთ.

ცენტრალური საარჩევნო კომისია მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადადის. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სექტემბრის პირველ სამშაბათს იხსნება სესია და პარლამენტი მუშაობას იწყებს. ცესკოს თავმჯდომარის გურამ ჩალაგაშვილის განმარტებით, შესაბამისად პარლამენტის ბიუროს სხდომაზე წარდგენილი განცხადება დეპუტატისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე, ცესკოსთვის სრულიად საკმარისი იურიდიული საფუძველი იქნება, რათა პარლამენტის არც ერთ წევრს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებში მონაწილეობაზე უარი არ ეთქვას.

თუკი ცენტრალური საარჩევნო კომისია ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს, რესპუბლიკელები აცხადებენ, რომ მას აუცილებლად გაასაჩივრებენ. „კანონი კი არა, საქართველოს კონსტიტუცია ამბობს, რა შემთხვევაში შეიძლება პარლამენტის წევრი აღარ იყოს პარლამენტის წევრი. ამას სჭირდება საქართველოს პარლამენტის მიერ პარლამენტის წევრებისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა, – აცხადებს თინა ხიდაშელი.

ოპოზიციური პარტიები ადგილობრივ არჩევნებზე საკუთარ კანდიდატებს კვირის ბოლოს დაასახელებენ, მანამდე კი დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრას გეგმავენ. მმართველი პარტია არჩევნებისთვის 500-ზე მეტ საერთაშორისო დამკვირვებელს ელოდება. უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ადგილობრივი არჩევნები გამჭვირვალე იქნება.

ცესკოში განცხადებები უკვე შეიტანეს რესპუბლიკელებმა, კონსერვატორებმა, მრეწველებმა და მერაბ კოსტავას საზოგადოებამ. ცენტრალური საარჩევნო კომისია ერთიანი საარჩევნო სიის გადამოწმებას უკვე შეუდგა. საამისოდ სპეციალურად შერჩეული ჯგუფის წევრები კარდაკარ შემოვლის პრინციპით, საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ოჯახს დაივლიან და ყოველი ამომრჩევლის პირადობის მოწმობაში მითითებულ მონაცემებს ამომრჩეველთა ერთიან სიაში არსებულ მონაცემებს შეადარებენ.

ქვეყნის მასშტაბით სულ 2784 სპეციალური ჯგუფი დაკომპლექტდა. თითოეული ჯგუფის შემადგენლობაში ცხრა წევრია, რომლებიც წარმოდგენილია შესაბამისი საოლქო საარჩევნო კანონის მიერ კონკურსის საფუძველზე არჩეული სამი წევრისა და სამი პოლიტიკური პარტიის – ნაციონალური მოძრაობა, საარჩევნო ბლოკი „მემარჯვენე ოპოზიციამრეწველები-ახლები“ და ლეიბორისტული პარტიის მიერ დანიშნული ორ-ორი წევრისაგან. ჯგუფის წევრებს საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერებმა, რომლებიც საარჩევნო კომისიის მიერ სასწავლო კონკურსის მეშვეობით შეარჩიეს, ტრენინგები ჩაუტარეს, თუ როგორ უნდა მოხდეს ერთიანი საარჩევნო სიის გადამოწმება.

აქედანვე ჩანს, რომ მათ თავსაყრელი საქმე ექნებათ!

**მზია გელენავა**

ოპოზიცია

# ჩალაგაშვილმა კონსტიტუციის უცოდინრობა გამოაშკარავეს

**რესპუბლიკური პარტიის წევრი თინა ხიდაშელი ცენტრალურ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს კონსტიტუციის არცოდნაში ადანაშაულებს და, შესაბამისად მის განცხადებას, თითქოს არჩევნებში რეგისტრაციისათვის საკმარისია პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება დეპუტატისთვის უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე, უკანონოს უწოდებს.**

ხიდაშელის განცხადებით, ერთადერთი ორგანო, რომელსაც დეპუტატისთვის უფლებამოსილების მოხსნა შეუძლია, საქართველოს პარლამენტია და არა ბიურო.

„თუ ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნება, მას სასამართლო გააუქმებს, ვინაიდან ის კონსტიტუციას ეწინააღმდეგება“, – განაცხადა ხიდაშელმა.

ცესკო-ს თავმჯდომარემ გუშინ გამართულ სხდომაზე უსაფუძვლო უწოდა ოპოზიციის ბრალდებებს იმის თაობაზე, რომ ხელისუფლებამ მათ მერის არჩევნებში მონაწილეობის თეორიული შანსებიც კი მოუსპო, რადგან არჩევნებში მონაწილეობისთვის საჭიროა დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტა, რაც 12 სექტემბერს პარლამენტის პირველ სხდომაზე არის შესაძლებელი, მაშინ როცა არჩევნებში კანდიდატების რეგისტრაციის ვადა 11 სექტემბერს იწურება.

**ჯი-ეიჩ-ენი.**

უყურე შენ!

# კვიციანი მშვიდად ზის და ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად ლუდს მიირთმევს

**კითხვაზე, თუ რაში სჭირდება საქართველოს ხელისუფლებას კაზაკების თემის წინ წამოწევა, დსთის ქვეყნების ინსტიტუტის ამიერკავკასიის განყოფილების გამგე მიხეილ ალექსანდროვი პასუხის გაცემას ცდილობს.**

მისი განმარტებით, ეს უპირველესად განპირობებულია იმით, რომ საქართველო უკვე კარგა ხანია საერთაშორისო საზოგადოების დარწმუნებას ცდილობს, რომ აფხაზეთში ბოევიკები რუსეთიდან გადმოდიან.

„ეს საქართველოს სტილია. მან კოდორის ხეობაში ჯარი შეიყვანა, რომლის იქიდან უკან გამოყვანას არც აპირებს. კოდორის მონიტორინგის ნებას კი მხოლოდ გაეროს რთავენ. სიმართლე კი არის ის, რომ საქართველოს ხელისუფლებას არ უნდა, რომ მსოფლიომ დაინახოს ის, თუ რეალურად რა ხდება დღეს კოდორის ხეობაში. კვიციანი კი (კოდორის მოვლენების ე.წ. ავტორიძ სრულიად მშვიდად ზის სადმე და ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად ლუდს მიირთმევს“, – ამბობს ალექსანდროვი და დარწმუნებულია, რომ კოდორის მოვლენები თბილისის მიერ იყო ინსპირირებული და ორგანიზებული.

ექსპერტი ალექსანდროვი, ასევე დარწმუნებულია, რომ ამჟამად კოდორის ხეობის ირგვლივ რთული დიპლომატიური მანევრირება მიმდინარეობს. მეტიც, რუსი მშვიდობისმყოფელების გაყვანის იდეა საქართველოს თავად დასავლეთმა მიაწოდა.

„დასავლეთი მოცხრეა კონფლიქტის ზონიდან რუსი მშვიდობისმყოფელების გასვლის. იგი მათი „სუამის“ ანტირუსული ჯარისკაცებით შეცვლას უჭერს მხარს. არადა, ალბათ ყველასათვის ნათელია, თუ ვის დაუჭერენ მხარს ეს ახალი სამშვიდობოები“, – ამბობს ალექსანდროვი და დასძენს, რომ ნურავის დაავიწყდება ის, რომ აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი საქართველოს ამ ახალ ინიციატივას მხარს არასოდეს დაუჭერენ და „რუსი სამშვიდობოები აფხაზეთის ტერიტორიაზე თბილისის ნებისმიერი გადაწყვეტილების მიუხედავად დარჩებიან“.

**ჯი-ეიჩ-ენი.**

ინფორმაცია

## რუსული სამხედრო ტექნიკის კიდევ ერთი პარტია მოვიშორეთ

**გუშინ წალკის ტერიტორია რუსული ტექნიკით დატვირთულმა კიდევ ერთმა სპეციალურმა მატარებელმა დატოვა.**

**ეშელონი ცამეტი ვაგონისგან შედგება, რომელიც აზერბაიჯანის ტერიტორიის გავლით რუსეთში სამხედრო ტექნიკას გადაზიდავს. მათ შორის: სამი ერთეული ქვემეხი, თერთმეტი ერთეული საზენიტო დანადგარი, ასევე რეაქტიული ჭურვები. სამხედრო ტექნიკა ერთი კვირის განმავლობაში ახალქალაქის რუსული სამხედრო ბაზიდან გამოჰქონდათ. მორიგი, რიგით უკვე მე-17 ეშელონი წალკიდან იმავე რეისის გავლით, 5 სექტემბერს გავა.**



## ეპიდემიამ იფეთქა

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის“ ინფორმაციით, გორის რაიონის სოფელ უფლისციხეში ეპიდემიამ იფეთქა.**

**უფლისციხის მაცხოვრებლების განმარტებით, მცირეწლოვანი ბავშვები ფეკალური მასებით დაბინძურებული წყლით იწამლებიან. დაავადებული ბავშვების ავადმყოფობა ყელის ტკივილით იწყება, რის შემდეგაც სხეულის ტემპერატურა მატულობს და მუცლის მწვავე ტკივილი ვითარდება.**

**— „უფლისციხეში მდებარე ათი კომუნალური საცხოვრებელი კორპუსის საკანალიზაციო სისტემა ამჟამად მწყობრიდან არის გამოსული. ფეკალური მასა მთლიანად ზედაპირზე ამოდის, რომლითაც ახლო მდებარე ბაღ-ვენახები და სასმელი წყლის ჭები ივსება. გარდა ამისა, პაპანაქება სიცხის და აორთქლებადობის მაღალი ხარისხის გამო, მძაფრი სუნი დგას. ფინანსების არქონის მიზეზით უფრლისციხეში კანალიზაციის სისტემა ამ დრომდე არ შეკეთებულა, — აცხადებენ ადამიანის უფლებათა საინფორმაციო სადოკუმენტაციო ცენტრში.**

**მათივე ინფორმაციით, სოფელ უფლისციხის შუაგულში განთავსებული თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ბაზის ნაგავი სოფელშივე იყრება, ხოლო ბაზის საკანალიზაციო სისტემიდან გამომდინარე წყლები სოფლის მაცხოვრებლების საცხოვრებელ სახლებში და ბაღებში შედის.**

**მედიანიუსი**

SOS: საქვეყნო პრობლემა

*საქართველოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, რომელმაც ათეული წლების განმავლობაში უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი დანიშნულების საშვილიშვილო ობიექტები ააგო (ოდენ „კოლხიდმშენის“, „წყალმშენის“, „ხიდმშენის“ „ალაზანმშენის“ გახსენება რად ღირს!), ჯერ დამოუკიდებელ დეპარტამენტად ჩამოაქვეითეს, ხოლო შემდეგ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაისროლეს და... დაფინანსება გაუმათხოვრეს!*

*რა დიდი აზრი და ტვინგარჯილობა იმას უნდა, რომ საქართველოს მზისა და მიწის პატრონ ქვეყანას მელიორაცია თითქმის ყველა მხარეში (კოლხეთშიც კი, ჭაობების დასაშრობად, სფერული კვლევების აღსადგენად, პაპანაქება სიცხეში ჭირნახულის გადასარჩენად) ჰაერივით სჭირდება!*

*ჰოდა, ტრადიციული, საუკუნეების განმავლობაში ასე ნალოლიავები მელიორაციის დარგის აღდგენა-რეაბილიტაციის სანაცვლოდ, დღევანდელმა ხელისუფლებამ ფრიად საარაკო-სასაცილო რამ მოიფიქრა: გაუქმდეს მელიორაციის დეპარტამენტი და მის ბაზაზე მიმდინარე წლის 1 დეკემბრიდან შეიქმნას 4 სხვადასხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელთა 100-პროცენტიანი წილის მფლობელი სახელმწიფო იქნება.*

*ეს ანტისახელმწიფოებრივი, ანტიეროვნული დადგენილება საქართველოს მთავრობამ უკვე მიიღო.*

*გაივლის ცოტა დრო და... „სახელმწიფო წილის“ შპს, დაუფინანსებლობის გამო, გაკოტრდება. მერე, სახელმწიფო ამ ოთხ შპს-ს ცალცალკე გაყიდის და კერძო პიროვნებებს გადასცემს ისედაც გაპარტახებული მელიორაციის სისტემების უძრავ-მოძრავ ქონებას.*

*მთავარია გავყიდოთ, ფული გავაკეთოთ — მიწათმოქმედთა ქვეყნის გეორგიას მელიორაციის ეროვნული პრობლემები ვიღას აინტერესებს — ისედაც ვიწვით, ხომ თვალნათლივ ვხედავთ, რა გვიქნა წლევანდელმა პაპანაქებამ...*

*მიხო სვიმონიშვილი კაბინეტიდან გვატყუებს, რომ კახეთში ვენახები ირწყვება!*

*ისემც ცხვირი დაგიმშვენდეთ!*

*დანარჩენს ერთი პატიოსანი, საქმის მცოდნე, ყოველმხრივ ღვაწლმოსილი მელიორატორის და პიროვნების წერილში ამოიკითხავთ.*

*სპარტაკ ქობულია*

# უწყლოდ გავერანდება მამული

**გვალვა სტიქიონია, ამ დროს უალოდ იწვის ქვეყნის მარჩენალი დედამიწა და როგორც ხანძრის დროს, აქაც მხოლოდ წყალს შეუძლია შველა — მაცოცხლებელ სარწყავ წყალს.**

საქართველოში გვალვა არც ისე იშვიათია (წლევანდელი კი ხანგრძლივობით გამონაკლისია, ანომალიური)... ამიტომაც, უხსოვარი დროიდან ამიერ-იმიერ მთა-ბარი არხებით არის დაღარული და აქ სარწყავი მიწათმოქმედებაც მაღალ დონეზე იყო განვითარებული.

ჩვენში წყალთა მეურნეობის საქმიანობას და წყალდიდობისაგან სოფლების დაცვას ყოველთვის სახელმწიფო სტრუქტურები განაგებდა. დღეს, ოცდამეერთე საუკუნეშიც ასეა თითქმის ყველგან, სადაც ჰიდრომელიორაცია აუცილებელია. სუბსიდიების სახით მთავრობა ხელს უწყობს ჰიდრომელიორაციის განვითარებას, რომ ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ფერმერულ მეურნეობებს, სიღარიბეში მყოფ გლეხობას შეუმსუბუქოს მორწყვაზე და დრენაჟზე გაწეული ხარჯები. ასეთი მაგალითის მოსატანად შორს წასვლა არ დაგვჭირდება. აგერ მეზობელ სომხეთში წყლის მექანიკურად მიწოდებისთვის გახარჯული ელექტროენერგიის ღირებულებას სახელმწიფო იხდის, ამით მიწოდებული წყლის საფასური სამჯერ და მეტად მცირდება. ყოფილ საბჭოურ რესპუბლიკებში ჰიდრომელიორაცია (ირიგაცია და დრენაჟი) სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულ დარგად აქვთ აღიარებული და მის განვითარებაზე სახელმწიფო ზრუნავს.

**ვინ და რანი ვართ ჩვენ, ქართველები: იმისთვის, რომ თავი გამოვიჩინოთ დავალებების შესრულებაში — ერთი ხელის მოსმით ჰიდრომელიორაციის აწყობილი დარგი თავის არხებიანად, წყალსაცავებიანად და სატუმბი სადგურებიანად გვერდზე მოვისროლეთ და ახლად გამოჩეკილ, უუნარო შპს-ებს უნდა მივაჩეჩოთ! ცენტრალური მაკოორდინებელი ორგანო — სამელიორაციო სისტემიის მართვის დეპარტამენტი გაუქმებულია და მისი ფუნქციები, ალბათ, რეგიონულ ორგანოებს გადაეცემა** (თუ ასეთი შესაფერისი იქნება)!



რეფორმები და სტრუქტურული ცვლილებები ახალი წყობილების დროს კი არა, ისედაც საჭიროა, თუ ამას ვითარება მოითხოვს, მაგრამ რეფორმა თვითმიზანი არ უნდა იყოს. რეფორმის წარმატებით განხორციელება დიდ, წინდახედულ გაანალიზებას საჭიროებს. ამისთვის არის სწორედ ანდაზა: ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერიო. ახალგაზრდა რეფორმატორებმა ზურგი შეაქციეს ბრძნულ რჩევას.

საბჭოთა ხელისუფლების დროს ასეული მილიონები დაიხარჯა წყალთა მეურნეობის ობიექტების მშენებლობაზე. ხალხის კუთვნილებაა უნიკალური სარწყავი სისტემები, წყალსაცავები და დამშრობი სისტემები. რა გაუჭირდა მილიარდების მქონე სახელმწიფო ბიუჯეტს, რომ ათიოდე მილიონი ლარი „მოტეხოს“ სარწყავი და დამშრობი სისტემების მოვლა-შენახვისთვის. ამდენივე — ისეთი მნიშვნელოვანი სარწყავი სისტემების რეკონსტრუქციაზე, როგორიც არის უდაბნოს, თელეთის, მესხეთ-ჯავახეთისა და სხვ.

უდაბნო (საგარეჯოს რაიონი) ოთხმოციან წლებში გაცოცხლდა, როდესაც 300 ჰექტარ ფართობზე მექანიკური მორწყვის სისტემა ამოქმედდა. რამდენიმე წელიწადში მწვანედ აბიბინდა უდაბნოს მიწები, ოაზისად იქცა იქაურობა გაიხარეს უდაბნოში ჩასახლებულებმა... მაგრამ დღეს იქაურობა ისევ გავერანდა, რადგანაც ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობის გამო სარწყავი წყალი აღარ მიეწოდება სოფელს... სოფელი კი იცლება...

**უდაბნო, აი, ჩვენი ბედოვლათობის, ვაიპატრიოტობის კლასიკური მაგალითი.**

ავთვალს არ დაენახვებოდა თბილისთან ახლოს თელეთ-კუმისის მიდამო, რომელიც მწვანე ბაღნარებში იყო ჩაფლული. აქაც იგივე მდგომარეობაა: ელექტროენერგიის საფასურის გაძვირებამდე ვერ იხდიდა გაჭირვებული წყალმომხმარებელი და ახლა მით უმეტეს როგორ გადაიხდის. ასეა ყველგან, სადაც სარწყავი წყალი ტუმბოების საშუალებით მიეწოდება და ეს მდგომარეობა დღეს ან გუშინ არ შეიქმნა, ასეა გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან... არც „ვარდების რევოლუციას“ მოუტანია მათთვის სიკეთე **(ვითომ შპს უშველის?!)**. რაც შეეხება თვითდინებით მოქმედ სარწყავ არხებს და დამშრობ სისტემებს — წყობიდან გამოდის შეუკეთებლობის გამო. **სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ფულადი სახსრები ვერ გაიმეტა არხების გასაწმენდად ნატანისაგან, რის შედეგადაც შემცირდა არხების წყალგამტარობა, დაიწყო დაშრობილი ფართობების ხელმეორედ დაჭაობება. აი, ეს არის საქმეში ჩაუხედაობის, ზერელე მიდგომის, უვიცობის შედეგი.**

ცხადია, მელიორაციაზე გაწეული ხარჯების უკუგებას იძლევა მხოლოდ კარგად ორგანიზებული და წელში გამართული სოფლის მეურნეობა — მოსავლიანობის გადიდების გზით. ეს კი მაშინ მოხდება, როდესაც გლეხი დაძლევს სიღატაკეს, ფეხს მოიკიდებს და მომაგრდება ფერმერული მეურნეობრიობა, მოწესრიგდება საბაზრო ეკონომიკა, მოღონიერდება სოფელი. **დღეს ყოველივე ამისგან შორსა ვართ. ამიტომ, ვიდრე ამ დონეს არ მივაღწევთ, სახელმწიფო კვლავინდებურად უნდა მეურვეობდეს ჰიდრომელიორაციის დარგს — ფინანსური სუბსიდიების გარეშე „შპსები“ გაკოტრდებიან, ირიგაციისა და დრენაჟის სისტემებს ჭკუათმყოფელი კაცი, რა თქმა უნდა, არ შეიძენს! მაშასადამე, დარგი წინასწარ იქნება განწირული და ის სხვათა ბედს გაიზიარებს.**

**ეს არ არის ალბათობა, ეს რეალობაა!**

**ჩვენი ოცნებაა, გამოცდილი მელიორატორის და სხვა მრავალთა გულის წუხილი საქართველოს პრეზიდენტამდე მიაღწევდეს, მაშინ ნამდვილად გვეშველება! მე ამის იმედი მაქვს! თუ არადა, მომავალ თაობას მოუწევს ილია ჭავჭავაძის 130 წლის წინანდელი გულისტკივილის ბოლომდე გათავისება:**

**„...გაუქმდა ეს არხები და მრავალი სხვა სიკეთეც და გულამომწვარ დედამიწას მოაკლდა ცხოველმყოფელი ცვარი წყლისა, კაცის მხნეობით მოდენილი. გავერანდა მდიდარი მამულები, აოხრდა, და იქ, სადაც ქვეყანა წალკოტივით ჰყვაოდა, დღეს მჭლე ძეძვი ძლივსღა მოდის. ამაოდ ჩაიარა ამოდენა შრომამ, ამოდენა ჯაფამ და ეს დიდი ნაამაგები ჩვენი მამა-პაპათა, მიწით ამოვსილა და ამომშრალა, გულსაკლავად გვანიშნებს — რანი ვყოფილვართ უწინ და რანი ვართ დღეს!“**

**ღმერთმა ნუ ქნას, მომავალ თაობას ეს ხვედრი ერგოს!**

**ალექსი მიმინოშვილი,**
**რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერ-მელიორატორი**

წერილი აჭარის მთიანეთიდან

# რეფორმა უკუღმა

**ხულოს რაიონში ყველაზე დაშორებული მაღალმთიანი სხალთა-ხიხაძირის ხეობაა, რომელიც რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს. მასში შედის 4 საკრებულო, 33 სოფელი 13000 მცხოვრებით, ხეობა ხასიათდება მცირე, მწირი, ნაკლებშემოსავლიანი მიწის ნაკვეთებით, ძირითადად ფერდობი ადგილებია და აქაურ გლეხს 3 თვის სამყოფი მოსავალიც ვერ მოჰყავს.**

გლეხებს ეკონომიურად ძალიან უჭირთ. ოჯახის შრომისუნარიანი წევრების უმეტესობა სამუშაოდ აჭარის დაბლობ რაიონებში, თურქეთსა და სხვა ქვეყნებში მიდის, რომ ოჯახი როგორმე გამოკვებოს და შიმშილისაგან იხსნას. გლეხს იმის საშუალება არა აქვს, რომ ავადმყოფი ოჯახის წევრი რაიონში ან ქალაქში სამკურნალოდ წაიყვანოს, თუნდაც მარტო გზის ხარჯები რომ გადაიხადოს. ხეობა რაიონის ცენტრს უკავშირდება მოუწესრიგებელი, მთაგორიან ადგილებზე გამავალი გზებით, რომლებიც ზამთრობით თითქმის ყოველთვის ჩაკეტილია დიდთოვლობისა და ყინვების, ზაფხულობით კი, პერიოდულად, წამოსული მეწყერების გამო.

ჩვენი ხეობა ოდითგან მრავალშვილიანი ოჯახებით გამოირჩევა, საბჭოთა წყობილების ბოლო პერიოდში ჩვენთან 70-მდე გმირი დედა იყო, რომლებსაც ჰყავდათ 10-12 და მეტი შვილი, ხოლო 650-მდე მრავალშვილიან დედას კი — 3-4 და მეტი შვილი.

ადრე ქალებს ძირითადად ბინაზე, სოფლის ბებია ქალები ამშობიარებდნენ, ამიტომ ხშირი იყო დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემთხვევები. შემდგომში, სხალთის საუბნო საავადმყოფოს ექიმთა ზრუნვის შედეგად, სადაც იყო სამშობიარო განყოფილებაც და იყვნენ კვალიფიციური გინეკოლოგები, მინიმუმამდე შემცირდა ბინაზე მშობიარობა, შემცირდა დედათა და 0-1 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობაც.

მაშინ სიღარიბის ზღვარზე მყოფი მოსახლეობას იოლად მიგვყავდა ოჯახის წევრები სხალთის საავადმყოფოს თერაპიულ და ბავშთა განყოფილებებში და ყოველგვარი დანახარჯების გარეშე გამოჯანმრთელებულები შინ მიგვყავდა.

მაშინ სხალთის საავადმყოფო 50 საწოლზე იყო გახსნილი და ფაქტობრივად თვეში 70-80 ავადმყოფს ატარებდა. რეორგანიზაციის შემდეგ კი ფუნქციონირებდა 15 საწოლზე და მაინც საკმარის სამედიცინო მომსახურებას უწევდა სხალთა-ხიხაძირის მოსახლეობას.

არ გვიწევდა ხარჯის გაღება ავადმყოფის სხალთის საავადმყოფოში მისაყვანად და სამკურნალოდ, ზამთრობით მძიმე ავადმყოფს თუ მშობიარეს, ციგით მივაცურებდით და საჭირო სამედიცინო დახმარებას ვღებულობდით. ყოველწლიურად 100-150 ქალი სხალთის საავადმყოფოში მშობიარობდა. ახლა რატომღაც საავადმყოფო დახურეს და (ეს რა რეფორმაა თუ ხალხის საწინააღმდეგოდ არის მიმართული), ბუნებრივია, აღარც გინეკოლოგია, რა ეშველებათ მშობიარე ქალებს, ისინი ისევ სოფლის ბებია ქალების ანაბარა დარჩნენ. რაიონულ ცენტრამდე 80-კილომეტრიანი მოუწესრიგებელი გზით როგორ შევძლებთ მშობიარის გადაყვანას, თანაც, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, გზები ხშირად ჩაკეტილია.

მოსახლეობის ერთადერთი იმედი ამ ხეობაში საავადმყოფოს შენარჩუნება იყო. ესეც თუ აღარ იქნება, აქ ცხოვრება საერთოდ აღარ ეღირება და მაშინ უმჯობესი იქნება სახელმწიფომ ჩაგვასახლოს ისეთ ადგილზე, სადაც ჩვენი შრომით ნორმალური ცხოვრების პირობები გვექნება და გვექნება იმის საშუალებაც, რომ ავადმყოფი სამკურნალო დაწესებულებაში მივიყვანოთ.

სხალთა-ხიხაძირის ხეობა მოსახლეობის რაოდენობით საქართველოს რამდენიმე რაიონზე დიდია და კარგი იქნებოდა, რომ ამ ხეობაში ერთი 25-საწოლიანი საავადმყოფო დაეტოვებინათ, რომელიც ამ ხეობის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებას უზრუნველყოფდა.

ამ წერილს საქართველოს პარლამენტსაც ვუგზავნით. ვითხოვთ, რომ ვისაც ეხება, გაითვალისწინოს ჩვენი თხოვნა და ხეობაში 25-საწოლიანი საავადმყოფო დაგვიტოვოს.

**სხალთა-ხიხაძირის ხეობის მოსახლეობის სახელით:**

**ქამადაძე, სურმანიძე, ბერიძე, გორგილაძე, აბაშიძე და სხვ.**

**სულ 34 ხელმოწერა.**

◎ SIC! – სოციალური სფერო

# ვეტერანების დაცინვა, კანონის უგულებელყოფა და სირაქლემას პოზიცია

***„ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, რომელიც პარლამენტმა მიიღო და ხელმოწერილია პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ (2005 წლის 23 დეკემბერი, №2458, სამთავრობო სტრუქტურების მხრიდან სრულიად უგულებელყოფილია და ამ კანონით ვეტერანებისადმი მინიჭებული უფლებები საერთოდ არ სრულდება.***

***კერძოდ, კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი განმარტავს: „საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების – წყლის, საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენების გატანის, გაზის, ელექტროენერგიის, ტელეფონის სააბონენტო გადასახადებისგან განთავისუფლება, აგრეთვე ქალაქში საქალაქო ტრანსპორტით სარგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; ელექტროენერგიის უფასო მოხმარება ზამთრის სეზონზე (ნოემბერი-მარტი) განისაზღვრება 250 კვტ. საათით თვეში, ხოლო ზაფხულის სეზონზე (აპრილი-ოქტომბერი) 150 კვტ. საათი თვეში – (სტილი დაცულია).***

***როგორც კანონი ნათლად განმარტავს, ელექტროენერგიაზე განსაზღვრულია შეღავათიანი კვტ. საათების რაოდენობა, ხოლო სხვა დანარჩენებზე, როგორიცაა გაზი, წყალი და სხვა, საერთოდ, მთლიანადაა განთავისუფლებული ასეთი გადასახადებისგან ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა გარკვეული ჯგუფები (ომის მონაწილეები, I და II ჯგუფის ინვალიდი ვეტერანები) და მათ შორის გახარჯული ბუნებრივი აირის ღირებულების გადასახადებისგანაც. სხვანაირად ამ კანონის ამოკითხვა და გაგება შეუძლებელია.***

ვეტერანები გაახარა ამ კანონმა და იფიქრეს, რომ მოხმარებული ბუნებრივი აირის გადასახადისგან განთავისუფლებული იქნებოდნენ მთლიანად, მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ. იმის ნაცვლად, რომ აღნიშნული კანონით, ვეტერანები მთლიანად ყოფილიყვნენ განთავისუფლებული მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულების გადასახადისგან ქ. თბილისის საკრებულომ I და II ჯგუფის ინვალიდ ვეტერანებს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოუყო უფასოდ მხოლოდ 40 კუბ. მეტრი და ომის მონაწილეებს – 20 კუბ. მეტრი ბუნებრივი აირი.

როგორც ვეტერანთა კანონის მე-4 მუხლის I პუნქტშია მითითებული, შეღავათების რეალიზაცია ხდება ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან საჭირო სახსრების გამოყოფით.

ქ. თბილისის საკრებულო ყოველწლიურად გამოყოფს ვეტერანებისათვის თვეში 40 და 20 კუბ. მეტრ ბუნებრივი აირის უფასოდ მოხმარების საზღაურს, ხოლო დანარჩენი გახარჯული ბუნებრივი აირის ღირებულება ანაზღაურებული უნდა იქნეს ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით, თანახმად საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 31 იანვრის განკარგულების მე-3 მუხლისა. კერძოდ, ქ. თბილისის მერიამ სს „თბილგაზთან“ ერთად, წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვეტერანების მიერ გახარჯული ბუნებრივი აირის თანხის ანაზღაურების შესახებ, რომლის გადახდა ევალება სახელმწიფო ბიუჯეტს.

მიმდინარე წელს კი ის მიზერული შეღავათიც, რომელიც საკრებულომ დააწესა 40 და 20 კუბ. მეტრი, ანაზღაურებულია მხოლოდ 3-4 თვის, ხოლო სხვა დანარჩენ თვეებზე „თბილგაზი“ ავალდებულებს ვეტერანებს გადაიხადონ მთლიანად გახარჯული ბუნებრივი აირის ღირებულება.

ისმება კითხვა: სამართლებრივ ქვეყანაში ირღვევა თუ არა ვეტერანების კანონიერი უფლებები?

რა თქმა უნდა, ირღვევა!

აღნიშნულ საკითხზე მიმდინარე წლის ივლისში ვეტერანების ჯგუფმა კოლექტიური წერილით მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს და საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ზურაბ ნოღაიდელს.

კოლექტიურ განცხადებაზე საქართველოს მთავრობის კანცელარიიდან „ოპერატიულად“ აცნობეს პასუხი: „მოქ. რ. ასათიანს, ვ. ლალიაშვილს და სხვებს გაცნობებთ, რომ თქვენი განცხადება მიმდინარე წლის 3 აგვისტოს (№31/190) შემდგომი რეაგირებისათვის გაეგზავნა ქ. თბილისის მერიას. შემდგომ პასუხს მათგან მიიღებთ“ (სტილი დაცულია).

თავის მხრივ ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურმა ასევე „ოპერატიულად“ აცნობა განმცხადებლებს: „საქართველოს მთავრობის კანცელარიის მიერ გადმოგზავნილ საყოფაცხოვრებო, კომუნალური მომსახურების შეღავათებთან დაკავშირებით თქვენს კოლექტიურ განცხადებაში დასმულ საკითხებზე გაცნობებთ, რომ დედაქალაქის ხელმძღვანელობა ახორციელებს „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონით ადგილობრივ ორგანოებზე დაკისრებულ ვალდებულებებს. ამასთან ერთად, საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში, ქ. თბილისის მერია დედაქალაქის სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის დამატებით აფინანსებს სხვადასხვა ღონისძიებებსა და შეღავათებს“ (სტილი დაცულია).

ხოლო საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა 2006 წლის 16 აგვისტოს, კონტროლზე აყვანისა და კომენტარის გარეშე კოლექტიური განცხადება გადაუგზავნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს რეზოლუციით: „ბატონო ლადო, გეგზავნებათ საქართველოს პარლამენტში შემოსული ვეტერანთა ჯგუფის განცხადება. გთხოვთ განიხილოთ და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობოთ წერილის ავტორს“ (სტილი დაცულია).

წერილის ავტორები აყენებენ საკითხს, რომ სამთავრობო სტრუქტურებში არად იღებენ ყურად მიღებულ კანონებს და უხეშად არღვევენ მის შესრულებას. კერძოდ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო თვალებს ხუჭავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფაზე, გახარჯული ბუნებრივი აირის ღირებულების გადახდაზე, იმის ზევით, რასაც აფინანსებს ქ. თბილისის ადგილობრივი ბიუჯეტი.

იქნებ, განცხადების წამკითხავი არავინაა და პირდაპირ იცილებენ თავიდან მთავრობის კანცელარიაში ასეთი სახის განცხადებებს, ან შეგნებულად ხუჭავენ თვალებს, თითქოს ვერ იგებენ თუ რა წერია განცხადებაში.

ანალოგიურ საკითხზე არაერთხელ იყო გაგზავნილი წერილები და განცხადებები სახელმწიფო კანცელარიასა და სხვა ინსტანციებში, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი!

ჩვენი მთავრობა კი აგრძელებს სირაქლემას პოზიციას და ქვიშაში ყოფს თავს, რომ თითქოს ვერაფერს ხედავს.

ჩვენთვის ამჟამად უცნობია, თუ ბატონ ლ. ჭიპაშვილის უწყება როგორ დაგვემოძღვრავს, რას მოიმოქმედებს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სოციალური პირობების დასათრგუნავად. პასუხი მკითხველისთვის მიგვინდია.

**ვეტერანთა ჯგუფი: რევაზ ასათიანი, ვახტანგ ლალიაშვილი, რევაზ ნაცარიშვილი, გიორგი ზედგენიძე, ნოდარ ცოტნიაშვილი**

◎ ინფორმაცია

## დაპირისპირება გორში

**გორის ცენტრალურ საავადმყოფოს ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში ორი დღის წინათ მოთავსებული მირზა ბესიაშვილის ახლობლები პაციენტის დაუყოვნებლივ თბილისში გადაყვანას მოითხოვენ.**

**მირზა ბესიაშვილი შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა ორი დღის წინათ სოფელ ზერტში ჩატარებული სპეცოპერაციისას დააკავეს.**

**სამართალდამცველები მირზა ბესიაშვილს ორი წლის წინათ გორის რაიონში მომხდარ ერთ-ერთ დანაშაულში ამხელენ. აყვანის დროს პოლიციამ ცეცხლი გახსნა, ეჭვმიტანილმა სხეულის დაზიანება მიიღო – მას ოთხი ტყვია აქვს მოხვედრილი.**

**მირზა ბესიაშვილის ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ პაციენტის მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა და, შესაძლოა მას ფეხის ამპუტაციაც კი დასჭირდეს. ამ მიზნით, წუხელ, გვიან ღამით თბილისიდან სარეანიმაციო ბრიგადა გამოიძახეს, თუმცა პაციენტის გადაყვანის უფლება მათ არ მისცეს!**

**ექიმები მირზა ბესიაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე კომენტარს არ აკეთებენ. თუმცა, როგორც ბესიაშვილის ოჯახის წევრები აცხადებენ, გორელმა ექიმებმა გუშინ თავად ურჩიეს პაციენტის თბილისში გადაყვანა.**

**ინტერპრესნიუსი**



## არჩევნებში მონაწილეობაზე უარს ამბობენ

**მწვანეთა პარტიის ოფისში, „მწვანეთა პარტიის“ თავმჯდომარემ გიორგი გაჩეჩილაძემ და პოლიტიკური გაერთიანების „ჩვენ თვითონ“ თავმჯდომარემ პაატა დავითაიამ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს. „მწვანეთა პარტია“ და პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენ თვითონ“ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობაზე უარს ამბობენ.**

**ჯი-ეიჩ-ენი.**

◎ ჯანმრთელობა

# როგორ დავიცვათ ბავშვი ტეტანუსისგან

***ზაფხულია, ცხელა, დიდი თუ პატარა შილიფად არის ჩაცმული. ჩვენი ანცი ყმაწვილები განსაკუთრებით ზაფხულობით, თამაშის დროს ხშირად იღებენ ტრავმებს (იჭრიან, იკაწრავენ) და ისვრებიან, რადგანაც სხეულის დიდი ნაწილი შიშველი აქვთ. დიზიანებულ ადგილებში კი ინფექცია ხვდება. მათ შორის, საკმაოდ საშიში ტეტანუსიც.***

***იმის შესახებ, თუ რა დაავადებაა ტეტანუსი, როგორ მიმდინარეობს და როგორ შეიძლება მისი თავიდან აცილება, გვესაუბრება დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორმა პაატა იმნაძემ.***

– ტეტანუსი ანუ გაშეშება ტრავმული ჭრილობის მწვავე ტოქსიკური ინფექციაა. დაავადება იწვევს კუნთოვანი აპარატის, უწინარესად, საღეჭი კუნთების კრუნჩხვებს. ტეტანუსის გამომწვევია ნიკოლაერის ბაცილა, რომელიც მოძრავი გრამდადებითი ჩხირია. იზრდება იქ, სადაც ჭრილობის პირი დახურულია, ნეკროზული ან ჩირქოვანი პროცესია. ძლოვილის ცხოველმყოფელობის დაქვეითების გამო ჩხირებს აქვს გამრავლებისა და ორგანიზმის მოუხამვის უნარი. ინფექციის ძირითად „რეზერვუარს“ შინაური ცხოველები წარმოადგენენ, რომლებსაც ტეტანუსის ბაცილები ნაწლავებში აქვთ და განავალთან ერთად გამოყოფენ. ბაცილები ნიადაგში მოხვედრისას სპორებად გადაიქცევიან და წლების განმავლობაში ინარჩუნებენ ცხოველმყოფელობას.

ტეტანუსის ჩხირით ადამიანის თუ ცხოველის ინფიცირება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მტვერთან ერთად ჭრილობაში ტეტანუსის სპორებიც მოხვდებიან. ხელსაყრელ პირობებში ისინი სწრაფად მრავლდებიან და გამოყოფენ ნეიროტროპულ ტოქსინს, რომელიც დაავადების განვითარებას იწვევს. შემდეგ ტოქსინი სისხლში გადადის და განსაკუთრებით ნერვულ ბოჭკოებს, ზურგის ტვინის წინა ქერქების მამოძრავებულ ბირთვებს აზიანებს.

**– როგორი სიმპტომები ახასიათებს ტეტანუსს?**

– დაავადების ინკუბაციური, ანუ ფარული პერიოდი საშუალოდ 7-14 დღეს გრძელდება, იშვიათად – 3-5 დღეს, უფრო იშვიათად კი 25-30 დღემდეც. ინკუბაციური პერიოდის მაჩვენებლებით განისაზღვრება ავადმყოფობის სიმძიმე. მაგალითად, რაც უფრო მოკლეა ინკუბაციური პერიოდი, მით ცუდია პროგნოზი. ავადმყოფობა იწყება მწვავედ, ზოგჯერ კი აღინიშნება პროდრომული მოვლენები, რაც გამოიხატება ჭრილობასთან ახლომდებარე კუნთების მუდმივი ტკივილით და გარეშე გაღიზიანებაზე მომატებული რეაქციით.



დაავადების პირველი ნიშანია საღეჭი კუნთების დაჭიმვა, პირის გაღების შეფერხება და ღეჭვის დროს ტკივილები. მეორე მნიშვნელოვანი სიმპტომია ე.წ. სარდონიკული ღიმილი (ტანჯული ღიმილი) – შუბლი ნაოჭდება, თვალის ნაპრალი ვიწროვდება და სახეზე მწებავი ოფლი გამოიყოფა. ამ ორ სიმპტომს შემდეგში ემატება – კუნთოვანი აპარატის დაძაბვა, კრუნჩხვები, ტემპერატურა, ჩვეულებრივ დაბალ ნიშნულზეა, იშვიათად – ნორმალური, მაგრამ გარკვეულ შემთხვევაში – ხშირი კრუნჩხვების დროს ტემპერატურამ შეიძლება 39-40 გრადუსს მიაღწიოს. გამოხატულია ძლიერი ოფლიანობა, ტაქიკარდია, კუნთოვანი აპარატი მუდამ დაჭიმულია (გაშეშებულია). ვითარდება არ-თულებს სინათლე, ხმაური და სხვა გამღიზიანებლები. ასეთია მწვავე ფორმის ტეტანუსის კლინიკური სურათი (ამიტომ ავადმყოფი ბნელ, მყუდრო ოთახში უნდა იყოს მოთავსებული).



პაატა იმნაძე

არსებობს აგრეთვე ელვისებური, ქრონიკული და ადგილობრივი ფორმების ტეტანუსებიც. ელვისებური ფორმა გვხვდება ახალშობილებში. ინფექცია დაბინძურებული ჭიპლარიდან იჭრება. ბავშვი ძუძუს წოვის დროს კერტს ღრძილებს ძლიერად აჭერს, ლურჯდება და წოვას წყვეტს. სიცხე 38 გრადუსამდე უწევს, სუნთქვა უხშირდება, უყალიბდება სარდონიკული ღიმილი და მკვეთრად გამოიხატება ასფიქსიის ნიშნები.

**– რას გვეტყვით ამ დაავადების პროგნოზისა და მკურნალობის შესახებ?**

– პროგნოზი ხშირად საეჭვოა. ტეტანუსით დაავადების დროს ლეტალობა, სამწუხაროდ, 40-45 პროცენტამდეა. როგორც აღვნიშნეთ, დაავადება ტოქსიკური ბუნებისაა და იმუნიტეტიც, როგორც ავადმყოფობის მოხდის შემდეგ, ისე მასზე აცრისას, ანტიტოქსიკური ხასიათისაა და არა – მყარი. ამიტომ, ტეტანუსი ადამიანს შეიძლება რამდენჯერმე დაემართოს.

რაც შეეხება მკურნალობას, ის კომპლექსურია და ითვალისწინებს: ინფექციის კერის ქირურგიულ დამუშავებას, ორგანიზმში ცირკულირებული ტოქსინის განეიტრალებას, კრუნჩხვების შენელებასა და მოხსნას, გულის მოქმედებისა და სუნქთვის გაუმჯობესებას, გართულებების აღმოფხვრას, პნევმონიისა და სეფსისის მკურნალობას. და ეს ყველაფერი კვალიფიციური ექიმის მიერ საავადმყოფოში უნდა ხდებოდეს.

**– ბატონო პაატა, როგორ დავიცვათ ბავშვები ამ საშინელი ინფექციისაგან, როგორია მისი პროფილაქტიკა?**

– თუ გვინდა, რომ ყმაწვილებს ტეტანუსი ავარიდოთ, ამისათვის საჭიროა: მტვრით გასვრილი ჭრილობის ქირურგიული დამუშავება, კუნთებში ანტიტეტანუსის შრატისა და ანატოქსინის შეყვანა. პროფილაქტიკური ღონისძიებებია აგრეთვე ბავშვების მასობრივი ვაქცინაცია (აცრა) შესაბამისი ვაქცინით, რომელიც შეიცავს ყივანახველის დახოცილ მიკრობებს, დიფთერიის ანატოქსინს და ტეტანუსის ანატოქსინს. როგორც უკვე აღვნიშნე, ტეტანუსს მყარი და ხანგრძლივი იმუნიტეტი არა აქვს, რის გამოც, თუ ბოლო ჭრილობის დამუშავებიდან გასულია ერთ წელზე მეტი და, თუ კვლავ საშიშროების წინაშე დადგება თქვენი პატარას ჯანმრთელობა (მოულოდნელი ჭრილობა ან სხვა რამე). ჭრილობის დამუშავებასთან ერთად, მას აუცილებლად ანტიტოქსიკური შრატის პროფილაქტიკური დოზა უნდა გაუკეთდეს.

ესაუბრა
**ბელა დურგლიშვილი**

◉ სიმართლე კი ასეთია

# ოსები საქართველოში: მითი და რეალობა

**მე-18 საუკუნისა და უფრო ადრეული პერიოდის ცხინვალის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ცნობები თითქმის არ მოგვეპოვება. ვიცით მხოლოდ ის, რომ 1770 წლის აღწერით ცხინვალში 700 კომლი ცხოვრობდა. სამაგიეროდ, სხვადასხვა პერიოდის ლიტერატურული წყაროებით და საბუთებით ჩვენთვის ზედმიწევნით ცნობილია მისი ეროვნული შემადგენლობა.**

როგორც ჩანს, აქ უძველესი დროიდანვე ცხოვრობდნენ ქართველები, ებრაელები და სომხები. მეტი სხვა ეროვნების წარმომადგენელს აქ არასოდეს უცხოვრია. როგორც XVIII საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი მოღვაწე, ისტორიკოსი და გეოგრაფი ბატონიშვილი ვახუშტი აღნიშნავს, „დიდის ლიახვის კიდეზედ არის მცირე ქალაქი ქცხინვალი, კეთილ-ჰაოვანი, მსახლობელნი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანი“ (ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 370ძ. ანალოგიურ ცნობას ვხვდებით ცხინვალის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესახებ ვახტანგ მეექვსის „დასტურლამალშიც“. კერძოდ, ცხინვალის მოსახლეობა ვალდებული იყო მეფისათვის ყოველწლიურად ეძლია 28 კოკა ღვინო, დაემუშავებინა ბატონის ვენახი; ამასთან, მათ „ზოგჯერ კვერნა შეეწერება, ქართველმა, სომეხმა, ურიამ უნდა გამოიღოს, რაც იქ მოსავალი მოვა იმათვე მოიტანონ“ („დასტურლამალი“ მეფის ვახტანგ მეექვსისა; თბ, 1888, გვ. 122ძ.

ამასთან ცხინვალი და საერთოდ მთელი შიდა ქართლი ქართულ წყაროებში ყოველთვის განიხილება, როგორც ქართლის განუყოფელი ნაწილი. მაგალითად, ამის შესახებ ბატონიშვილი ვახუშტი შემდეგს აღნიშნავს: „იდგა რა მეფე ლუარსაბ (საუბარია ქართლის მეფე ლუარსაბ II-ზე, რომელიც 1606-1614 წლებში მეფობდა – **ა. თ.**ძ ქცხინვალს, რამეთუ ჟამად მოვლიდიან თუისთა ქვეყანათა ყოველთა“ (ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 321ძ. ცხინვალი არა ერთხელ იქნა აოხრებული და განადგურებული მტრის მიერ, მას არც შინაური მტერი აკლებდა ხელს. მაგალითად, 1772 წელს კახეთიდან კაპიტანი ი. ლვოვი ატყობინებდა გრაფ ნ. პანინს, რომ თავადი ხიდირბეგიშვილი, რომელიც განაწყენდა ერეკლე მეფეზე, საქართველოდან გადავიდა ახალციხეში და რამდენიმე დღის შემდეგ ღამით შემოიყვანა ცხინვალში თურქები და ლეკები, გაიძარცვა იგი, ტყვედ აიყვანა 306 ორივე სქესის ქართველი და წაიყვანა ახლციხეში. (ვ. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ–საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწილი III, ნაკვეთი II, თბ., 1997. გვ. 350ძ.

ახლა იმის შესახებაც უნდა ითქვას, თუ რამ განაპირობა ცხინვალში ქართველებთან ერთად ებრაელებისა და სომხების შედარებით დიდი რაოდენობით ცხოვრება. ცხინვალი, ისე როგორც ონი, სადაც ასევე ადრიდანვე დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ ებრაელები, მდებარეობდა ჩრდილოეთ კავკასიიდან, ქართლიდან და ზემო რაჭიდან მომავალ გზებზე და ამდენად თავიდანვე წარმოადგენდა მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტს. სომხები და ებრაელები კი, როგორც ცნობილია, საქართველოს ქალაქებში ძირითადად ვაჭრობას მისდევდნენ.

არც მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე შეცვლილა ცხინვალის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. როგორც მოსახლეობის აღწერები და სხვა დოკუმენტები ადასტურებენ, ცხინვალში მხოლოდ ქართველები, ებრაელები და სომხები ცხოვრობდნენ. მართალია, იგი ამ პერიოდში უკვე ქალაქად არ მოიხსენიება, მაგრამ ცხინვალი ყველგან აღინიშნება როგორც ქართული სოფელი. კერძოდ, ამას აღნიშნავენ XIX საუკუნეში საქართველოში მცხოვრები რუსი მოხელეებიც.

ცნობილია, რომ გასული საუკუნის პირველ ნახევარში რუსი გენერლები მრავალგზის მიუთითებენ ოსების მიერ ქართული სოფლების დარბევაზე, ძარცვა-გლეჯაზე და ქართველების მკვლელობაზე. XIX საუკუნის ცნობილი საზოგადო მოღვაწე ს. მგალობლიშვილი იგონებს: „ლეკთა თარეში რა მოსატანია, ან რა შესადარებელია ოსთა თარეშობასთან. ოსები ყველა თავად მაჩაბლებისა და ერისთავების ყმები იყვნენ, შემდეგ და შემდეგ, როცა გამრავლდნენ, სხვადასხვა თავადთა და აზნაურთა მამულებში გაიხიზნენ და მოედვნენ თითქმის მთელს ქართლის მთა-ტყეებსა... ოსები მთა-ტყეებში ცხოვრობდნენ; სახნავ-სათესი არ ჰქონდათ... ოსების ნაწილი ქურდობა-ავაზაკობას მისდევდა... დაირღვა მყუდროება სოფლისა, ლეკს მორჩნენ და ოსებმა უარესი დღე დააყენეს“. (ს. მგალობლიშვილი. მოგონებანი. ტფილისი, 1938, გვ. 22-23ძ. ამ ბოროტების აღმოსაფხვრელად რუსი გენერლები გადაუდებელ საჭიროებად თვლიდნენ შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. გენერალი ტორმოსოვი 1809 წელს ავაზაკობისათვის ხუთ ოსს უსჯის სიკვდილს ჩამოხრჩობით. უფრო მოგვიანებით, 1824 წელს გენერალი ხონევი უპატაკებს გენერალ ერმოლოვს: იმისათვის, რომ შეწყდეს ქართველებზე თავდასხმები და მათი ძარცვა-გლეჯა ოსების მხრიდან, ქართლის მცხოვრებთ უნდა მივცეთ საშუალება დაიცვან თავი მძარცველებისაგან იარაღით, ისე როგორც კახეთის მცხოვრებნი იცავენ თავს ლეკებისაგან. ამიტომ ქართველს მძარცველის მკვლელობისათვის კანონის წესით დევნას ნუ დავუწყებთ. ჩავაგონოთ როგორც მემამულეებს, ასევე ქართლის მცხოვრებლებს, რომ ისინი პასუხს არ აგებენ ბოროტმოქმედთა და ავაზაკთა მკვლელობისათვის. ქართველები მხოლოდ ვალდებული გავხადოთ ყოველი ასეთი შემთხვევა შეატყობინონ ადგილობრივ ხელმძღვანელობას, კერძოდ, რომ ესა თუ ის ოსი მოკლულია თავდასხმისა თუ ძარცვის დროს (Àêòû Êàâêàçñêîé àðõåîãðàô÷åñêîé êîìèññèè, ò87 VI, Òèôëèñ7 1874 u.ñ 690ძ.

როგორც ჩანს, ისე ხშირი იყო ოსების მხრიდან გორის მაზრაში მკვლელობები, ძარცვა და ადამიანთა ტყვედ წაყვანა, რომ გენერალი ახვერდოვი გენერალ ტორმოსოვისადმი გაგზავნილ პატაკში საჭიროდ თვლის ოსებს, რომლებსაც ესაჭიროებოდათ „სავაჭროდ ჩასვლა ქართულ სოფლებში და განსაკუთრებით ქართულ სოფელ ცხინვალში., მიეცეთ სპეციალური ბილეთი თავად რევაზ მაჩაბლისა და ერისთავისაგან“ (იქვე გვ.460ძ.

ამრიგად, რუსი გენერლები ცხინვალს ქართულ სოფლად ასახელებენ, სადაც ოსებს სპეციალრი ნებართვის – ბილეთის გარეშე შესვლა აკრძალული ჰქონდათ.

ახლა თუ მოსახლეობის აღწერის კონკრეტულ მონაცემებსაც მოვიშველიებთ, ცხინვალის მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა უფრო ნათელი გახდება. კერძოდ, 1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით ცხინვალში ცხოვრობდა 3832 კაცი, აქედან: 1135–ქართველი, 1953–ებრაელი და 744–სომეხი. 1886 წელს არცერთ ოსს ცხინვალში არ უცხოვრია. (Câîä ñòàòèñòè÷åñêèõ äàííûõ î íàñåëåíèè Çàêàâêàçñêîãî êðàÿ7 èçâë÷åííûõ èç ïîñåìåéíûõ ñïèñêîâ 1886 ãîäà7 Òèôëèñ, 1893ძ.

ცხინვალის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა იცვლება მხოლოდ 1920-იანი წლების დასაწყისში, განსაკუთრებით კი 1922 წლის შემდეგ, როდესაც შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და ოსებს ოლქის დედაქალაქად ცხინვალი უბოძეს. სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წლის აღწერის მიხედვით ცხვინვალის ოსი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მოსულია და მათგან ერთ მესამედს ერთი წელიც არ უცხოვრია ცხინვალში. (სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წლის 30 ნოემბრის აღწერის ჯამები, ნაწილი 1, ნაკვეთი 2, ტფილისი, 1923, გვ. 36.ძ სულ ქალაქ ცხინვალის მოსახლეობა 3543 კაცს უდრიდა და მისი მოსახლეობის უმეტესობას ისევ ქართველები (1436 კაციძ, ებრაელები (1651 კაციძ და სომხები (1465 კაციძ შეადგენდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ გადმოდიან ოსები ცხინვალში დიდი რაოდენობით მუდმივ საცხოვრებლად. ამას განსაზღვრავს უკვე ცხინვალის როგორც ავტონომიური ოლქის დედაქალაქში მოთავსებული მმართვე-ლობითი ორგანოების ეროვნული კადრებით დაკომპლექტებისა და კულტურულ ცენტრად გადაქცევის საჭიროება. უკვე 1926 წელს ცხინვალის მოსახლეობა 5818 კაცს შეადგენდა. აქედან ქართველი – 1920 კაცს, ოსი – 1152, ებრაელი – 1772 და სომეხი – 827 კაცს უდრიდა. მართალია, ამ აღწერის მიხედვით ცხინვალში ოსებს ქართველები ჯერ კიდევ დიდად ჭარბობენ, მაგრამ შემდეგ წლებში რაოდენობრივი თანაფარდობა ქართველებსა და ოსებს შორის სწრაფად იცვლება ოსების სასარგებლოდ. უკვე 1959 წელს ცხინვალში 3652 ქართველი და 12432 ოსი ცხოვრობდა, ხოლო 1989 წელს მხოლოდ 6905 ქართველი და 31537 ოსი. ასე რომ, „დიდი ლიახვის კიდეზე“ მდებარე უძველესი ქართული ქალაქი თითქმის მთლიანად გაოსდა. აქ რაოდენობრივი თანაფარდობის მკვეთრ დარღვევასთან ერთად მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ ცხინვალი, როგორც ავტონომიური ოლქის დედაქალაქი, თითქმის მარტოოდენ ოსური კულტურის ცენტრად გადაიქცა.

ცხინვალის მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა 1886-1989 წლებში

| | 1886წ. | 1922წ. | 1926წ. | 1959წ. | 1970წ. | 1979წ. | 1989წ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქართველი | 1135 | 1436 | 1920 | 4652 | 5475 | 5584 | 6905 |
| ებრაელი | 1953 | 1651 | 1772 | 1649 | 1475 | 652 | 396 |
| სომეხი | 744 | 765 | 827 | 860 | 768 | 712 | 734 |
| ოსი | – | 613 | 1152 | 12432 | 20846 | 25319 | 31537 |
| რუსი | – | 64 | 114 | 1583 | 1180 | 1737 | 1836 |
| დანარჩენი | – | 14 | 33 | 465 | 567 | 787 | 925 |
| სულ | 3832 | 4543 | 5818 | 21641 | 30311 | 34791 | 42333 |

ამჟამად, ოსი ექსტრემისტების „მოღვაწეობისა“ და ხელოვნურად შექმნილი ეთნოკონფლიქტის შედეგად ცხინვალი ქართული მოსახლეობისაგან თითქმის დაცლილია. ზუსტად არ არის ცნობილი რამდენმა კაცმა დატოვა ქალაქი, მაგრამ ცნობილია მხოლოდ ის, რომ ცხინვალში დღესდღეობით ქართველი თითქმის აღარ ცხოვრობს.

ახლა ცხინვალის რეგიონში ქართველი ხალხი ეძებს კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის გზებს. ქართველი კაცი ოსებთან მხოლოდ მშვიდობიან თანაარსებობას ითხოვს და ეს მისი სავსებით სამართლიანი მოთხოვნაა. მას სჯერა, რომ აქ არსებული წინააღმდეგობის გადაწყვეტა სავსებით შესაძლებელია ურთიერთნდობისა და კეთილი ნების პირობებში. ცხინვალის მოსახლეობის შესახებ ზემოთ აღნიშნული მონაცემები ნათლად გვიჩვენებენ, რომ ქართველ კაცს ოსები ცხინვალში უშურველად მიუღია და მათთვის კეთილმეზობლობაც გაუწევია. თუ იაკობ გოგებაშვილის სიტყვებს მოვიშველიებთ, „ეხლაც ქართველობას... სხვებისათვის სიკეთის მეტი არაფერი სურთ, ითხოვს მხოლოდ, რომ მას მიუწყონ იმ საწყაულით, რომლითაც იგი უწყავდა სხვებს“.

## როდიდან იხმარება ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“

**მე-19 საუკუნემდე ტერმინ „სამხრეთ ოსეთის“ ხმარების არავითარი ცნობა არ არსებობს არც ქართულ და არც უცხოურ წერილობით წყაროებში. იმდროინდელი გაგებით ოსების ქვეყანა ოსეთია, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარეობდა. მკვლევარმა ს. ლეკიშვილმა დიდი მუშაობა ჩაატარა იმის შესასწავლად თუ როდის გაჩნდა ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ და როგორი სიხშირით იხმარებოდა იგი.**

ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ პირველად გამოყენებულია 1830 წელს წერილების სერიაში, რომელიც დაიბეჭდა „ტიფლისკი ვედომოსტში“ (№72 – 86ძ. როგორც ჩანს, კორესპონდენტი ამ ტერმინს საკუთარი ინიციატივით იყენებს, რადგან 1830 წელს გრაფ პასკევიჩის სამხედრო მინისტრ ჩერნიშოვისადმი წარდგენილ ანგარიშში აღნიშნულია: ოსი ტომის დაშოშმინებისათვის მიზანშეწონილად მივიჩნიე მცირე სამხედრო ექსპედიციის ჩატარება. ეს ექსპედიცია მიმართული იქნება კავკასიის მთიანეთის სამხრეთით მდებარე ჩრდილოეთ ქართლის ოსების წინააღმდეგ ს. ლეკიშვილი. როდის გაჩნდა ტერმინი „სამხრეთ ოსეთი?“ იხ. წიგნში: „ოსთა საკითხი.“ გვ. 261. აქტები. ტ. VII.

კორესპონდენტის აზრით, მის მიერ „სამხრეთ ოსეთად“ წოდებული ზონის მოსახლეობის საერთო რაოდენობა 7200 სულს შეადგენდა.

მკვლევარმა ს. ლეკიშვილმა დაამუშავა ოსეთის შესახებ არსებული თითქმის ყველა ისტორიული დოკუმენტი და საბუთი და იმ დასკვნამდე მივიდა რომ 1830 წლამდე როგორც ქართულ, ასევე უცხოურ წერილობით წყაროებში ოსეთის მიმართ რაიმე მსაზღვრელის – „ჩრდილოეთის“ თუ „სამხრეთის“ გამოყენების არც ერთი ფაქტი არ დასტურდება. ტერმინ „სამხრეთ ოსეთს“ არ იცნობენ უცხოელი მეცნიერები და მოგზაურები. მხოლოდ გერმანელი პროფესორი კ. კოხი აფიქსირებს ტერმინ „სამხრეთ ოსეთს“ ქართული ისტორიული პროვინციის დვალეთის აღსანიშნავად და ისიც XIX საუკუნეში. დვალეთის შესახებ კი, რომ არაფერი ვთქვათ ქართულ წყაროებზე, რუსულ წერილობით ძეგლებში შემდეგია აღნიშნული: „დვალეთი (ნარმამისონის ქვაბულიძ მთელ შუა საუკუნეებში საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ იგი შედიოდა თბილისის გუბერნიაში და მხოლოდ 1859 წელს შეუერთდა ვლადიკავკასიის (ოსეთისძ ოკრუგს (Î÷åðêè èñòîðèè Þãî-Îñåòèíñêîé À/Î7 ò8 I, 1985, ñ. 120ძ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ რუსი მეცნიერები ჩრდილოეთ ოსეთს უწოდებენ ისტორიულ ოსეთს (დ. ლავროვი. „ნარკვევი ოსეთისა და ოსების შესახებ.“ ჟურ. „ტერსკიე ვედომოსტი.“ №20, 1874ძ.

ს. ლეკიშვილის გამოკვლევით მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ იშვიათად გვხვდება. როგორც იგი მიუთითებს, კავკასიის არქეოლოგიური კომისიის აქტების თორმეტტომეულში, რომელიც შეეხება 1864-1917 წლებს და მოიცავს ათი ათასზე მეტ ისტორიულ დოკუმენტს ქართულ, არაბულ, რუსულ, სპარსულ და თურქულ ენებზე, ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ დაფიქსირებულია მხოლოდ ერთხელ. 1852-1915 წლების ქართულ პერიოდულ პრესაში, კერძოდ, 30-ზე მეტი დასახელების ჟურნალ-გაზეთში, ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ გამოყენებულია მხოლოდ ორჯერ.

პოლიტიკურ ლექსიკონში ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ გაჩნდა მე-19 საუკუნის 60-იან წლებში, რომელიც შემდეგ მკვიდრდება რუსი მოხელეების მიერ. მანამდე ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები „ოსეთის“ ადმინისტრაციული გაერთიანების მიზნით, რაც უზრუნველყოფდა რუსეთის ბატონობას არა მარტო თვით ოსეთში, არამედ კავკასიონის ქედის მთელ სივრცეზე. ბარონი როზენი აცხადებდა: „ჩვენი მტკიცე ბატონობა ოსეთში გადაჭრით გააპობს კავკასიის მთების ქედს ორ ნაწილად, მაშინ როცა ახლა მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სამხედრო გზა კვეთს კავშირს ჩვენს მიერ ნახევრად დაპყრობილ და ჩვენდამი მტრულად განწყობილ ხალხებს შორის“ ციტირებულია: რ. ლომინაძე. ვინ და როდის დაარქვა შიდა ქართლის მთიანეთს „სამხრეთ ოსეთი.“ გაზ. „განათლება,“ 30 ოქტომბერი, 1991 წელი. მალე შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში ოსებით კომპაქტურად დასახლებული რაიონები „ოსეთად“ იქნა მონათლული: 1843 წელს თბილისის გუბერნიაში შეიქმნა „ოსეთის ოკრუგი,“ რომელიც ჯავის, პატარა ლიახვისა და ნარის (ისტორიული დვალეთისძ უბნებად დანაწილდა. მოგვიანებით ნარის უბანი ჩამოაშორეს თბილისის გუბერნიას და ოსეთის სამხედრო ოკრუგს (შეიქმნა 1959 წელს ჩრდილოეთ კავკასიაშიძ გადასცეს, რომელიც შემდეგში თერგის ოლქში, 1924 წლიდან კი ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ შემადგენლობაში შევიდა. ამ აქციით საქართველოს წაართვეს მისი ისტორიული ტერიტორია – დვალეთი. ყოველივე ამით, კერძოდ, 1843 წელს ოსეთის ოკრუგის შექმნით, „შორსგამიზნული ტოპონიმური დივერსიით ნოყიერი ნიადაგი შეუმზადეს „ოსეთად“ ან „სამხრეთ ოსეთად“ მონათლულ ძველთაძველ ქართულ მიწა-წყალზე ოსთა ტერიტორიული პრეტენზიების და „ორი ოსეთის“ სამერმისო გაერთიანების იდეის შემდგომ მუტაციას, რამაც XX საუკუნეში უკვე აგრესიული ოსური სეპარატიზმის სახით იჩინა თავი ვ. ითონიშვილი. სამხრეთ ოსეთი ცენტრალურ საქართველოში?! იხ. წიგნი: ოსთა საკითხი. გვ.16. როგორც დოცენტი რ. ლომინაძე სამართლიანად აღნიშნავს, ჩრდილოეთ კავკასიაში „ოსეთის სამხედრო ოკრუგის“, ხოლო თბილისის გუბერნიაში „ოსეთის ოკრუგის“ (შემდეგში „ოსეთის უბანი“ძ შექმნა ახალი სახელწოდებების – „ჩრდილოეთ ოსეთისა“ და „სამხრეთ ოსეთის“ საფუძველი გახდა. პირველი გამოქვეყნებული ოფიციალური დოკუმენტი, სადაც ეს ტერმინები გამოიყენება, არის კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოების მომწყობი კომიტეტის 1860 წლის ანგარიში. მასში ნათქვამია: კომიტეტმა დაასკვნა, რომ მთელი ყურადღება უნდა იქნეს გადატანილი ქრისტიანობის აღდგენასა და განმტკიცებაზე. . . სამურზაყანოში, სვანეთში, **სამხრეთ ოსეთში** (ხაზი ჩვენია – **ა.თ.**ძ, თუშებში და ხევსურებში, საიდანაც ქრისტიანობის შუქი შემდგომში შეაღწევს აფხაზეთში, ბალყარელებში და ყარაჩაელებში, **ჩრდილოეთ ოსეთში** (ხაზი ჩვენია – ა.თ.ძ, ქისტებში და სხვა ჩაჩნურ ტომებში“ ციტირებულია: რ. ლომინაძე, დასახ. ნაშრომი.



**ანზორ თოთაძე**

**(გაგრძელება იქნება)**

---

**გაგრძელება. დასაწყისი**
**იხ. „სრ“ № 163-167.**

◉ ურეკის ცხელი დღეები

# პლაჟზე ჩასასვლელი „ზევით“ გაახსენდათ



## მიჰქრის მატარებელი

**მოთმინების ფიალა მაშინ გადამიპიპინდა, როდესაც სამმა წამყვანმა ტელეარხმა შეხმატკბილებულად განაცხადა, გაუსაძლისი ცხელი დღეები აგვისტოს ბოლომდეო. მივხვდი, რომ ვეღარ ავიტანდი ამ ხვატში ყოფნას. მეორე დილით თადარიგი დავიჭირე და საღამოს თბილისის რკინიგზის სადგურს მივაკითხე. არ ვიცი, რისი იმედი მქონდა, მაგრამ სალაროში ურეკამდე ერთი ბილეთი მოვითხოვე.**

— ბათუმის მატარებელზე აღარ გვაქვს! — კატეგორიულად განმიცხადა სიცხისაგან ლამის გულშეღონებულმა მოლარემ.

— რაო, იმსიგრძე შემადგენლობაზე?! წელან თვალი მომტაცა ჭრელ-ჭრელმა მატარებელმა...

— თუ გინდათ, ოზურგეთზე მოგცემთ, — მომიბოდიშა და იქნებ პლასკარტი-მეთქი, გულმა მიგრძნო კუპე ვერ წამადგებოდა.

— პლასკარტი სადღაა! — უკვე მოთმინებას კარგავდა და ხმის ამოუღებლად მივაწოდე ფული, იმითაც კმაყოფილმა, რომ შინ დაბრუნება არ მიხდებოდა.

ოზურგეთის საკმაოდ გრძელი მატარებელიც მალე ჩამოდგა მეორე ლიანდაგზე. კოხტად გამოწკიპული, ჰალსტუხიანი გამცილებლების დანახვა მესიამოვნა და ჩემი ნომრის მოძიებასაც ავჩქარდი. სამი გათქვირული ქალბატონი უკვე დაპატრონებოდა იქაურობას.

— მეოთხე მე ვარ! — მივახარე უკვე ხვატისაგან გულშეწუხებულებს.

— მობრძანდით, ყმაწვილო! — ერთმა, გამორჩეულად ქათქათაკბილებიანმა შემომანათა და მესიამოვნა. შვიდი ათეული წელი ზურგიდან ისე გაქრა, ვითომ არაფერიო. თუმცა მერე შევფიქრიანდი, ვაითუ, სასწაული მოხდეს და ამ ეპითეტის დამტკიცება მოგიხდეს, რას შვრები მერე-თქო. ამასობაში ხელჩანთა იქვე ჩამოვდე და ისევ გარეთ გავედი. იქ ცოტა ნიავი ღაღანებდა.

— კონდიციონერებს თუ ჩართავთ? — დავეკითხე ჩემს ჰალსტუხიან, თავიდან ბოლომდე ზრდილობიან მასპინძელთაგანს.

— რაი კონდიციონერი, ფრეონი არ გვაქვს, ძვირიაო. აწი რუსეთი იაფად აღარ მოგვცემს.

— აბა იმ სამ გათქვირულ ქალბატონთან რომ შემაგდეთ ამ ხვატში, ურეკამდე ცოცხალი ჩავაღწევ?

— თუ არ მოგწონს, დადექი დერეფანში, გაყავი თავი „ფორთოჩკაში“... აბა, შენი გულიზა მა ქალებს გარეთ ვერ გამოვსვამ, — დამაიმედა გამცილებელმა და ჰალსტუხი დინჯად შეისწორა.

ისე ყველაფერი კარგი აგიხდეთ, როგორც მისი წინასწარმეტყველება ახდა. გამთენიისას ჩემმა „ყმაწვილურმა“ მუხლებმა საშინელი განგაში რომ ატეხეს, ცოტა ხნით კი ავძვერი ჩემს მეორე სართულზე, მაგრამ ჯერ ერთი, იქ ჯოჯოხეთურად დახუთულიყო ჰაერი (თუმცა კარიც და ფანჯარაც ღია იყოძ, ძილს მინებებული, მისავათებული ქალბატონების ფონზე ჩემი იქ ყოფნა შეუძლებელი აღმოჩნდა და ისევ გარეთ გამოვვარდი. არადა, დერეფნებში წინათ სკამები მაინც იყო და ჩამოვჯდებოდი.

სკამები გაქრაო, — განმიმარტა ახლა უკვე ტრუსებში გამოწყობილმა გამცილებელმა, — ვაგონშემკეთებლებმა ჩაიჯიბესო.

მატარებელი კი აწყვეტილი მიჰქროდა გურიისკენ.

მხოლოდ სურამთან ვიგრძენი ცოტაოდენი სიგრილე და ლამის მთელი სხეული გამოვქაჩე „ფორთოჩკიდან“. მგზავრთა უმეტესმა ნაწილმა ღამე ჩემთან ერთად დერეფანში გაათია. აბა, რა ყოფილა ეს ფრეონი!

## ბაბუ, ამ ხალხს რატომ არ რცხვენია?

**იმ აბდალი კომუნისტების დროს, როგორც ჟურნალისტს, მქონდა ბედნიერება, შავი ზღვის სანაპირო კურორტები, აქეთაც და იქითაც, მომევლო. თვით საზღვარგარეთაც ბევრჯერ დამისვენია, მაგრამ ურეკი რომაა, იმისთანას ვერავინ დაიკვეხნის.**

ურეკს, რატომღაც, ბედი არ სწყალობს. არადა, არ გამოუჩნდა პატრონი. მარტო ის ქვიშა რად ღირს, ქვალსუსტ პატარებს ფეხებს ლარივით რომ უსწორებს. ვინ იცის, რამდენი უიმედო ავადმყოფი მოურჩენია. სანაპიროზე დამსვენებლებს მართალია, არ შევუმჩნევივარ, მაგრამ მე ვნახე, ყელამდე ნაგავსა და ბანანის ნაფცქვენებში რომ იყვნენ ჩაფლულნი.

— ბაბუ, ეს ხალხი ნაგავს აქვე რომ ყრის, რატომ არ რცხვენიათ? — შემომჩივლა ჩემმა რვა წლის ნათესავმა დათო დარჩიამ. ის თავის მამასთან, კობასთან ერთად პირველად მე ჩავიყვანე აქოთქოთებულ პლაჟზე და რომ დაინახეს, ვისაც სად მოეპრიანებოდა, იქ ყრიდა სიგარეტის ნამწვავსაც, ცარიელ კოლოფსაც, ხილის ნარჩენებს, სიმინდის გამოღრღნილ ტაროს, ცელოფანს, პლასტმასის ცარიელ ბოთლებს, ქაღალდის ნაგლეჯებს, ბავშვისთვის პასუხი ვერ მოვიძიე.

ააშენა ღმერთმა ბიძინა ივანიშვილი, იმ დღეებში პლაჟის დასასუფთავებელი უნიკალური ტექნიკა შემოიტანა (ხალხი ამბობს, ბიძინა გვეხმარებაოძ. ისე, აქაურები ადმერთებენ ამ ბიზნესმენს, ჩოლოქიც მაგან ალაშენაო. ყველაფერი იციან მის შესახებ. სანაპიროს კი უცებ დაეტყო მზრუნველის ხელი, მაგრამ ნაპირთან ზღვაც რომ დაბინძურებულია და სანაპირომდე მისასვლელი გზებიც?

ურეკს სხვა სატკივარიც მრავლად აქვს. ზღვიდან ორ კილომეტრში ხომ წალკოტოვანი მთებია. იმ ჭკუათხელმა კომუნისტებმა იქ ციტრუსების პლანტაციები გააშენეს. ათასობით ტონა მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, ფეიხუა და კიდევ სხვა ხილიც მოჰყავდათ. ახარეს ბამბუკის პლანტაციები... შემდეგ მოვიდა „ეროვნული მთავრობა“ და დაიქცა ყველაფერიო, ამტკიცებენ ურეკელები. არა, ეროვნულობა კი მოსწონთ, მაგრამ ეროვნულ საქმეს ნაკლებად ხედავენ.

პლანტაციები ხომ გადახმა, თითო-ოროლა კაცმა გადაარჩინა რაღაც ნაწილი, ახლა იქ ასევე ხელოვნურად მოშენებულ ნაძვის, ევკალიპტის, აკაციის და სხვა უნიკალური ჯიშის ნარგავების ჭრას მიჰყვეს ხელი. მარტო ფერისცვალების ღამეს ხუთი, ლამის საუკუნოვანი, ნაძვი მოჭრეს. ეს ხეები წითელ წიგნშია შეტანილიო, მითხრეს ურეკელებმა, რომ დაინახო აქაურობა, გული მოგიკვდება. დღითი დღე მეჩხერდება ჩვენი ზეგნები. მშიერი კაცი რომ ჭრიდეს ოჯახის გადასარჩენად, კიდევ ჰო, მაგრამ აქაურობას დღევანდელი ბობოლები ანადგურებენ. მშიერს და გაღატაკებულს რომ პატარა დანაშაულს არ აპატიებენ, მეც ვიცი, მაგრამ...

## ჭუჭყი და მიტინგი

**ურეკს სასმელი წყლის პრობლემაც აქვს. კულტურის სახლი რომ ბადრი პატარკაციშვილის ხელშეწყობით განაახლეს, ძალიან უხარიათ. იქ ბავშვთა თვითმოქმედი ანსამბლებიაო, მითხრა ნუგზარ დარჩიამ, ამ სოფლის ამაგდარმა კაცმა. იქვე, გასასვლელთან, ყველაზე ხალხმრავალ ადგილას, მანქანები რომ დაჰქრიან, ხიდის მშენებლობაც იყო დაგეგმილი. არადა, საშიში ადგილია, რაღაც უბედურება რომ მოიტანს, ცხადია. პატრულს იქ ვერ ნახავთ. მაგისტრალურ გზაზე საგზაო ნიშნები კია, მაგრამ აწყვეტილ მძღოლებს ეგ სულ არ ადარდებთ.**

კიდევ ერთი სატკივარი.

ამ სამიოდე წლის წინათ პირველად გამოჩნდა ურეკში ამერიკული პეპლები. მე მეგონა მარტო სამეგრელოში იყო, მაგრამ რაც იქ ვნახე...

მუსრს ავლებს ხეხილს, ფოთლებს აბრეშუმის ჭიასავით ხრავს და ხეც ადვილად ხმება. ეგ კიდევ არაფერი იმასთან, პეპელა კვერცხს რომ დადებს და იქიდან გამოჩეკილი უფერული მატლები პირდაპირ სახლში მოძვრებიან. დილით რომ გაიღვიძებ და საკუთარ ლოგინში, ტანზე შემოცოცებულ ამ საზიზღარ მატლებს დაინახავ, მაგარი კაცი იქნები, თუ გული არ გაგისკდება.

— კი არის რაღაც წამალიო, ურეკის გამგებელი ჯუმბერ ყაზაიშვილი ბევრს ეცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, — მეუბნება ნუგზარ დარჩია.

— კი, მაგრამ მიტინგი რომ გამართეთ და პატარკაციშვილის კუთვნილი ეზოს კარები ჩამოლეწეთ, იქ პრეზიდენტის რწმუნებულიც ხომ მოვიდა, იმას რატომ არაფერი შესჩივლეთ?

— მერედა, ვინ მიგვიშვა მასთან?

— რა ვიცი, მკერდზე მუშტებს კი იბრაგუნებდა, ამ ხალხის პრობლემები ჩემი ტკივილიაო?

— ყველას თავისი ტკივილი აწუხებს, ძამა, — საუბარში ერთი მოხუცი ჩაგვერთო, — იმ ბადრიმ უფასო საბავშვო ბაგა-ბაღი რომ გახსნა, სკოლასა და კლუბს მიხედა, კიდევ ბევრი რამის გაკეთებას აპირებდა, მაგრამ აუხირდნენ და... როგორ გგონია, ამ გაგანიაში იმ მიტინგისთვის, ვის სცხელოდა, მატლიო, რომ ჩივიან, სხვა საქმეები არ გვაწუხებს თუ? პლაჟზე ჩასასვლელი „ზევით“ რომ არ გახსენებოდათ, ჩვენ არც დაგვესიზმრებოდა. ალბათ, მთავრობას დასჭირდა და...

ისე, მართლაც, დიდებულია ურეკი. ბადრი პატარკაციშვილს და ბიძინა ივანიშვილს კი აუშენებიათ თანამედროვე ლამაზი ნაგებობები. კიდევ რამდენიმე ბიზნესმენმაც რომ მოიხედოს აქეთ, ურეკელების ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. არა მგონია ქვეყანაზე ასეთი ლამაზი პლაჟი და განსაკუთრებით, რკინა-მაგნიტის შემცველი სამკურნალო ქვიშა იყოს სადმე. ახლა იქ ყოფნას არაფერი სჯობს, მაგრამ მე ძალიან შემაშინეს მატლებმა და უჩუმრად ავიბარგე.

**გივი ჯახუა**

*ურეკი-თბილისი.*

***P. S. თავიდან დავაპირე, ცნობილ ჟურნალისტსა და მწერალს დავით ასკურავას შევხვედროდი, მისთვის გამეზიარებინა ჩემი შთაბეჭდილებები. სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე. იმედია, სულგრძელად მომიტევებს მის ზონაში „შეჭრას“.***

◉ ინფორმაცია



## რესპუბლიკური პარტია დიპკორპუსისგან პასუხს ელის

**— „რესპუბლიკური პარტია“ საქართველოში მოქმედ დიპლომატთა კორპუსთან შეხვედრას გეგმავს და მათთან ბოლო დროს დაფიქსირებულ კანონდარღვევებზე საუბარს აპირებს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „რესპუბლიკელების“ ერთ-ერთმა ლიდერმა თინა ხიდაშელმა განუცხადა.**

**მისი განმარტებით, ამ დროისთვის მათთვის ცნობილი არ არის, როდის შედგება შეხვედრა, თუმცა მის განსახორციელებლად ზომები უკვე მიღებული აქვთ.**

**„გუშინ, გვიან ღამით, დიპლომატთა კორპუსს მიმართვა გავუგზავნეთ და მათთან შეხვედრა ვითხოვეთ. ვაპირებთ, რომ მათ დაწვრილებით გავაცნოთ ის კანონდარღვევები, რომლებიც არჩევნებს უკავშირდება და რომლებსაც ხელისუფლება პერმანენტულად ახორციელებს“, — განაცხადა ხიდაშელმა.**

**მისი თქმით, შეხვედრის თარიღი მათთვის ჯერჯერობით არ უცნობებიათ.**

**ინტერპრესნიუსი**

## დახმარება ონკოლოგიური ავადმყოფებისთვის

**ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 5 მილიონ 33 ათასი ლარია გათვალისწინებული.**

**ონკოლოგიურ ავადმყოფთა მკურნალობისთვის, რაც პალიატიურ მზრუნველობასა და რადიოლოგიას ითვალისწინებს, წელს 3 მილიონ 750 ათასი ლარი გამოიყო.**

**ნეიროონკოლოგიურ ავადმყოფთათვის კი სახელმწიფო ბიუჯეტმა 350 ათასი ლარი გაითვალისწინა. 583 ათასი ლარით დაფინანსდა ბავშვთა ონკოჰემატოლოგია.**

**ონკოლოგიურ პაციენტთათვის მოქმედებს თანაგადახდის პრინციპიც, თუმცა იგი 15 წლამდე ასაკის პაციენტებს არ ეხებათ.**

**ქიმიოთერაპიაში მედიკამენტებით უზრუნველყოფაზე 400 ლარის ფარგლებში 50-პროცენტიანი თანაგადახდა ფუნქციონირებს, ონკოჰემატოლოგიაში კი თანაგადახდის იგივე წილი 300 ლარის ფარგლებში მოქმედებს. მითითებული თანხების ზემოთ მედიკამენტების ღირებულებას მთლიანად პაციენტი ფარავს.**

**ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის კომპონენტი სტაციონარული დახმარების სახელმწიფო პროგრამის ნაწილია, რომლის ბიუჯეტიც 91 544,3 ათასი ლარით განისაზღვრა.**

## ენერგოსისტემაში დეფიციტი არ შეიქმნება



**ენგურჰესის პირველი აგრეგატი გუშინ ავარიულად გამოირთო, „თუმცა ქვეყნის ენერგოსისტემაში დეფიციტი არ შეიქმნება. უკვე გამონახულია ალტერნატიული წყარო და ელექტროენერგიის მოწოდებაში შეფერხებები არ იქნება“, — განუცხადა სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენს“ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ აჩიკო მამათელაშვილმა.**

**მამათელაშვილის ინფორმაციით, ამჟამად „ენგურჰესის“ 2 აგრეგატი მთელი დატვირთვით მუშაობს და მესამე აგრეგატიც 2 დღეში ჩაირთვება.**

**ჯი-ეიჩ-ენი.**

◎ აფორიაქებული განწყობით

# ქვიშაზე დასხმული წყლივით

**სულ ახლახან ათასმეერთედ გავიმეორე ბრძნული ნათქვამის სრული ჭეშმარიტება.**

**იღბალია ყველაფერი.**

**მართლა ბედია.**

**ბოლო ოცდათერთმეტი წლის განმავლობაში სამი ბინა გამოვიცვალე. დიდი მონდომების მიუხედავად ვერც ერთხელ ვერ ავცდი ბოლოსწინა სართულს.**

**სამჯერვე გამიმართლა.**

**ოღონდ სხვანაირი გაგებით.**

**მუდამ ლიფტის მოყვარულთა შორის მიხდებოდა ცხოვრება. არასოდეს ვუცდიდით სახელმწიფოს კეთილ ნებას, საკუთარი სახსრებით ვამუშავებდით, ძალისძალა ვაცოცხლებდით საკმაოდ გაცვეთილ მექანიზმებს.**

**ამიტომაც მაღლა ასვლა არასოდეს გამჭირვებია.**

**არც დამზარებია.**

რაც მთავარია, სულ შემაღლებულზე მდგარ კორპუსში მიხდებოდა დავანება. მუდამ ხელისგულზე დადებული ასანთის კოლოფივით ზემოდან დავცქეროდი დედაქალაქს.

ახლაც ასეა.

ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია და ყოველ დილით გავდივარ აივანზე, თვალს წყალს ვასმევ, ქალაქს ვეფერები.

ზოგი ჭირი მართლა მარგებელი ყოფილა – ბროლივით კრიალებს ჰაერი ქალაქის თავზე.

აღარ ბოლავენ ფაბრიკა-ქარხნები.

ხმაურზე გაფაციცებული უნასის თავივით გარინდულან საკვამლე მილები.

მყუდროებას მხოლოდ თბილისის ვიწრო ქუჩებს კალიებივით შესეული მანქანების ხმაური ურღვევს.

ქვევით, ჩვენს ეზოში შემოსასვლელთან ვხედავ ეულად მოსეირნე გუშაგს.

სადღაც ასევე ჩუმად ტრიალებს ტელეთვალიც.

ყველაფერს ხედავს, არაფერი გამოეპარება.

ეს უკვე მოდაა თითქოს.

არ ვიცი საიდან და როგორ იქმნება ეროვნული პროდუქტი, მაგრამ კარგად ვხედავ, რომ ახალგაზრდების დასაქმების გზა ყველაზე კარგად მონახეს სოკოებივით მომრავლებულმა, ძირითადად სახლების, სადარბაზოების დაცვაზე ორიენტირებულმა დეფექტიურმა ფირმებმა. მარტო ჩემს უბანში თითქმის ყველა



სახლს მაღალი გალავანი აკრავს, დაცვა დგას.

ცალკე გასული შვილი მშობლებს, და-ძმებს, დისწულ-ძმისწულებს ვერ ეწვევა ისე, თუ ანგარიში არ ჩააბარა არც ისე თავაზიან ყმაწვილკაცებს.

ვისთან?

რატომ?

რისთვის?

მერე ნების გარკვევა იწყება.

„თქვენთან არიან. დრო გაქვს, გამოვატაროთ?"

ნერვებს მიშლის ყოველი ასეთი უგერგილო კითხვები.

უხერხულიც.

მადლობა ღმერთს, ჩემი უკულმართი პროფესიის მეოხებით არავინ „ჩამიშვია".

არსად.

არასდროს.

ჩემი გამოისობით არავის გამრუდებია ალმასავალი.

ბევრს გასწორებია.

არც ჩემი ქონება იტაცებს თვალს.

მით უფრო ანტიკვარული ნივთები.

ამიტომაც არსაიდან, არასდროს არ ველი დაქირავებულ მკვლელს. ყაჩაღს, წუპაკ ქურდს.

მხოლოდ ეს ფორმიან-იარაღიანი ბიჭები მირღვევენ მყუდროებას.

სნეული ვერ მომინახულებია საავადმყოფოში, ექიმთან ვერ შევსულვარ მათი მოწყალე ნებართვების გარეშე.

სკოლაში ვერ დამიდგამს ფეხი შვილიშვილების სიბეჯითისა და ზნეკეთილობის გასარკვევად.

ნუ იტყვი რესტორნებს, კაფებარებს, მაღაზიებს.

ყველგან ერთი და იგივე.

ერთნაირი ფორმა.

ერთნაირი საქციელი.

რაღაცნაირი შემპარავი ნაბიჯები.

ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით დასმული შეკითხვები.

თითქოს რაღაცაში უნდა გამოგტეხონ, უნებურად გათქმევინონ დაფარული.

შეურაცხმყოფელი უფროა ეს, ვიდრე გამაღიზიანებელი.

არსში გარკვევა არ არის ძნელი. სიღრმეში არაფერია ჩამარხული. ზევით დევს ყველაფერი, მაგრამ მაინც საჭოჭმანოა გადაჭრით რაიმეს თქმა.

ორში ერთია:

იოლად ნაშოვნმა ფულმა ზნეობა ზედმეტი გახადა, გააუცხოვა ადამიანი... ისევ ადამიანისთვის.

აქედან გამომდინარე:

მოხდა ღირებულებათა გადაფასება, უფრო ზუსტად – გაუფასურება.

ადამიანის ხარჯზე გაფეტიშდა ფული.

ამასთან, გახშირებულმა ყაჩაღობებმა, განუწყვეტელმა თავდასხმებმა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ გაბუქებულმა შემთხვევებმა დააფრთხო ადამიანები.

ინტენსიური აგიტაციის მიუხედავად მას არ სჯერა „მშობლიური პოლიციის" ყოვლისშემძლეობა და საკუთარი ძალებით ცდილობს თავისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნას.

ძნელი დასაჯერებელია, რომ უგერგილოდ დაგეგმილმა და ასე მოდურმა „სპეციალურმა ოპერაციებმა" უშველონ საქმეს.

ისიც ხელის ერთი დაკვრით.

ამიტომაც შიში თრგუნავს ადამიანებს, მაგრამ იგივე შიში ათასში ერთხელ მაინც წინააღმდეგობის, დაუმორჩილებლობის სურვილსაც ბადებს.

ასეთი რამ არის სანუგეშო საქმე...

ადვილი შესაძლებელია ერთბაშად იხუვლოს ყველაფერმა.

დაგუბებული წყლის ერთბაშად მოვარდნა გაცილებით საშიშია, ვიდრე ხანგრძლივი წვიმების შედეგად მდინარეთა მოდიდება.

მთავარი:

ჩნდება სინათლის სისწრაფით თუ არა, ხმის სიჩქარით მაინც მზარდი ეჭვი, რომ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს საკუთარ მოქალაქეთა მშვიდ არსებობას.

უფრო მეტიც:

გამიჭირდება, ნამდვილად გამიჭირდება შვილთან, შვილიშვილთან ხშირი სტუმრობა, თუ ვიცი, რომ იქ დამკითხავს, ლამის წერილობით ჩვენებას ჩამომართმევს განზრახ წარბშეკრული, ნაადრევად გაგოროზებული ყმაწვილი.

გამიჭირდება, მაგრამ რა გზა მექნება, უნდა შევეჩვიო.

ასე თანდათან, ქვიშაზე დასხმული წყალივით ნელ-ნელა გაქრება, ალბათ, მეზობლური, მეგობრული, უფრო უარესი, მამა-შვილური, და-ძმური, ბიძაშვილ-მამიდაშვილური ურთიერთობები, რაც, სულო ცოდვილო, აწყობს კიდეც ვიღაცას – შეფარულ მტერს.

ასე და ამგვარად ადამიანურ ურთიერთობებს, გრძნობებს მალე დაუდგებათ გამყინვარების ჟამი.

ადამიანიც დაკარგავს ფასს და წარმოუდგენლად სწრაფი ტექნიკური წინსვლის მიუხედავად გარდაუვალი გახდება განვითარების ადრეულ ეტაპთან მიბრუნება იმ შემთხვევაში, თუ მართლა სწორი და მეცნიერული ადამიანის წარმოშობის დარვინისეული თეორია...

**სდექ!**

**აქ წერტილი თუ არ დაისვა, წახდება საქმე.**

**უკვე მაშინებს წარმოსახული.**

**ასე იცის ფიქრმა, როცა უჩვეულო, მით უმეტეს უგვანს ხედავ და რაიმეს რადიკალურად შეცვლის, ილაჯი არ გაქვს.**

**ასეთ დროს რა უნდა ქნას კაცმა?**

**მრცხვენია, მაგრამ ცოდვის აღიარება შვება აფორიაქებული სულისთვის.**

**უნდა გავაცხადო კიდეც;**

**არ ვიცი საქნელის სახელი.**

**მშვიდობისთვის, ისიც ვიწრო წრეში დავიდარაბის ატეხვა არ ღირს.**

**სიმშვიდეს მხოლოდ გონიერება შობს.**

**დაბეჯითებით თქმა ძნელია...**

**ახალგაზრდობა კი ძალიან მიყვარს, მაგრამ რა ვქნა, სადარბაზოსთან მდგარი ფორმიანი და მკაცრსახიანი ბიჭების ყურება ნამდვილად მიჭირს.**

**რატომღაც გული მუდამ ცუდს მიგრძნობს.**

**რობერტ ძერია**

◎ გულის ბუხარი

# „რეანიმო" – სიცოცხლის დაბრუნება!

***გურამ ზუბადალაშვილი ცნობილი მკურნალი გახლავთ, კარდიოლოგ-რეანიმატოლოგი, თერაპიის ეროვნული ცენტრის გადაუდებელი, კრიტიკული სამედიცინო დახმარების განყოფილების გამგე, მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორი, არაერთი საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელი, შესანიშნავი მოსაუბრე, ფსიქოლოგი, და ბრწყინვალე დეონტოლოგი, მისი საუბრები სამედიცინო ეთიკის საკითხებზე, მისი უშუალობა და ავადმყოფთან „ახლოს მისვლის" ხელოვნება, მართლაც, რომ დიდი ხელოვნებაა!***

**– გურამ, ამბობენ, შენი საუბრებიც ჰკურნავსო ავადმყოფს... რა ჰქვია ამ მეცნიერებას?**

– ამ მეცნიერებას დეონტოლოგია ჰქვიაო ამბობენ, მაგრამ თუ ცოტა გადატანით ვიტყვით, ამ მეცნიერებას „რეანიმოს" ჰქვია, ჩემო კარგო, – სიცოცხლის გადარჩენა!.. სიცოცხლის გადარჩენა კი, პროფესიულ ცოდნასთან და პრაქტიკულ გამოცდილებასთან ერთად ტკბილ სიტყვასაც შეუძლია... ბევრს ჰგონია, რომ რახან კომპიუტერი გაჩნდა, ყველაფრის „დაგვიწყება" შეიძლება და ადამიანის ტვინი არ არის საჭირო... თუ არ დაგეზარა და ცოტაც წაიკითხე, მორჩა!.. იმაზე კი ნაკლებად ფიქრობენ, რომ წაკითხულის ეფექტურობა წინამორბედთა პრაქტიკულ გამოცდილებაზეა დამოკიდებული... მაგრამ რახან გაჭალარავდი, ბევრს ჰგონია შენი ნააზრევი, რაც უნდა ღრმა იყოს იგი, „რეანიმაციას" არ ექვემდებარება!.. მაგრამ, საბედნიეროდ, არიან გონიერებით მდიდარი ახალგაზრდებიც, რომლებიც დღენიადაგ ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი და მეტი ცოდნა „ამოქაჩონ" წინამორბედთაგან და მოწიწებითაც ეპყრობიან მათს ავტორიტეტს.

**– ამას წინათ, რომელიღაც გაზეთში ტუბერკულოზის საშიშროებაზე წერდნენ და, რაღაც რჩევებს გვასწავლიდნენ...**

– რა უნდა გვასწავლონ ახალი ტუბერკულოზზე?.. მხოლოდ, შეიძლება, შეახსენო ხალხს ზოგიერთი რამ... ყველაფერი ბოლომდე აქვთ მეცნიერებს შესწავლილი! მაგრამ... ყველას, რა თქმა უნდა, ვერ ვკადრებ, მაგრამ ზოგიერთ, უკაცრავად პასუხია, „ექიმს" თავისი უსაგნო ამბიცია არ აძლევს საშუალებას, უბრალოდ, ჩაიხედოს ლიტერატურაში და ამასთან ყური მიუგდოს წინა თაობის წლების მანძილზე დაგროვილ გამოცდილებას!..

**– მაინც რა არის მთავარი ტუბერკულოზის პროფილაქტიკა-მკურნალობაში?**

– ბევრი არაფერი, – ცოდნა!

**– ეს ხუმრობით, უფრო კონკრეტულად?**

– ამ სენით უმეტესად ავადდებიან „ბომჟები", ალკოჰოლიკები, ნარკომანები, პატიმრები, უმუშევრები და სოციალურად დაუცველი, უპოვარი ადამიანები! ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ამ სოციალურ ფენაზე გამახვილდეს ყურადღება, რომ „კოხის" ვერაგ ბაცილებს მოესპოს უსუფთაობის „ბაღი"...

**– ბევრს ტუბერკულოზი მხოლოდ ფილტვების ავადმყოფობა ჰგონია, რომელიც მარტო ადამიანებს ემართებათ...**

– არ არის ადამიანის ორგანიზმი, რომელსაც „კოხი" ერიდებოდეს... არ არის ცხოველი, რომელსაც არ შეეძლოს მისი გავრცელება! ძაღლს და კატას თავი რომ დავანებოთ, „კოხის" გამავრცელებლები შეიძლება იყოს ცხვარი, ძროხა, თხა, კამეჩიც კი... რომელთა პროდუქტებისაგან შეიძლება ადამიანი დაინფიცირდეს! ცხოველი კი, ამ „სიავეს" გაბინძურებული ბალახიდანაც იღებს. ამიტომ ტუბერკულოზთან ბრძოლის, ერთ-ერთი „ველი" საძოვრებზეც გადის!.. სისუფთავე ყველგან და ყველაფერში უნდა დავიცვათ და საშიში არაფერია!!

**– არსებობს ერთი ასეთი შეხედულებაც, – მე ის არ მემუქრება, მე ხომ არ ვეწევი, არ ვსვამ, მე ხომ ჯანმრთელი ცხოვრების წესს მივსდევ...**

– მართალია, რა ჯობია ჯანმრთელი ცხოვრების წესს, მაგრამ როგორც ვთქვით, „კოხი" ვერაგია... უბრალოდ, ხელის ჩამორთმევით, კოცნით, საერთო სარგებლობის ჰიგიენური ნივთიერებიდან და ჰაერიდანაც კი შეიძლება გადაგედოს!.. საშველი არ ყოფილაო, იტყვით!.. არა! ცოტა მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ და ოდნავი სიმპტომის აღმოჩენისას, დროზე მიმართეთ გამოცდილ ექიმს!.. საბედნიეროდ, ამჟამად საკმაოდ კვალიფიციური, გამოცდილი მედიკოსები ემსახურებიან უბნებს, ოჯახებს...

**– რაც უფრო გამოცდილი და წიგნიერია ექიმი, მით უფრო ძვირფასია მის მიერ დასმული დიაგნოზი. ზუსტი დიაგნოზიდან კი, იწყება ავადმყოფის წარმატებული მკურნალობა!**

– ...სწორია!.. დიაგნოზის დასმიდან იწყება მკურნალობა!.. მახსენდება მამაჩემის ამბავი...

...გურამის მამა, ზურაბ ზუბადალაშვილი ცნობილი თერაპევტი გახლდათ და თბილისის მეორე საავადმყოფოში მოღვაწეობდა. უაღრესად მაღალი დონის ექიმის სახელი ჰქონდა... მერე, უთხრეს, პენსიაზე უნდა გახვიდეო! წლოვანება შეუსრულდა და მორჩა!.. გული დაწყდა ბატონ ზურაბს, მაგრამ უკმაყოფილების გამოთქმა არც უკადრებია. იფიქრა, მოდი ჩემს სოფელს მაინც გამოვადგებიო და მეუღლესთან ერთად დედოფლისწყაროს რაიონში, მშობლიურ არბოშიკში გადასახლდა. იმ დღიდან არბოშიკი გახდა ქართული „თერაპიის ცენტრი". რაიონის ექიმებისთვის პირდაპირ ღვთის სიკეთედ იქცა ბატონი ზურაბის კონსულტაციები, პრაქტიკული საქმიანობა. მისი გამოცდილება ყველას დასჭირდა. თბილისიდანაც კი ჩადიოდნენ მისი ნამოწაფარი კოლეგები... იყო საუბარიც, – მოდით, ვთხოვოთ ბატონ ზურაბს ისევ დაუბრუნდესო თბილისს, მაგრამ თავმოყვარე კაცმა არ ქნა ეს! ნახევრად ხუმრობით პასუხობდა: – რას მერჩით კაცო, აქაც მშვენივრად ვარ, კარგსა ვჭამ, კარგსა ვსვამ, მშვენიერ ჰაერზე ვარ და... აქაურებს უფრო მოჰმადლებიათ დაფასება ამაგისაო!

– მართალი იყო მამაჩემი, იქ სადაც ცოდნასა და გამოცდილებას არ აფასებენ, უმეცრებას უდგას ტახტი!.. რეანიმაციის სამსახური, მეხანძრის სამსახურს ჰგავსო, ამბობდა, ხოლმე...და აქაც მართალი იყო! – როდესაც რეანიმაციაზეა საუბარი, უნდა დავიცვათ მკაცრად დადგენილი წესები, – სარეანიმაციო ავადმყოფს თავიდანვე სხვა განყოფილებაში არ უნდა ვაწვენდეთ! სხვა განყოფილებაში ავადმყოფები მას შემდეგ გადაჰყავთ, როდესაც უკვე მიღებული აქვთ უპირველესი დახმარება და სტაბილური გამოკვლევა და მკურნალობა სჭირდებათ. ამიტომ ეწოდება ამ განყოფილებას, – კრიტიკული მედიცინის განყოფილება!.. ჩვენი თანამშრომლები განა ტყუილად გადიან ლიცენზირებას კრიტიკულ მედიცინაში კონკრეტულად. ეს კი გულისხმობს არა თერაპიას, არა ქირურგიას, არა კარდიოლოგიას, და ა. შ. არა ცალკე აღებულ რომელიმე ერთ დარგს, არამედ, ზოგადად, მედიცინის თითქმის ყველა მიმართულებას. ამ განყოფილებაში განსაკუთრებით მაღალი კვალიფიკაციის, გამოცდილი და ფართო პროფილის ექიმები უნდა მუშაობდნენ და მათი ანაზღაურებაც განსაკუთრებული უნდა იყოს...

**– სასწრაფო დახმარება უფასო გახდა!.. ამბობენ კლინიკაშიც პირველადი დახმარება უფასო უნდა იყოსო სასწრაფო დახმარების მანქანით მიყვანილი ავადმყოფებისთვის...**

– დიახაც, რომ უნდა იყოს!.. მით უმეტეს დღეს, როდესაც საარსებო მინიმუმი სანატრელი აქვს ხალხს, პენსიაც ერთობ სასაცილოა...

**– დაზღვევით უნდა ეშველოს ამ საქმეს... ყოველი ადამიანი დაზღვეული უნდა იყოს!..**

– უნდა იყოს, მაგრამ მიდი და დაეზღვიე!.. 40-50 წლისზემოთ თუ ხარ, ვნახოთ თუ დაგაზღვევენ!..

**...კრიტიკული მედიცინის განყოფილებაში მძიმე ავადმყოფი შემოიყვანეს. წამიც და ფეხზე დადგა მთელი განყოფილება: დაიწყო ბრძოლა სიცოცხლისთვის!**

**გურამს უკვე არ ეცალა ჩემთან სასაუბროდ, იწყებოდა „რეანიმოს" – სიცოცხლის შემობრუნება, აღდგენა, გადარჩენა!**

**ზაურ ფიფია**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მიხეილ სააკაშვილი შეერთებული შტატების მომავალ პრეზიდენტს მასპინძლობდა



**ამერიკელ სენატორთა ჯგუფი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის მიწვევით კერძო ვიზიტად იმყოფებოდა ამ ქვეყანაში, კვირას ცხინვალის რეგიონში ჩავიდა, სადაც საქართველოში ეუთოს მისიის წარმომადგენლებთან ერთად შეხვდა სამხრეთ ოსეთის ლიდერს ედუარდ კოკოითის და ამ თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელმძღვანელობის წევრებს. როგორც ქართული ტელეარხი „იმედი“ იტყობინებოდა, ვიზიტის პროგრამა არ ითვალისწინებდა მოგზაურობას ამ რეგიონში, მაგრამ პრეზიდენტის აპარატში ეს ინფორმაცია არ დაუდასტურებიათ.**



კოკოითისთან შეხვედრის დასრულების შემდეგ, ამერიკელთა ჯგუფის მეთაურმა სენატორმა ჯონ მაკკეინმა ჟურნალისტებს აცნობა: საქართველოში ვიზიტის მთავარი მიზანი იყო ის, რომ ამერიკელი სტუმრები გაცნობოდნენ საქართველოს პრობლემურ რეგიონებს და გამოენახათ მძიმე სიტუაციიდან გამოსვლის გზები. „ჩვენ ძალზე ვაფასებთ ეუთოს როლს ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგებაში და იმედი გვაქვს, რომ ახლო მომავალში უფრო ეფექტიანი გახდება სამშვიდობო დიალოგის პროცესი“, — თქვა სენატორმა. კითხვას, კოსოვოს დამოუკიდებლობის შესაძლო აღიარების შემდეგ, შეერთებული შტატები ხომ არ აპირებს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის საკითხის განხილვას, სენატორმა მაკკეინმა უპასუხა, რომ „იგი ძალზე გაოგნებული დარჩებოდა ამით“.

ოკეანისგაღმელის სტუმრის ასეთი კატეგორიული უარყოფითი პასუხის მიუხედავად, ედუარდ კოკოითიმ გაუსვა ხაზი ამერიკელ სენატორებთან მოლაპარაკების კეთილმოსურნე ტონს. „ძალზე სასიამოვნოა, რომ მათ სურთ სიტუაციაში გაერკვნენ უშუალოდ, და არა საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, ან საქართველოს ხელმძღვანელობის გამონათქვამების მეშვეობით“, — განაცხადა კოკოითიმ.

როგორც მან აღნიშნა, შეხვედრის დროს სამხრეთ ოსეთის მხარემ ხაზი გაუსვა, რომ ერთგულობს მოლაპარაკების ამჟამინდელ ფორმატს და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას და მოუწოდებს თბილისს, რომ მანაც ასევე იმოქმედოს. „კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ მისიას, რომელსაც რუსი სამშვიდობოები ასრულებენ სამხრეთ ოსეთში, ალტერნატივა არა აქვს“, — თქვა კოკოითიმ.

ამერიკელი სენატორების შეხვედრა თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან გაიმართა მოლაპარაკების პროცესში დაძაბულობის ახალი ეტაპის ფონზე. როგორც ცნობილია, მოსკოვში შერეული საკონტროლო კომისიის წარუმატებელი შეხვედრის შემდეგ, თბილისმა და ცხინვალმა დროებითი მორატორიუმი დაუწესეს მოლაპარაკების პროცესს, აიღეს პაუზა სექტემბრის შუა რიცხვებამდე. ამის შემდეგ, სამხრეთ ოსეთის მხარემ თბილისი დაადანაშაულა კონფლიქტის ზონაში პროვოკაციების ორგანიზებასა და სამხრეთ ოსეთში ეგრეთ წოდებული „ნაღმების ომის“ გაჩაღების მცდელობაში. თავის მხრივ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ანალოგიური ბრალდებები გამოთქვა თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელისუფლების მისამართით და რუსეთის მოქმედებაშიც რაღაც ბოროტ განზრახვებს გაუსვა ხაზი. კერძოდ, განცხადებაში გამოთქმულია პროტესტი ცხინვალში რუსეთის ფედერაციის საპენსიო ფონდის საკონსულტაციო პუნქტის გახსნის გამო. თბილისმა მოითხოვა, რომ მოსკოვმა დაუყოვნებლივ გამოიხმოს ყველა ის მოხელე, რომლებიც მან მიავლინა საქართველოს კონტროლსდაუქვემდებარებელ რეგიონებში.

ამერიკელ სენატორთა დელეგაცია თბილისიდან თურქეთს გაემგზავრა, საიდანაც სერბეთსა და ჩერნოგორიაში აპირებს ჩასვლას. დელეგაციის მეთაურმა ჯონ მაკკეინმა კარგი გუნება-განწყობილებით დატოვა საქართველო. აქ უპრიანია გავიხსენოთ პრეზიდენტ სააკაშვილის სიტყვები, რომლებითაც მან გორში მიმართა ჟურნალისტებს: „თუ ამერიკულ პრესას ვერწმუნებით, ახლა შეიძლება თითქმის თამამად ითქვას, რომ პატივი გვაქვს ვუმასპინძლოთ შეერთებული შტატების მომავალ პრეზიდენტს ჯონ მაკკეინს“.

**იური სიმონიანი**

НЕЗАВИСИМАЯ

29 აგვისტო

# ვამბობთ ჩერნოგორიას, ვგულისხმობთ აფხაზეთს

**ჩერნოგორიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა სულ რაღაც სამი თვის წინათ, როცა საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის შედეგად გამოეყო სერბეთს. ამ ფაქტმა ძალზე გაამხნევა აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, დნესტრისპირეთის სეპარატისტული ხელისუფლებების წარმომადგენლები, რომლებმაც ამაში დაინახეს ისეთი პრეცედენტი, დამოუკიდებლობის მოპოვებაში რომ შეუწყობდათ ხელს.**

მაგრამ, პოლიტიკური პრეცედენტები ყოველთვის როდის არის მიბაძვის მაგალითი, რადგან პოლიტიკა თავიდან ბოლომდე ნიუანსებისგან შედგება. სერბეთი ჩერნოგორიას ძალით არ აკავებდა თავის შემადგენლობაში, მაგრამ ალბანელები თუ „ჩამოაშორებენ“ ბელგრადს კოსოვოს, რომელიც სერბეთისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ისტორიული თვალსაზრისით, ეს უკვე სერიოზული რამ იქნება.

სანკტ-პეტერბურგში „დიდი რვიანის“ შეხვედრის წინ, პუტინმა და-



სავლელ ჟურნალისტებს განუცხადა: „...მაშინ სამხრეთ ოსეთისთვის და აფხაზეთისთვის ძნელი ასახსნელი იქნება, თუ რატომ შეიძლება ასეთი რამ კოსოვოსთვის, მათთვის კი — არა“. რუსეთის პრეზიდენტის აზრით, მსოფლიოში უნდა შემოიღონ ერთიანი წესები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამეფდება ქაოსი.

28 აგვისტოს ჩერნოგორიას პრეზიდენტი მილო ჯუკანოვიჩი რუსეთის ლიდერის სოჭის რეზიდენციაში ჩავიდა როგორც ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ხელმძღვანელი.

ჯუკანოვიჩმა პუტინს მადლობა გადაუხადა იმისათვის, რომ რუსეთი იყო პირველი დიდი სახელმწიფო, რომელმაც აღიარა ჩერნოგორიის დამოუკიდებლობა. სხვათა შორის, რუსეთთან მეგობრობის გამო ევროკავშირის სახელმწიფო მოხელეებმა ბევრი საყვედური გამოთქვეს ჩერნოგორიის მისამართით. როცა ჩერნოგორიამ აქტიურად დაიწყო თანამშრომლობა რუსულ ბიზნესთან, ევროკავშირის უმაღლესმა კომისარმა ხავიერ სოლანამ ჯუკანოვიჩს ირონიულად ჰკითხა: „კიდევ რა მიჰყიდეთ ჩვენს რუს მეგობრებს?“ ამას ეჭვიანობის გარდა სხვას ვერაფერს ვუწოდებთ.

სხვათა შორის რუსეთის 30 ათასმა ფირმამ და მოქალაქემ უკვე შეისყიდეს ჩერნოგორიაში უძრავი ქონება — ვილები, სასტუმროები, ბინები. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, პრესისათვის დახურული შეხვედრის დროს პუტინმა ჯუკანოვიჩს მადლობა გადაუხადა იმის გამო, რომ ჩერნოგორიამ გაუღო კარი რუსულ ბიზნესს.

ორი ქვეყნის პრეზიდენტებმა კოსოვოს პრობლემაზეც იმსჯელეს. ძნელია სათქმელია, გაავლეს თუ არა ამ შეხვედრის დროს პარალელი კოსოვო-აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთს შორის, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, რუსეთის პრეზიდენტმა არაორაზროვნად მიანიშნა, რომ მოსკოვი მხარს უჭერს სერბეთის ტერიტორიულ მთლიანობას. თუმცა, აქ ძალზე მნიშვნელოვანი იქნება თვით ბელგრადის პოზიცია.

**ლარისა კაფტანი**

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

29 აგვისტო

# რუსი სამშვიდობოები ამერიკელ სენატორს „სიცოცხლეს უმწარებენ“

**შეერთებულ შტატებში საქართველოს ლობისტბა სენატორმა ჯონ მაკკეინმა და მისმა რამდენიმე კოლეგამ დაასრულეს ვიზიტი საქართველოში. ქვეყნის უძველესი დედაქალაქის — მცხეთის, აგრეთვე მაღალმთიანი სვანეთის, ზღვისპირა აჭარის მონახულების და ცხინვალში ვიზიტის შემდეგ, მაკკეინმა გამართა ბრიფინგი თბილისში.**

მან დადებითად შეაფასა თითქმის ყველა სფეროში განხორციელებული რეფორმები. „პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი გუნდის წევრები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ იგრძნობოდეს სიტუაციის გაუმჯობესება, და ეს მათ გამოსდით“, — დარწმუნებულია ამერიკელი სენატორი.

გარდა ამისა, მან შენიშნა, რომ საქართველოში არის გარკვეული პრობლემები, კერძოდ, იგი გულისხმობდა ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფ რუსეთის სამხედრო ბაზებს. „შეერთებული შტატები კვლავაც აქტიურობს ითანამშრომლოს საქართველოსთან ამ საკითხის გადაწყვეტაში“, — თქვა მაკკეინმა. რაც შეეხება რუსი სამშვიდობოების ყოფნას საქართველოს კონფლიქტურ ზონებში, სენატორის აზრით, დადგა დრო, რომ მათ ჩაენაცვლონ ევროკავშირის ან ეუთოს სამშვიდობო ძალები.



შეეხო რა ცხინვალში ედუარდ კოკოითისთან გამართულ შეხვედრას, მაკკეინმა განაცხადა, რომ იგი ნაყოფიერი არ ყოფილა. როგორც ტელეკომპანია „იმედი“ იტყობინებოდა, სენატორმა აღნიშნა, რომ ვითარება კონფლიქტის ზონაში საკმაოდ მძიმეა, და მას კიდევ უფრო ართულებს იქ რუსი სამშვიდობოების ყოფნა. „შეხვედრა კოკოითისთან არ ყოფილა პროდუქტიული, რადგან ვერ მივიღეთ პასუხი ასეთ კითხვაზე: კონფლიქტის ზონაში რატომ უშლიან ხელს ეუთოს მისიის საქმიანობას“, — თქვა მან. გარდა ამისა, „ცხინვალის შესასვლელთან არის წარწერა (პლაკატიძ: „პუტინი ჩვენი პრეზიდენტია!“. არა მგონია, რომ პუტინი იქ „ჩვენი პრეზიდენტი“ იყოს“, — მიაჩნია ამერიკელ პოლიტიკოსს.

აჭარაში, გონიოს ისტორიული ციხის მახლობლად, მიხეილ სააკაშვილმა ამერიკის წარმომადგენელი დააჯილდოვა წმინდა გიორგის ორდენით და საჩუქრად გადასცა ხმალი. მანამდე სააკაშვილმა თბილისში ყოფნისას ამავე ორდენით დააჯილდოვა შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუშიც.

ИЗВЕСТИЯ



# კოფი ანანი: არის მშვიდობის დამყარების იმედი

**გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა გამოთქვა იმედი, რომ ისრაელის და „ჰესბოლას“ დაჯგუფებას შორის მიღწეული დაზავება ლიბანში შექმნის „ხანგრძლივი მშვიდობის და ცეცხლის შეწყვეტის“ შესაძლებლობას.**

ლიბანის პრემიერ-მინისტრთან ფუად სინიორასთან მოლაპარაკების შემდეგ ბეირუთში გამოსვლისას, ანანმა მოუწოდა ისრაელის ხელისუფლებას მოხსნას ლიბანისთვის დაწესებული საზღვაო და საჰაერო ბლოკადა, „ჰესბოლას“ კი – გაათავისუფლოს ტყვედ აყვანილი ორი ებრაელი ჯარისკაცისგან.

გაეროს გენერალური მდივნის თქმით, მოლაპარაკების ყველა მონაწილე მხარე უნდა დათანხმდეს იმას, რომ „ლიბანში მოქმედებდეს ერთი კანონი, იყოს ერთი ხელისუფლება და ერთი არმია“.

მოლაპარაკების დროს საქმე შეეხო ლიბანში გაეროს 15-ათასიანი სამშვიდობო კონტინგენტის განლაგებას.

ამ ძალების მომავალი მანდატის განხილვის დროს წამოიჭრა მრავალი პრობლემა, რადგან პოტენციურ დონორ ქვეყნებს სურთ თავიდან აიცილონ აშკარა კონფლიქტი „ჰესბოლას“ მოთარეშეებთან.

ევროპის კავშირის ქვეყნები დათანხმდნენ ლიბანში 7 ათასი სამშვიდობოს გაგზავნას. მაგრამ ისინი არ არიან მზად „ჰესბოლას“ განიარაღებისთვის, რასაც დაჟინებით მოითხოვს ისრაელი.

ბეირუთში გამართულ პრესკონფერენციაზე კოფი ანანს ჰკითხეს, შესაძლებელია თუ არა ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარება იმ შემთხვევაში, თუ „ჰესბოლა“ უარს იტყვის იარაღის დაყრაზე. გენერალური მდივნის პასუხი ასეთი იყო: „მოდით, თვალი გადავავლოთ ისტორიას. მრავალი შეიარაღებული დაჯგუფება განუიარაღებიათ არა ძალის გამოყენებით, არამედ პოლიტიკური შეთანხმებებისა და ეროვნული დიალოგის საფუძველზე. ძალა არ არის ის ერთადერთი საშუალება, რომელიც შეიარაღებულ ფორმირებებს აიძულებს იარაღის დაყრას“.

რაც შეეხება ტყვე ებრაელ ჯარისკაცებს, ანანმა მოუწოდა „ჰესბოლას“, რომ ისინი გადასცეს „ან საერთაშორისო „წითელ ჯვარს“ ან ლიბანის მთავრობას, ან მესამე მხარეს“.

„ჰესბოლას“ ლიდერმა შეიჰ ჰასან ნასრალამ განაცხადა, რომ არ გასცემდა ორი ებრაელი ჯარისკაცის ტყვედ აყვანის ბრძანებას, თუ ეცოდინებოდა, რომ ეს გამოიწვევდა ომს.

ლიბანის შემდეგ ანანი ეწვევა ისრაელს, პალესტინის ავტონომია, სირიას, აგრეთვე ირანს, სადაც იგი არ ჩასულა მას შემდეგ რაც ამ ქვეყნის პრეზიდენტი გახდა მაჰმუდ აჰმადინეჯადი.

გაეროს გენერალური მდივნის ტურნე აღმოსავლეთის ქვეყნებში 11 დღეს გასტანს.

# სომხეთს ჯიჰადით ემუქრებიან

**აზერბაიჯან-სომხეთის დაპირისპირებაში მოულოდნელად გამოჩნდა ერთ-ერთი ყველაზე საშიში ფაქტორი – რელიგიური.**

ამ დღეებში ბაქოში გამართულ პრესკონფერენციაზე აზერბაიჯანის სულიერმა ლიდერმა, კავკასიის მუსლიმანთა სამმართველოს მეთაურმა შეიჰ-ულ-ისლამ ჰაჯი ალაჰშუქიურ ფაშაზადემ ასეთი განცხადება გააკეთა: „მზად ვარ გამოვაცხადო ჯიჰადი აზერბაიჯანის ოკუპირებული ტერიტორიების განთავისუფლებისათვის“. თუმცა, მან ამასთან დააზუსტა, რომ ამას გააკეთებს „მაშინ, როცა დადგება დრო“, რადგან ჯერ კიდევ არ ამოწურულა სამშვიდობო მოლაპარაკების პოტენციალი.



როგორც ფაშაზადემ აღნიშნა, მთიანი ყარაბაღის საკითხი ყოველთვის არის ერთ-ერთი უმთავრესი მრავალი ქვეყნის მაღალი თანამდებობის პირებთან და თვალსაჩინო რელიგიურ მოღვაწეებთან მისი შეხვედრების დროს. „მრავალი მათგანი მთლიანად იზიარებს ჩვენს პოზიციას და მზად არის დაეხმაროს აზერბაიჯანს კონფლიქტის მოგვარებაში“, – აღნიშნა ფაშაზადემ, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, არა მარტო აზერბაიჯანში, არამედ მთელ ისლამურ სამყაროში.

ადგილობრივ ანალიტიკოსთა აზრით, ერევნის მისამართით გამოთქმული მუქარა მოწმობს, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის გაჭიანურების ფონზე აზერბაიჯანის საზოგადოებაში სულ უფრო რადიკალური იდეები მწიფდება. ეს შენიშნეს ეუთოს მინსკის ჯგუფის საერთაშორისო შუამავლებმაც, რომლებმაც სასწრაფოდ დაიწყეს აზერბაიჯან-სომხეთის მოლაპარაკების მორიგი რაუნდის მომზადება.

როგორც ჟურნალისტებს განუცხადა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის სამმართველოს უფროსმა თაირ ტაგიზადემ, პირველი ეტაპისთვის დაგეგმილია გაიმართოს ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა. არ არის გამორიცხული, რომ მინისტრების მოლაპარაკების დროს მხარეები მიაღწევენ მორიგებას ორი ქვეყნის სახელმწიფოთა მეთაურების მორიგი შეხვედრის გამართვის შესახებ.

ერევან-ბაქოს დიალოგის გაგრძელებას შუამავლები ცდილობენ მაშინ, როცა გახშირდა სროლა კონფლიქტის მონაწილე მხარეთა შეიარაღებული ფორმირებების შეხების ხაზზე.

როგორც აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახური იტყობინება, სომხეთის მხარემ კიდევ ერთხელ დაარღვია ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი, როცა კვირას გაუხსნა ცეცხლი აზერბაიჯანელთა პოზიციებს, აზერბაიჯანის სოფელ გიულუსტანის მიდამოებში. სროლა შეწყდა საპასუხო ცეცხლის გახსნის შემდეგ. დანაკარგები არ არის, – აღნიშნავდა აზერბაიჯანის თავდაცვითი უწყების პრესსამსახური.

# კალიფორნიას ტროპიკული შტორმი – „ჯონი“ უახლოვდება

**ამჟამად ტროპიკული შტორმი აკაპულკოდან (მექსიკაძ სამხრეთ-აღმოსავლეთით 435 კილომეტრზე იმყოფება და საათში 11 კილომეტრი სიჩქარით მიიწევს დასავლეთ-ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, მექსიკის სანაპიროს გასწვრივ, ამერიკის კალიფორნიის შტატისკენ, – იტყობინებოდა შეერთებული შტატების ეროვნული ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის ქარიშხლების პროგნოზის ცენტრი.**

სინოპტიკოსთა მონაცემებით, შტორმ „ჯონის“ თანმხლების ქარის სიჩქარე საათში 100 კილომეტრს შეადგენს, და უახლოესი მომავლისთვის მოსალოდნელია მისი კიდევ უფრო გაძლიერება.

„ამრიგად, ჩვენი ვარაუდით, „ჯონი“ შეიძლება გახდეს პირველი კატეგორიის ქარიშხალი, ანუ თანმხლები ქარის სიჩქარე უკვე სამშაბათს გადააჭარბებს საათში 119 კილომეტრს“, – აცხადებდა ცენტრი.

ამავე დროს, სინოპტიკოსთა ინფორმაციით, სამშაბათს საღამოსათვის ფლორიდის შტატს მიუახლოვდება მეორე ტროპიკული შტორმი – „ერნესტო“. ასეთი ცნობა გაავრცელეს შეერთებული შტატების ეროვნული ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის ქარიშხლების პროგნოზის ცენტრში.

ამჟამად „ერნესტო“ კუბის თავზე იმყოფება, ფლორიდიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 520 კილომეტრზე და მაიამიდან – 515 კილომეტრ მანძილზე.

„ერნესტო“ საათში 19 კილომეტრი სიჩქარით მოძრაობს დასავლეთ-ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, მისი შემობრუნება ჩრდილო-დასავლეთისკენ კი უახლოეს დღეების განმავლობაში არის მოსალოდნელი.

მეტეოროლოგთა მონაცემებით, ამჟამად „ერნესტოს“ თანმხლები ქარის სიჩქარე საათში 65 კილომეტრს შეადგენს. ტროპიკული შტორმის ძალის ქარი „ერნესტოს“ ცენტრიდან 140 კილომეტრ მანძილზე ვრცელდება. სინოპტიკოსთა ვარაუდით, ტროპიკული შტორმი ფლორიდაში გამოიწვევს 25 სანტიმეტრი ნალექების მოსვლას.

მაგრამ ტროპიკული შტორმის ძალა საგრძნობლად შესუსტდა მას შემდეგ, რაც მან შეაღწია აღმოსავლეთ კუბის ტერიტორიაზე.

# თურქეთში მომხდარ აფეთქებებში „ქურთი მოთარეშეები“ მონაწილეობდნენ

**თურქეთის საკურორტო ქალაქ ანტალიაში მომხდარი აფეთქების შედეგად დაიღუპა სამი და დაშავდა ათობით ადამიანი, იტყობინებოდა თურქეთის პოლიცია.**

ანტალია არის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული დასასვენებელი ადგილი და მას მრავალი უცხოელი ტურისტი ეტანება.

პოლიციის ინფორმაციით, ასაფეთქებელი მოწყობილობა დადებული იყო მოტოციკლის საბარგულში, რომლითაც სურსათით ამარაგებდნენ სწრაფი კვების ობიექტებს.

აღსანიშნავია, რომ აფეთქება მოხდა ანტალიაში რუსეთის გენერალური საკონსულოს შენობიდან 80 მეტრ მანძილზე. მსუბუქად არის დაშავებული ორი რუსი ტურისტი.





მანამდე კი სამი აფეთქება გაისმა თურქეთის პოპულარულ კურორტ მარმარისში და კიდევ ერთი – სტამბოლში, რომელთა შედეგადაც დაიჭრნენ თურქეთის და ბრიტანეთის მოქალაქეები.

გავრცელებული ინფორმაციით, ერთ-ერთი აფეთქება მოხდა მიკროავტობუსში. ამ ტერაქტის შედეგად დაშავდა 11 თურქი და 10 ბრიტანელი.

მარმარისსა და სტამბოლში მომხდარი აფეთქებებისთვის პასუხისმგებლობა იკისრა ქურთთა გასამხედროებულმა დაჯგუფებამ – „ქურთისტანის განთავისუფლების შევარდნები“.

როგორც ორშაბათს საღამოს იტყობინებოდა პოლიცია, დააკავეს ერთი კაცი. იგი, სავარაუდოდ, მონაწილეობდა შეთქმულებაში, რომლის მიზანი იყო თურქეთის დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქ იზმირში აფეთქების განხორციელება.

გასული წლების განმავლობაში სტამბოლში მოხდა ასევე რამდენიმე აფეთქება, რომლებსაც მოჰყვა მსხვერპლი. გარდა ამის, 2005 წლის ივლისში, საკურორტო ქალაქ კუშადისში ამოქმედდა სამარშრუტო ტაქსში დადებული ბომბი. მაშინ ამ ტერაქტს ემსხვერპლა 5 კაცი, 14 კი – დაიჭრა. დაღუპულთა შორის იყვნენ დიდი ბრიტანეთის, ირლანდიის და თურქეთის მოქალაქეები.

გასული წლის აგვისტოში ანტალიაში მომხდარი ორი აფეთქების შედეგად დაიჭრა 6 კაცი.



# საერთაშორისო ტერორიზმს წინასწარმეტყველებს... ბიბლია

**— 2006 წელი, საერთაშორისო ტერორიზმის მხრივ, კრიტიკული იქნება, — ეს დასკვნა გამოიტანა ცნობილმა ისრაელელმა მათემატიკოსმა ელია რიფსმა მის მიერ გაშიფრული კოდირებული გზავნილის ანალიზის შედეგად, რომელიც მან ბიბლიაში აღმოაჩინა.**

ელია რიფსმა და გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ ყოფილმა ჟურნალისტმა მაიკლ დროსნინმა ჯერ კიდევ 1997 წელს გამოაქვეყნეს წიგნი „ბიბლიური კოდი“, სადაც მთელი რიგი მინიშნება იყო გაკეთებული 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკის საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის ტყუპ ცათამბჯენებზე თვითმფრინავებით იერიშის მიტანასა და შატლ „კოლუმბიას“ დაღუპვის თაობაზე.

წიგნის ეფექტი იმდენად დიდი იყო, რომ მწერალი ვაშინგტონში გამართულ პენტაგონის ანალიტიკური და სადაზვერვო სამსახურების უმაღლეს ხელმძღვანელთა საიდუმლო თათბირზე მიიწვიეს, სადაც მან ბიბლიის გზავნილის გაშიფრვის შედეგად მიღებული მონაცემების შესახებ ინფორმაცია წარადგინა.

რიფსის მონაცემებით, ტერორისტული მუქარის თვალსაზრისით მძაფრი სწორედ 2006 წელი იქნება, როცა ახლო აღმოსავლეთში კრიზისული ვითარება შეიქმნება ბირთვული იარაღის გამოყენებით. ამასთან, მთავარ სამიზნეებად დასახელებულია იერუსალიმი და თელ-ავივი, აგრეთვე ნიუ-იორკი. „მუქარა ოსამა ბენ ლადენის დაახლოებულ პირთაგან, ან თავად მისგან წამოვა, თუკი იგი ამ დროისთვის ჯერ კიდევ ცოცხალი იქნება“, — განაცხადა დროსნინმა.

# ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო...

**„რამდენად გიყვარს თქვენი შინაური ცხოველი?“ — ამ კითხვით მიმართა ლონდონის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ინსტიტუტმა გაერთიანებული სამეფოს ცხოველების მოყვარულთა საზოგადოების წევრებს.**

გამოკითხულთა მესამედმა განაცხადა, რომ ძაღლები და კატები მათთვის უფრო მეტადაა მნიშვნელოვანი, ვიდრე სამსახური და ფული, ხოლო ყოველი მეათე ქალბატონისთვის საყვარელი ცხოველი... ქმარზე უფრო ძვირფასია.

# ფრთხილად, გლაუკომა!

**საფრანგეთში ჩატარებულმა პროფილაქტიკურმა სამედიცინო გამოვლენამ ერთობ შემაშფოთებელი ამბავი გამოავლინა: აღმოჩნდა, რომ თვრამეტ წელიწადს გადაცილებულ ადამიანთა ხუთ პროცენტს ძალიან მაღალი თვალის წნევა აქვს.**



ამასთან, სამ პროცენტს თვალისჩინის სრული დაკარგვა ემუქრება, თუკი სასწრაფოდ არ დაიწყებენ, რადიკალურ მკურნალობას. მიღებულ სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზის შედეგად, ოფტალმოლოგებმა გამოიტანეს დასკვნა: ორმოც წელს გადაცილებულმა ადამიანებმა თვალის შიდა წნევა წელიწადში ერთხელ მაინც აუცილებლად უნდა გაიზომონ.

# იდღეგრძელეთ!

**ქალების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მამაკაცებისაზე გაცილებით მეტია. ამის იმზეზი სქესებს შორის სერიოზული ფიზიოლოგიური, ანატომიური, ფსიქოლოგიური და სიცოცხლისუნარეობრივი განსხვავებებია. ცნობილია, რომ ზოგადად ჭარბობს მამაკაცთა ჩანასახები. სხვადასხვა წყაროთა მონაცემებით, 105 ახალშობილ ვაჟზე 100 გოგონა მოდის. ეს ისეთივე კანონზომიერებაა, როგორც ის, რომ ვაჟებს შორის სიკვდილიანობა — დაკვირვებათა საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე — გაცილებით მაღალია.**

სიცოცხლის პირველ წელს 20-30 პროცენტით უფრო მეტი ვაჟი იღუპება. ხუთი წლის ასაკისთვის განსხვავება თითქოს უფრო შეუმჩნეველი ხდება, მაგრამ შემდეგ კვლავ მატულობს და თავის „პიკს“ 15-დან 30 წლამდე პერიოდში აღწევს. შემდეგ „სიკვდილის ქარი“ კვლავ „ჩადგება“, მერე კი 40-დან 44 წლამდე და 60 წლამდე ასაკში კვლავ იზრდება. ამჟამად 60 წლამდე მეტი ასაკის ქალი დედამიწაზე მამაკაცზე ორჯერ მეტია.

## რა არის „გინესის რეკორდების წიგნი“

ლონდონის შუაგულში, პიკადილისერკუსზე განთავსებულ კულტურულ ცენტრ ტროკადეროში გამართულ მუდმივმოქმედ გამოფენას მუდამ იმდენი მნახველი ჰყავს, რომ იგი „გინესის რეკორდების წიგნში“ შეტანის ერთ-ერთი პრეტენდენტია, იქნებ ყველაზე რეალურიც, რომ არა ერთი, ცოტა არ იყოს, უხერხული გარემოება. საქმე ის გახლავთ, რომ გამოფენა სწორედ რომ თავად „გინესის რეკორდების წიგნის“ გამომცემლობას ეკუთვნის...

ყველაფერი კი ნიძლავით დაიწყო.

1951 წლის 10 ნოემბერს, შაბათს, სერ ჰიუ ბივერი მეგობრებთან ერთად ირლანდიის სამხრეთ-აღმოსავლეთის საგრაფო უექსფორდში ნადირობდა. იმ დღეს ვერც ერთმა მონადირემ ვერც ერთი ფრინველი ვერ მოკლა, საღამოთი კი, მხიარულად მოგიზგიზე ბუხართან, მეგობრები ამის მიზეზებზე ბჭობდნენ. ზოგი ამბობდა, რომ აქაური ფრინველები ევროპაში ყველაზე სწრაფად მფრენები არიან, ზოგიერთი კი მათ არ ეთანხმებოდა. ამ კამათს მეტად მოულოდნელი გაგრძელება ჰქონდა.

1954 წელს, როცა სერ ბივერი თავად დარწმუნდა, თუ რაოდენ ძნელია ხოლმე წარმოქმნილ ცხოვრებისეულ კამათში ჭეშმარიტების დადგენა, გადაწყვიტა საკუთარი ცნობარი გამოეცა, სადაც თავმოყრილი იქნებოდა ცნობები „ყველაზე უფრო...“ „რაღაცნაირი“, „რამე-რუმეების“ შესახებ. სასტარტო სახსრების მოძიება პრობლემას არ წარმოადგენდა, ვინაიდან სერ ჰიუ წარმატებული ლუდის კამპანია „გინესის“ აღმასრულებელი დირექტორი გახლდათ. მან საინფორმაციო სააგენტოებში მომუშავე ტყუპები ნორის და როს მაკგუაიერები მიიწვია და ამ უჩვეულო გამოცემის აწყობა შესთავაზა. ასე გაჩნდა ლონდონის „საგაზეთო“ ქუჩა ფლიტსტრიტზე ახალი რედაქცია (შემდგომ მან მისამართი შეიცვალა). 1955 წელს 198-გვერდიანი „გინესის რეკორდების წიგნი“ გამოსვლისთანავე ბესტსელერად იქცა და სადღეისოდაც ასეთად რჩება. ყოველწლიურად ახალი გამოცემა ისტამბება.

## „ბავშვური“ ლოგიკა



**ერთ-ერთ ამერიკულ სკოლაში მასწავლებელი ბავშვებს „სამყაროს შექმნის“ ბიბლიურ ამბავს უყვებოდა. გაკვეთილი რომ ახსნა, და ბავშვებს ჰკითხა: „რამდენ ხანს დაჰყვეს ადამმა და ევამ სამოთხეში?“ ერთ-ერთმა მათგანმა დაუფიქრებლად უპასუხა: „ოქტომბრის შუა რიცხვებამდე“. „რატომ?“, — გაუკვირდა მასწავლებელს. „იმიტომ, რომ მათ ვაშლი შეჭამეს, ყველაზე გემრიელი ვაშლი კი, სწორედ ამ დროს მწიფს“, — უპასუხა მოსწავლემ.**

## სწავლა სიქაჩლემდეო



**მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმული სტუდენტი, როგორც ჩანს, გეორგ შუტერი გახლავთ, რომელიც ჰეიდელბერგის უნივერსიტეტში მათემატიკას სწავლობს. იგი 86 წლისაა. შუტერს უკვე აქვს სამი მეცნიერებათა დოქტორისა და ხუთი პროფესორის წოდება თეოლოგიის, ფილოსოფიისა და მედიცინის დარგებში.**

# „ვირთაგვების ხელმწიფის“ საიდუმლო

**შუა საუკუნეებში ვისაც კი ეს საზარელი საოცრება სახლში აღმოაჩნდებოდა, კოცონზე წვავდნენ. შემდეგ დრო შეიცვალა და უბედურ კაცს მართალია ინკვიზიცია ასე სასტიკად არ სდევნიდა, მაგრამ მეზობლები ცერად უცქერდნენ, ხოლო „ვირთაგვების ხელმწიფეს“ სწრაფად უღებდნენ ბოლოს. არადა, ძნელია არ გაოგნდე ისეთი ფენომენისგან, როცა ექვსი, ათი, ზოგჯერ ოცდაათი ვირთაგვაც კი ერთ გუნდად შეკრული ცხოვრობს — ისინი კუდებით სამუდამოდ არიან გადაბმულები! მოძრაობა ასეთ გორგალს, ცხადია, არ შეუძლია, რადგან თითოეული ცხოველი თავის მხარეს ექაჩება, მაგრამ, ყველაზე გასაოცარი ის გახლავთ, რომ მიუხედავად ამისა, ვირთაგვების მეფე შიმშილით მაინც არ კვდება!**

ბიოლოგები დღემდე კამათობენ იმის თაობაზე, თუ რა მექანიზმით ჰქმნის ბუნება ესოდენ აბსურდულ „არსებას“. მრავალ ვერსიათა შორის სხვებზე უფრო სარწმუნო სჩანს ფრანგ მეცნიერთა ახალი ჰიპოთეზა. მათი აზრით, ეს ხდება მაშინ, როცა ვირთაგვები ძალიან პატარა, ვიწრო სოროებში იბადებიან. პატარა ვირთაგვებს მოქნილი და წებოვანი კუდები აქვ და ერთამენთზე მიკრულები კუდებით ებმებიან, რომლებიც შემდგომ გაუხსნელ კვანძებად ინასკვებიან. თავისთავად ეს ამბავი პრობლემას არ შექმნიდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ თანდათან კუდები მოქნილობას კარგავენ და მაგრდებიან. ვირთაგვები გათავისუფლებას ცდილობენ, ფართხალებენ და ამით კიდევ უფრო მაგრად კრავენ კვანძებს. შედეგად, ისინი თავიანთი კუდების ტყვეებად რჩებიან მთელი სიცოცხლის მანძილზე და „ათთავა მხეცის“ სახით ცხოვრობენ. ასეთი „ინდივიდი“, ყველანაირი ლოგიკით აუცილებლად შიმშილისგან უნდა მოკვდეს, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ვირთაგვები, რომლებსაც ავი და შეუბრალებელი ცხოველების სახელი აქვთ, საგულდაგულოდ კვებავენ თავიანთ „ხელმწიფეს“. ვარაუდობენ, რომ ეს ხალხური სახელი იმიტომაც წარმოიშვა, რომ გლეხებს ხშირად უნახავთ, თუ როგორ ემსახურებიან ჯანმრთელი ვირთაგვები მრავალთავა მახინჯ „მონარქს.“



# „სასაცილოთ“ გამოფენა“

**ფრანგი ჟაკ კარელმანი იმითაა ცნობილი, რომ ნაირნაირ სახალისო რამეს იგონებს. მაგალითად, ცოტა ხნის წინათ მან გააკეთა ველოსიპედი, რომელიც... მრავალსართულიან სახლებზე ასასვლელადაა განკუთვნილი. განა ვინმეს ეგულება ისეთი კაცი, რომელიც, ვთქვათ, 30-ე სართულზე ველოსიპედით ავა?! ამ ველოსიპედს ბორბლები მრგვალი კი არა, არამედ ჯვრისებურია, ამიტომ ყველაზე ციცაბო კიბეზეც შესაძლებელია ასვლა. კიდევ ერთი ველოსიპედი განკუთვნილია შეყვარებულთათვის — მასზე მხოლოდ დაჯდომაა შესაძლებელი, ხოლო წასვლა — არა. წყვილი ერთმანეთის პირისპირ ორ დასაჯდომზე უნდა მოკალათდეს.**

ცოტა ხნის წინათ მოწყობილ გამოფენაზე მსიე კარელმანმა მნახველებს სფეროს ფორმის ჭადრაკის დაფა და თოვლის სათვალე შესთავაზა, რომლის შუშებს ქვევით ყუთები აქვს გამაგრებული, რათა შიგ ფიფქები დაგროვდეს — ეს ხომ „თოვლის სათვალეა“! გარდა ამისა, გამოფენილი იყო ჩიტების გალიის ფორმის... აკვარიუმი მფრინავი თევზებისთვის, წყალში სამუშაო ჩაქუჩი, რომლის თავი საცობისგან აქვს გაკეთებული, კიდევ შუშისთავიანი ჩაქუჩი, რათა კაცი ყოველთვის ხედავდეს ლურსმანს, „დამცველიანი“ ქოლგა, რომელსაც თავზე კიდევ ქოლგა აქვს დამაგრებული, რათა პირველი წვიმისგან დაიცვას.

ვისაც იუმორის გრძნობა აქვს, გამოფენაზე გულიანად იცინა, სხვები კი ბატონ კარელმანს ფსიქიკურად „დაფერდებულ“ კაცად მიიჩნევენ.

# მგლური კანონით

**ვინ უფრო ძლიერია — დათვი თუ მგელი? როცა ერთი ერთზე არიან, რა თქმა უნდა, დათვი. მაგრამ, თუ მგლები მეტნი არიან? აღმოჩნდა, რომ სამ მგელსაც კი, ერთი საათის „მუშაობის“ შედეგად, დათვისთვის ნადავლის წართმევა შეუძლია.**

ეს ფოტოსურათი ამერიკელმა ბიოლოგმა გორდონ ჰაბერმა გადაიღო, რომელიც ოცი წელია ალასკაზე ეროვნულ პარკ მაუნტ მაკ-კინლიში ცოცხალ ბუნებას აკვირდება. თოთხმეტმა მგელმა გრიზლის შეუტია, რომელმაც ხარირემი მოინადირა და ერთი საათის განმავლობაში იმდენად შეაწუხა დათვი, რომ ჭამა არ აცალეს, ბოლოს გრიზლი იძულებული გახდა იქაურობას გაცლოდა და ნადავლი მგლებისთვის დაეტოვებინა.



# ემანდ, ზღვაში რა ხდება?

**ინგლისელი ფრედ კერტისი ყოველ ცისმარე დილით ზღვის ნაპირზე გადის და აკვირდებიან ხომ არ უახლოვდებიან ნაპირს... მეკობრეები.**



ეს ამბავი სულაც არ არის გასაკვირი, რადგან მეკობრეებზე „დაკვირვება“ მისტერ კერტისის სამსახურებრივი მოვალეობაა. დამკვირვებლის თანამდებობა 1830 წელს შემოიღეს, როცა ფრანგი მეკობრეები სისტემატურად ესხმოდნენ თავს ინგლისის პატარა ქალაქ უინჩელსის.

ორბიტაზეა

## კომუნისტებმა კარგი ამინდი შეუკვეთეს!

**დიახ, ჩინეთის კომუნისტური პარტია 2008 წლის პეკინის ოლიმპიურ თამაშებს კარგ ამინდს ჰპირდება. „წვიმის მბრძანებელთა“ არმია პარტიის დავალებით მძიმე ქვემეხებს ესვრის შავ ღრუბლებს, რათა ისინი მთებში „დაიცალნონ“ და პეკინამდე ვერ მიაღწიონ.**



37 ათასი გლეხი და ყოფილი ჯარისკაცი ქვეყნის ყოველ კუთხეში საბრძოლო მზადყოფნაშია. როგორც კი მეტეოროლოგები თანამგზავრიდან მიღებული სურათებით განსაზღვრავენ წვიმის ღრუბლების ადგილსამყოფელს, ამოქმედდება ეს არმია. მათ განკარგულებაშია 4 ათასი სარაკეტო დანადგარი, 7 ათასი საარტილერიო ქვემეხი და 30 თვითმფრინავი. მათი საშუალებით დაიწყება ღრუბლებზე შეტევა. იოდიზებური ვერცხლით ჩინელები ხელოვნური წვიმის გამოწვევასაც ცდილობენ. მაგრამ ბევრს ამისა არ სჯერა.

## შარაპოვას მორიგი „დარტყმა“

**მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა ჩოგბურთელთა ქალმა, რუსეთელმა მარია შარაპოვამ მორიგი მძლავრი დარტყმა მიაყენა კონკურენტებს. არა, ჩოგბურთის კორტზე კი არა! მან მორიგი, ძალზე ხელსაყრელი კონტრაქტი გააფორმა, რაც ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ მსოფლიო ჩოგბურთის ლამაზმანი დიდძალ ფულს მარტო ჩოგნის ოსტატური ქნევით კი არ აკეთებს, უიმისოდაც.**

მის უამრავ სარეკლამო კონტრაქტებს შორის ეს ბოლო, ალბათ, ყველაზე მომგებიანია. მარიამ ახალი სპონსორული კონტრაქტი გააფორმა კომპანიასთან Prince, ჩოგბურთის ჩოგნებს რომ ამზადებს. შეთანხმება სამუდამო ხასიათისაა, და, როგორც ცნობი-



ლი გახდა, მხოლოდ უახლოეს 10 წელიწადში მარია 25 მილიონ დოლარამდე მიიღებს. თანაც, თუკი შარაპოვა მომავალში წარმატებით იასპარეზებს, თანხა, შესაძლოა, გადაისინჯოს გაზრდის თვალსაზრისით.

გასული სეზონის შედეგების მიხედვით მარია მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი ჩოგბურთელია. მან გადაუსწრო პლანეტის პირველ ჩოგანოსანს როჯე ფედერერსაც. ახალი კონტრაქტის გათვალისწინებით მარიას წლიური შემოსავალი დაახლოებით 25 მილიონი დოლარი იქნება.

დოლი

# ბრავო, ფედერაცია!

ანუ გაირუჯეთ, ქართველებო!

**საყოველთაო სიდუხჭირემ მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას უკვე მერამდენედ, ზღვაზე დასვენებისა და გარუჯვის საშუალება მოუსპო. ბედად, თანამემამულეებზე ზრუნვა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ იტვირთა... იტვირთა და მერე როგორ — ორმოცგრადუსიან პაპანაქებაში გულშემატკივრებს საბილეთო ციხეცხელებში მიალებინა მზის პროცედურები. თუ გავითვალისწინებთ, რომ საფრანგეთის ნაკრები მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონია, განახლებულ სტადიონზე საპრემიერო შეხვედრაზე დასწრებას უამრავი ქომაგი ესწრაფვის და, უბრალოდ, ჩვენს ქვეყანაში მისი უდიდებულესობა ფეხბურთით ბევრია „მოწამლული“, ადვილი წარმოსადგენია, ამ დღეებში როგორი „საზაგარო“ სიტუაციები შეიქმნება ეროვნული და ვაკის სტადიონების სალაროებთან. ბრავო, სფფ!**

**ფედერაციის პრეზიდენტი კი, ჯერჯერობით, ბოდიშს იხდის!**

**გუშინ, სწორედ ვაკის სტადიონის სალაროს დაესხნენ თავს და დაახლოებით 36 ათასი ლარი გაიტაცეს.**



ჩოგბურთი

## „მერსედესში“ ადგილი სხვას არ დაუტოვეს

**ქართველი ჩოგბურთელები ეკატერინე გორგოძე და რევაზ ოსაძე გერმანიის ქალაქ რენინგენში „მერსედესის თასის“ გათამაშებაში მონაწილეობდნენ. თექვსმეტწლიანთა შორის მათ საუკეთესო შედეგები აჩვენეს.**

გოგონებში გორგოძემ ზედიზედ დაამარცხა გერმანელები კატია ლემანი (6:2, 6:3), სარა ბლუმი (6:1, 6:2), შვეიცარიელი ქსენია კნოლი (4:6, 6:3, 6:3), პოლონელი კამილა მარშოჩკა (6:2, 6:3), ჩეხი მონიკა ტუმოვა (6:4, 6:1) და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ქართველი ჩოგბურთელი, ასევე, პირველი იყო წყვილებში ბელარუს მელიუკთან ერთად.



მსგავს წარმატებას მიაღწია რევაზ ოსაძემაც. მან თასისკენ მიმავალ გზას ჩამოაშორა გერმანელი კრისტიან ჰეცი (6:3, 6:1), ბელგიელი ლორენ დაქსელე (6:0, 6:4), გერმანელი კრისტოფ ჰუშტედტი (6:3, 6:4), ფინელი ჰენრიკ სილანპა (6:4, 6:1), მაკედონიელი ტომისლავ ჟოტოვსკი (6:4, 6:2). გადამწყვეტ მატჩში კი გერმანელ ფილიპ ზაიფერტს სძლია (6:3, 0:6, 7:6). წყვილთა თანრიგის პაექრობა კი ბოსნიელ ბაშიჩთან დუეტში მოიგო.

კრივი

## „კობრა“ NABO-ში კვლავ პირველია



**ფოთელი მოკრივე კობა გოგოლაძე კარგა ხანია, პროფესიულ რინგზე გამოდის. მას აქამდე 20 ბრძოლიდან 19 გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული, მათ შორის, შვიდი — ნოკაუტით. ჩრდილოამერიკული კრივის ასოციაციის (NABO) 33 წლის ჩემპიონმა, რომელსაც „კობრას“ სახელით იცნობენ, ამერიკის ქალაქ დოვერის სასტუმრო „დოვერ დაუნსში“ ტიტულის შესანარჩუნებლად 21-ე ბრძოლა გამართა სანდიეგოელ ფრედ ნილთან ქვემსუბუქ წონაში.**

პაექრობის მეცხრე რაუნდში ქართველმა მოკრივემ ტექნიკური ნოკაუტით გაიმარჯვა. გოგოლაძის მენეჯერის — ჯიმ უილიამსის განცხადებით, 16 სექტემბერს WBO-ს ჩემპიონი ხორხე ბარიოსი დომენიკელ ჯონ გუზმანს შეხვდება. მათ შორის გამარჯვებული კი ჩემპიონის ტიტულისთვის ფოთელ მოკრივეს დაუპირისპირდება.

## ნიკოლაევის იღბლიანი რინგი

**უკრაინის ქალაქ ნიკოლაევში დამთავრდა მოსწავლე მოკრივეთა ევროპის პირველობა, რომელშიც წარმატებით იასპარეზეს საქართველოს წარგზავნილებმა (მთავარი მწვრთნელი რამაზ ნიკოლაძე) — მათ თითო ოქრო-ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.**

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ახალციხელი ჯაბა ხოსიტაშვილი, რომელმაც 65 კილოგრამ წონითი კატეგორიის ფინალში თურქ ფარუკ ფოლათს აჯობა 24:7. ახლოს იყო ოქროს მედალთან ირაკლი ქამადაძეც, მაგრამ მან გადამწყვეტი ორთაბრძოლა რუს დმიტრი მოროზოვთან დათმო — 13:28.

საქართველოს ნაკრებს ბრინჯაოს მედლები მოუტანეს სევერიან ჭილაძემ და თეიმურაზ ბეჟვაიამ. საერთო გუნდურ ჩათვლაში რუსებმა გაიმარჯვეს. მეორე ადგილზე უკრაინელები გავიდნენ. მესამე ადგილი ერთნაირი შედეგებით ჩვენებსა და აზერბაიჯანელებს ხვდათ.

ძიუდო

## მედალთცვენა

**ბაქოში ძიუდოისტთა მსოფლიო თასის გათამაშებაზე წარმატებით იასპარეზეს საქართველოს ნაკრები გუნდების წარმომადგენლებმა, რომლებმაც საერთო ჯამში 16 მედალი მოიპოვეს.**

შეგახსენებთ, რომ 16-17 სექტემბერს პარიზი გუნდურ მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის მონდომებით ემზადებიან ჩვენი სპორტსმენებიც. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა აზერბაიჯანის დედაქალაქში მსოფლიო თასზე გამოსვლაც.



60 კილოგრამ წონით კატეგორიაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ვახტანგ ხოსიტაშვილი ავიდა. მესამე ადგილი ამირან პაპინაშვილმა დაიკავა. 66 კილოში ვერცხლის მედალი ხვდა ათენის ოლიმპიადის მეორე პრიზიორ ნესტორ ხერგიანს, რომელიც მისთვის უჩვეულო წონის ფინალში მასპინძელ ნიჯათ შიხალიზადესთან დამარცხდა. აქ მესამე იყო მინდია ხომიზური. ასევე „ბრინჯაოს“ დასჯერდნენ წლევანდელი ევროპის ჩემპიონი ზაზა კედელაშვილი (73), გრიგოლ შინჯიკაშვილი და ხვიჩა ხუციშვილი (ორივე — 81).

ქართული ფინალი უნდა ეხილათ გულშემატკივრებს 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში, მაგრამ ტრავმირებული გიორგი ზაინდურაშვილი ტატამზე არ გავიდა. ოქროს მედალი უბრძოლველად გრიგოლ მამრიკიშვილს ერგო.

100 კილოში ჩემპიონობა ლომერ ჟორჟოლიანმა მოიპოვა, მესამე ადგილზე ირაკლი ცირეკიძე გავიდა. მძიმე წონაშიც ქართველმა ფალავანმა გიორგი ყიზილაშვილმა იმარჯვა. მსოფლიო ჩემპიონატის „ბრინჯაოს“ პრიზიორი ლაშა გუჯეჯიანი აქაც მესამე იყო.

ქალთაგან მესამე ადგილებზე თინათინ ქულოსაშვილი (63), ენძელა ლილუაშვილი (70) და ლია გვიანიძე (78) გავიდნენ.

გაისად ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიები გათამაშდება.

**გიორგი გაგუა**

ფეხბურთი

## შინ და გარეთ



**XVIII ეროვნული ჩემპიონატი. IV ტური. „დინამო“ — „ტორპედო“ 0:1, „ვიტ ჯორჯია“ — „ზესტაფონი“ 3:0, „დილა“ — „ამერი“ 1:4, „ჩიხურა“ — „კახეთი“ 3:1, „ბორჯომი“ — „მერანი“ — 3:4, „ოლიმპი“ — „ლოკომოტივი“ 1:0, „ბათუმი“ — „სიონი“ 1:2.**

**სატურნირო მდგომარეობა:** „ამერი“ — 12, „ოლიმპი“, „ვიტ ჯორჯია“ 10-10, „ტორპედო“ — 8, „ზესტაფონი“ — 7, „დინამო“, „სიონი“, „მერანი“ — 6-6, „ლოკომოტივი“, „ჩეხურა“, „ბორჯომი“ — 4-4, „ბათუმი“, „დილა“ — 1-1, „კახეთი“ — 0 ქულა.

**9 სექტემბერს ითამაშებენ:** „ამერი“ — „ბორჯომი“, „ტორპედო“ — „დილა“, „სიონი“ — „დინამო“, „კახეთი“ — „ბათუმი“, „ზესტაფონი“ — „ჩიხურა“, „ლოკომოტივი“ — „ვიტ ჯორჯია“, „მერანი“ — „ოლიმპი“.



* * *

**ესპანეთი. I ტური:** „სელტა“ — „ბარსელონა“ 2:3, „ვალენსია“ — „ბეტისი“ 2:1, „რეალი“ — „ვილიარეალი“ 0:0, „დეპორტივო“ — „სარაგოსა“ 3:2, „რასინგი“ — „ატლეტიკო“ 0:1, „უელვა“ — „მალიორკა“ 1:1, „ოსასუნა“ — „ხეტაფე“ 0:2, „ბილბაო“ — „სოსიედადი“ 1:1, „ესპანიოლი“ — „ხიმნასტიკი“ 0:1.

**ინგლისი. III ტური:** „უოტფორდი“ — „მანჩესტერი“ 1:2, „მიდლსბრო“ — „პორტსმუთი“ 0:4, „ტოტენჰემი“ — „ევერტონი“ 0:2, „ასტონ ვილა“ — „ნიუკასლი“ 2:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „მანჩესტერი“ — 9, „პორტსმუთი“, „ევერტონი“, „ასტონ ვილა“ — 7-7 ქულა.

**გერმანია. III ტური:** „ბაიერნი“ — „ნიურნბერგი“ 0:0, „შალკე“ — „ვერდერი“ 2:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ნიურნბერგი“, „ბაიერნი“, „შალკე“ — 7-7 ქულა.

◉ კალათბურთი

# ისევ მანუ, ნოვიცკი და სხვებიც

**გასულ უქმეებზე იაპონიაში კალათბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალური ორთაბრძოლები გაიმართა. ცხადია, ყველა შეხვედრას თავისი ინტრიგა ახლდა, მაგრამ განსაკუთრებულ ინტერესს მაინც ესპანეთი-სერბეთის პაექრობა იწვევდა. მოგეხსენებათ, პირენეელებმა ჯგუფში ხუთივე მატჩი მოიგეს, მსოფლიო ჩემპიონებმა პირიქით – ტურნირი მძიმედ დაიწყეს, მაგრამ შემდეგ საგრძნობლად გამოასწორეს მდგომარეობა. ესპანელებთან დაპირისპირებამ კი აჩვენა, რომ სერბეთის ახალგაზრდა, გამოუცდელი მოთამაშეებით დაკომპლექტებული ნაკრები წინამორბედთა აჩრდილსაც არ წარმოადგენს, ამიტომაც მან სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია მეტოქეს და, ცხადია, დამარცხდა კიდეც – 75:87.**





ასე რომ, ერთი ჩემპიონი შეჯიბრებას გამოაკლდა, ორი კი შემორჩა – ოლიმპიურ და ევროპის ჩემპიონებზე მოგახსენებთ. მერვედფინალში არგენტინას ახალი ზელანდიის სახით, ფაქტობრივად, სპარინგ-პარტნიორი ჰყავდა, ამიტომაც მანუ ჯინობილიმ და მისმა თანაგუნდელებმა კუნძულელები უშანსოდ დატოვეს – 79:62, თანაც მანუმ ამ მატჩში 28 ქულა მოაგროვა.

საბერძნეთს ჩინეთი ერგო საკბილოდ. ევროპის ჩემპიონები იაო მინის სიმაღლემაც ვერ შეაშინა. მართალია, მათ პირველი პერიოდი 7 ქულით დათმეს (11:18ძ, მაგრამ შემდეგ ხელთ იგდეს მატჩის სადავეები და 31-ქულიანი უპირატესობით სძლიეს (95:64ძ მეტოქეს.

ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონებმა – იტალიელებმა ძალიან სუსტად ითამაშეს ლიტველებთან. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მათ 19-დან მხოლოდ 6 საჯარიმო, ხოლო 21-დან 10 სამქულიანი ტყორცნა გამოიყენეს, იოლად მივხვდებით ბალტიისპირელთა გამარჯვების (71:68ძ მიზეზს.

მძიმე და დრამატული ორთაბრძოლა გადაიტანა გერმანიამ ნიგერიასთან. შესვენებამდე ალემანები მხოლოდ 4 ქულის სხვაობით დაწინაურდნენ. აფრიკელებმა ბოლო მეოთხედში სამი ქულის „ამოქაჩვა“ მოახერხეს და საფინალო სასტვენამდე რვა წამით ადრე ბურთსაც ისინი ფლობდნენ, თუმცა გამარჯვების მომტანი ტყორცნა ვერ შეასრულეს და დამარცხდნენ 77:78. ალემანთა წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით თდირკ ნოვიცკის (23 ქულაძ და ადემოლა ოკულაჯას (19 ქულაძ, რომელიც წარმოშობით ნიგერიელია.

კვლავაც უპრობლემოდ მიიწევს კვარცხლბეკისკენ ამერიკელთა „ოცნების გუნდი“. ოკეანისგაღმელებმა მერვედფინალში ავსტრალიელები დაამარცხეს – 113:73, ხოლო შეჯიბრებაზე ველური ბარათით დაშვებულმა თურქებმა სლოვენიელები ჩამოაშორეს (90:84ძ ოქროს მაძიებელთა რიგებს, საფრანგეთმა ანგოლას მოუგო – 68:62.

**გუშინ ორი მეოთხედფინალური შეხვედრა გაიმართა: არგენტინა – თურქეთი 83:58, ლიტვა – ესპანეთი 67:89.**

**დღეს ითამაშებენ: აშშ – გერმანია, საბერძნეთი – საფრანგეთი.**

**ლექსო ცინცაძე**

◉ ორბიტაზეა

## კონსტრუქტორულ პაექრობაში

**ახლა, როდესაც ავტორბოლაში „ფორმულა-1“ 57-ე მსოფლიო ჩემპიონატის დასასრულამდე 4 ეტაპიღა დარჩა, უფრო გართულდა კონსტრუქტორთა თასზე ბრძოლა – ლიდერების, „რენოსა“ და ფერარის“ შორის მხოლოდ ორქულიანი განსხვავება დარჩა. კვირას, თურქეთში, სტამბოლის ავტოდრომზე მეთოთხმეტე ეტაპი ფერარელი ბრაზილიელის ფელიპე მასას პირველმა გამარჯვებამ და შვიდგზის მსოფლიო ჩემპიონის მიხაელ შუმახერის მესამე ადგილმა მნიშვნელოვნად წამოსწია მათი საჯანიბოს შანსები.**

ჩემპიონატის ლიდერი „რენოდან“ ფერნანდო ალნსო მეორე იყო და 12 ქულით უსწრებს „წითელ ბარონს“, რომელმაც ბოქსში მოულოდნელად ერთდროულად ორი „ფერარის“ ბოლიდის მოხვედრის გამო ზედმეტი 5 წამი დაკარგა.



ჩემპიონობისთვის ბრძოლა, ალბათ, ბოლო ეტაპზე გაგრძელდება. შემდეგი ეტაპი კი იტალიურ მონცაშია.

## განა გაშიშვლება სავალდებულოა?!

**კლუბ „სან-ანტონიოს“ კალათბურთელის ტონი პარკერის გულისვარდის, თანაც „შეთავსებით“ დაუსრულებელი ტელესერიალის „სასოწარკვეთილი დიასახლისების“ ვარსკვლავი ევა ლონგორია იმედოვნებს, რომ ახალი როლი ფილმში „The Sentinel“ მას სერიოზული დრამატული მსახიობის სახელს მოუტანს.**

თუმცა სკეპტიკოსებს სჯერათ, რომ საპნის ოპერების კომედიური სახე მას ცხოვრების ბოლომდე შერჩება, რასაც იმ ფაქტით ამაგრებენ, რომ ახალ ფართოეკრანიან ფილმში მან უარი არ თქვა ორიოდე საეჭვო სცენაზე. მაგალითად, ერთ-ერთ ეპიზოდში კამერა ფართო პლანით აფიქსირებს მის მეხუთე საყრდენ წერტილს.

ევა კი ამტკიცებს, რომ ამ კონკრეტულ მომენტში ყურადღება გამახვილებული იყო დრამატურგიულ ჩანაფიქრზე. „რაო, ამ ჭორიკნებს მე ნამდვილ ყეყეჩად ხომ არ მივაჩნივარ, თითქოს მხოლოდ ასე იყო საჭირო ყველაფრის გადაღება, – კითხულობს კალათბურთელის „ქალი“, – ფილმის სიუჟეტის მიხედვით, მე დერეფანში მივდივარ, კამერა კი აფიქსირებს ვიწრო ქვედა კაბაში გამოკვალთულ ჩემს უკანალს. ამ დროს ჩემი უფროსი მეუბნება, რომ სხვა დროს, როცა სამსახურში მოვალ, სხვანაირად უნდა გამოვიყურებოდე. ასე იკვრება ფილმის სიუჟეტის, კონფლიქტის დრამატული ხაზი: ყველაფერი ისევ ბანალური გაშიშვლების დონეზე ხომ არ უნდა დავიყვანოთ?!“



◉ ასეც ხდება

# თუკი გადასაგდები მობილური გაქვთ!

**ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარდა მობილური ტელეფონების ტყორცნაში, რომელიც ფინეთის ქალაქ სავონლინში გაიმართა, ქალთა შორის. ფინელმა ეია ლააკსომ ტელეფონი 50,83 მეტრზე ისროლა. მეორე ადგილზე ასევე ტურნირის მასპინძელი სარი სიაისიანენია – 43,34 მ.**

კაცთა შორის ვერავინ შეძლო შარშანდელი მსოფლიო რეკორდის დამხობა, რომელიც ფინელმა მიკო ლამპიმ დაამყარა – 94,97 მეტრი. ამჯერად რეკორდსმენის თანამემამულემ ლასი ეტეიამ ხომ მობილური მხოლოდ 89 მეტრზე მოისროლა. თავად რეკორდსმენი კი მეორე ადგილით დაკმაყოფილდა – 87,17 მ.

„სპორტულ იარაღს“ თავად ჩემპიონატის მონაწილეები ირჩევენ, ხშირად თან მობეზრებული ტელეფონები ჩამოაქვთ. თუმცა ისინი ჟიურიმ უნდა მოიწონოს. შეჯიბრებაზე მხოლოდ საფირმო ტელეფონებს უშვებენ.



◉ ჭადრაკი

# როცა კუ მხედარს სჯობია

**მსუბუქი ფიგურების (კუ მხედარიძენდშვილის შეფასებისას გასათვალისწინებელია მეტოქეთა გამსვლელი პაიკებისა და ფიგურების აქტივობის ხარისხი.**

საილუსტრაციოდ გთავაზობთ პარტიის დაბოლოებას, რომელიც ლივერპულისა და გლაზგოს მოჭადრაკეთა გუნდებს შორის მიწერ-მოწერით 1843 წელს გაიმართა.

რაც შეეხება პოზიციას, რომლის დროსაც ფიქსირებული პაიკები განლაგებულია კუს ფერის უჯრებზე, მხედარი, როგორც წესი, აშკარა უპირატესობას აღწევს.

ალნიშნულის ტიპური პოზიციაა სმისლოვ-დერკაჩის პარტიაში (კიევი, 1937 წ.)

**თამაზ შენგელია**



აქტიური კუ ადვილად უმკლავდება შავების მხედარს და თეთრები იგებენ.

**1. კe2 მფe6 2. კc4+მფd6 3. მფf5 მd5 4. მფg6 მe3 5. კe2c4 6. მფ:h6 c3 7. კd3 სg4+ 8. მფg5 მe6 9. კc2 მc4 10. a6, 1:0**



თეთრების უპირატესობა გამსვლელი პაიკის მეშვეობით ვლინდება.

**1. a6 g6 2. fe fe 3. g3 მფ e6 4. მფg5 მფf7 5. მd1 კf1 6. მf2 მფg7 7. g4 hg 8. მ:g4 კh3 9. მf6 კe6 10. მe8+ 1:0**

## ◎ ვარსკვლავები

***ათეულობით გადაღებული ფილმისა და ორი „ოსკარის“ მოპოვების შემდეგ კოლეგებმა მას განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად ჰოლივუდის მეფე უწოდეს. უფრო ადრე კი ამერიკელმა ჟურნალისტებმა „მენახშირედ“ მონათლეს მუქკანიანი ქალებისადმი პირდაპირ პათოლოგიური ლტოლვის გამო.***

***ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ბოლო ოცდაათიოდ წელიწადში რობერტ დე ნირომ ოთხასზე მეტი ზანგი ქალის შეცდენა მოახერხა (არითმეტიკის მოყვარულთათვის: წელიწადში 13-ზე მეტი გამოდის)! თან მის „ნანადირევთა“ შორის აღმოჩნდნენ უითნი ჰიუსტონიც, ჯანეთ ჯექსონიც, თვით ნაომი ქემფბელიც...***

# დიდი და საშინელი

### ძუძუმტე ბობი

**მშვენიერი სქესისადმი სწრაფვა აშკარად მემკვიდრეობით ერგო მამისაგან — პოპულარული მხატვრისაგან, ერთ დროს თვით გრეტა გარბოსა და მარლენ დიტრიხთან სასიყვარულო კავშირში მყოფისაგან. 1946 წელს არავის გაკვირვებია, რომ მექალთანე მისტერ დე ნირომ ცოლი და სამი წლის ვაჟი მიატოვა და ახალ საყვარელთან, ფრანგ გრაფის ცოლთან ერთად პარიზში გაემგზავრა.**

პატარა ბობი კი დედის მზრუნველი კალთის ქვეშ დარჩა, ყოჩაღი ქალისა, რომელმაც სახლის ნახევარი თეატრალურ სტუდიას მიაქირავა, სადაც იმ დროს ახალგაზრდა მერილინ მონრო და მარლონ ბრანდო სწავლობდნენ. ახალი მეგობრების გავლენით ბობიმაც გადაწყვიტა მსახიობობაში ძალების ცდა. არადა სასკოლო თეატრის სცენაზე პირველივე გამოსვლა სრული ფიასკოთი დამთავრდა: დებიუტანტმა მღელვარებისაგან ყველა დეკორაცია დალეწა და დამატებით, სცენიდან დარბაზში გადაყირავდა. სირცხვილნაჭამმა დე ნირომ გადაწყვიტა ხელოვნების მიტოვება და... განგსტერობის დაწყება.

იმ კვარტალში, სადაც ბობი ცხოვრობდა, იმხანად მეფობდა ერთი ჯირკუტანა, სახელად გადარეული მარტი. გალეულ და ფერმკრთალ დე ნიროს ის მფარველად დაუდგა და ძუძუმტე ბობიდ მოიხსენიებდა. ახალ ძმაკაცებთან ერთად დე ნირო ძარცვავდა ხილის ფარდულებს, ჩხუბობდა მექსიკელებთან და თავზარს სცემდა მშვიდობიან მოქალაქეებს. ბანდაში სამი წელიწადი გაატარა, მერე კი სამარცხვინოდ გამოაპანღურეს — სპეციალურად დაქირავებულ პროსტიტუტელასთან სურვილობისა შეეშინდა და იმიტომ. კიდევ რვა გრძელი წელი გაივლის, ვიდრე მშიშარა — მამისაგან განსხვავებით — რობერტი გაბედავს უბიწოებასთან გამოთხოვებას!

### საბედისწერო ქერათმიანი

**ამასობაში დე ნირო, ათამდე სხვადასხვა პროფესიას რომ გაუსინჯა გემო, კვლავ შეუდგა სამსახიობო გზას: თეატრალურ სკოლაში შევიდა, მაგრამ კინოში როლებს არ აძლევდნენ.**

ერთხელაც, რომელიღაც საღამოს წვეულებაზე, რობერტს მაღალი, საოცრად ნაცნობი ფიზიონომიის მქონე ჭაბუკი მიუახლოვდა და ჰკითხა: „ბავშვობაში შემთხვევით ძუძუმტე ბობის ხომ არ გეძახდნენო?“ დე ნირომ თავი დაუქნია თუ არა, შემკითხველმა შესძახა: „ნუთუ ვერა მცნობ მე, გადარეულ მარტის?“ მათი ბოლო შეხვედრიდან განვლილი 13 წლის განმავლობაში მარტიმ, უფრო ზუსტად კი მარტინ სკორცეზემ შოუ-ბიზნესში გვარიანად იხეირა (აქვე სათქმელად, ფილმის „ქრისტეს უკანასკნელი ცდუნება“ გადაღებისას მიიწვია დე ნირო, მაგრამ უარი მიიღო — ისეთი ცოდვილისათვის, როგორიც მე ვარ, ქრისტეს თამაში მკრეხელობა იქნებაოძ. ბობის ფათერაკების შესახებ რომ შეიტყო, უმალვე შესთავაზა თავის ახალ სურათში გადაღება — ბრუკლინის განგსტერებზე. მათი პირველი ნამუშევარი — ფილმი „ბოროტი ქუჩები“ — ეკრანზე 1969 წელს გამოვიდა. ამის შემდეგ სულ ცოტა ხანში ბობი სახელგანთქმულმა რეჟისორმა ფრენსის ფორდ კოპოლამ „ნათლიმამას“ მეორე ნაწილში ახალგაზრდა დონ კორლეონეს როლზე მიიწვია, რომელიც ისე ბრწყინვალედ შეასრულა, რომ ამერიკული კინოაკადემიის წევრებმა მაშინვე მიანიჭეს „ოსკარი“.

ცნობას კინოში ყველაზე პრესტიჟული ჯილდოს მოპოვების თაობაზე დე ნირო შეხვდა ქერა პორნოვარსკვლავთან, მოანა პოცისთან გახურებული მძაფრი რომანის დროს. დიდმკერდოვანი (ბიუსტი — 108 სმძ იტალიელი სექსის ნამდვილი ქალღმერთი გამოდგა, ბობის სულ სხვადასხვა ადგილზე აიძულებდა ჟიმაობას: ლიმუზინის კაპოტზე, მთის ფერდობზე და აკვალანგებით წყალქვეშაც კი. თამამად შეიძლება მტკიცება, რომ სწორედ მოანამ ასწავლა დე ნიროს სექსის ყველა სიბრძნე. ეგ კია, რომ ეპოპეაში „XX საუკუნე“ გადაღებისთანავე, პოციამ მიატოვა დე ნირო და უფრო ახალგაზრდა დეპარდიესთან გადაინაცვლა.

### სასიამოვნოც და სასარგებლოც

**...ყველაფერი სულაც კურიოზულად დაიწყო. 1976 წლის სექტემბრის ერთ დღეს რობერტმა, მომავალი ფილმის „ტაქსის მძღოლის“ გმირის სახის მოსარგებად, მანჰეტენს ჩამოუარა მეგობრის ავტომობილით. უცბად მანქანაში პირდაპირ შეუხტა ახალგაზრდა მულატი ქალი — ფეხები ეგრევე ყელიდან ეწყებოდა, ფართოღაწვებასა და დიდბიუსტას. დაჯდომისთანავე დაიწყო ბედზე წუწუნი — ესაოდა, თეატრში სამუშაო დავკარგე, აღარ ვიცი რა ვქნა, ქალიშვილს რა ვაჭამოო. მძღოლმა როცა ურჩია — გამხნევდი, ნუ დანებდებიო, მგზავრი აღშფოთდა: „აბა თქვენ ხელოვნებისა რა გესმითო?“ — „ძალიან ცოტა!“ — მიუგო „ტაქსისტმა“ და ახალგაზრდა ქალს მომხიბლავი ღიმილი შეაფრქვია: — „ისე, რობერტ დე ნირო მქვია და ტაქსისაგან თავისუფალ დროს კინოში მიღებენო!“**

თავიდან ბობი არავითარ სერიოზულ ურთიერთობებზე დიანა ებოტთან არ ფიქრობდა და ოდენ მსახიობი ქალის მფარველის როლით იფარგლებოდა. ყოველთვიურად უხდიდა 3 ათას-3 ათას დოლარს, სამაგიეროდ კი ერთს ითხოვდა — რომ დღე-ღამის ნებისმიერ დროს დიანა მზად ყოფილიყო მასთან სასექსაოდ. დიანაც „თავიან-ფეხებიანა“ მზად იყო მეპატრონის საამებლად და ყველა სექსუალური სურვილის შესასრულებლად. ეს სურვილები კი საკმაოდ სადისტური იყო. მაგალითად, დე ნიროს უყვარდა ჟიმაობა, როცა დიანა, კოჭებით ღერძს მიჯაჭვული, თავდაყირა იყო ჩამოკიდებული. „თითქოს ეშინოდა, რომ არ გავქცეულიყავიო“, — იხსენებდა მრავალი წლის შემდეგ ებოტი.

ეგ კია, რომ ზანგი ქალი ამაოდ არ გატანჯულა — პირველი შეხვედრიდან სულ 11 თვე იყო გასული, რომ რობერტმა ხელმოწერა შესთავაზა, რითაც შოკში ჩააგდო აგენტებიცა და ახლობლებიც. 1977 წლის მარტში ისინი ყველასაგან ფარულად დაქორწინდნენ ბრუკლინის უფერულ ეკლესუნაში. თაფლობის თვე ახალგაზრდებმა რომში გაატარეს ისე, რომ თითქმის არც გამოდიოდნენ ოტელ „რაფაელის“ საპრეზიდენტო აპარტამენტიდან; და როცა ზუსტად ცხრა თვეში დიანამ მსახიობს დიდი ხნის ნანატრი მემკვიდრე ვაჟი აჩუქა, დე ნირომ დაუფიქრებლად მონათლა რაფაელად.

ბიჭის დაბადების შემდეგ რობერტი მალე გაცივდა ცოლის მიმართ. ქორწილიდან უკვე სამი თვის მერე კალიფორნიაში გაიჩინა საყვარელი — მუქკანიანი მომღერალი ჰელენ ლიზანდრელო, ელტონ ჯონთან მისამღერებზე მომუშავე; თუმცა კი არც ჰელენს ექცეოდა ჯენტლმენურად: ლოგინში ყოველი ლაშქრობის წინ შოლტით აჭრელებდა, თან ხან „ბოზად“ მოიხსენიებდა, ხანაც „ძუკნად“. იმხანად დე ნიროს კიდევ მოსწონდა გატიტვლებული მეგობარი ქალისათვის თვით ფეხებამდე კოკაინის შეფრქვევა და სურვილობისას სხეულიდან ქვირფასი ფხვნილის ალოკვა. მისი მაშინდელი სლენგით პროცესს ერქვა „სასიამოვნოსა და სასარგებლოს შეხამება“. დიანას, საბრალო ცოლს, ეს ყველაფერი ბოლოს და ბოლოს ყელში ამოუვიდა და 1980 წელს გაყრა მოითხოვა.

ჰელენ ლიზანდრელო კი უხმოდ იტანდა საყვარლის მხრიდან ცემა-ტყეპასა და ყოველგვარ დამცირებას. ეგ არის, რომ 1987 წლის ზაფხულში მიუტევებელი შეცდომა მოუვიდა — დაორსულდა. ცნობამ მომავალი მამობის შესახებ რობერტი წარმოუდგენლად განარისხა. „მუშტებით მომვარდა და აყვირდა: „დამპალო ბოზო, დაუყოვნებლივ უნდა მოიშორო ეგ ნაბიჭვარი! მე მეჯავრება ბავშვები!“ — ჰყვებოდა შემდგომ ჰელენი. გამოთხოვებისას დე ნირომ მუქარიანი ფრაზა მიუგდო: „რა ვუყოთ, შენ თუ არ გნებავს, ამის გაკეთება მე მომიხდება!“

მომდევნო რამდენიმე თვე მსახიობი ყველა ღონეს მიმართავდა, რომ ლიზანდრელოს მუცელი მოშლოდა. საცოდავ ქალს გამუდმებით ურტყამდა, შიმშილით ჰკლავდა და ერთხელ კიბიდანაც დააგორა. ჰელენს ისღა დარჩენოდა, რომ გაქცეოდა სადისტს.

### ტუკი ნაომის წინააღმდეგ

**ლიზანდრელოს დიდად გასაკვირად, დე ნიროს არ დაუწყია დევნა და არც ქალიშვილის, ნადიას დაბადებისთვის შეუშლია ხელი. მსახიობის ამგვარი სიმშვიდე ძალიან ადვილად აიხსნებოდა: იმ დროისათვის რობერტის ცხოვრებაში ახალი „შოკოლადუნა“ შემოვიდა — ტუკი სმითი (მარტო ფეხები 112 სმ სიგრძისა ჰქონდა, ყველაფერ დანარჩენზე რომ არა ვთქვათ რაძ. ყველა ამ აშკარა ღირსებასთან ერთად, დე ნიროს ახალი სატრფო ერთობ შეძლებული ქალიც გახლდათ — ნიუ-იორკსა და კალიფორნიაში რესტორნებისა და ფიტნეს-კლუბების ქსელის მფლობელი. მსახიობის მეგობრების მოგონებათა მიხედვით, რობერტი პირდაპირ ჭკუას კარგავდა ეფექტურ მეგობარ ქალზე და უყოყმანოდ უსრულებდა ყოველნაირ სურვილს. მეტიც, ტუკი, მრავლისმეტყველი მეტსახელის „სექსუალური ვულკანის“ მატარებელი, დასაწყისში ლომინირებდა კიდევაც საწოლში. 1988 წლის ზაფხულში ტუკიმ საყვარელს მოსთხოვა... კინოროლი. დიდის გაჭირვებით მოუხერხა დე ნირომ პოპულარულ სერიალში „მაიამის პოლიციაში“ მოწყობა, სადაც სმითი ოთხ ეპიზოდში გამოჩნდა, თანაც გზადაგზა სახელგანთქმული დონ ჯონსონის შეცდენაც მოასწრო.**

ჰოლივუდის ჭორების უმავთულო ტელეგრაფმა სწრაფად მიუტანა ბობის საყვარელი ქალის ღალატის ამბავი. ტუკიზე მან უზრალოდ შური იძია — ადგა და ახალი პასია მოიძია და მერე როგორი: ტოპმოდელი ნაომი ქემფბელი, მეთოთხმეტე საუკუნით ახალგაზრდა! დე ნირო ერთობ ენერგიულად მოქმედებდა: მანეკენი ქალი ერთ-ერთ რაუტზე რომ დაინახა, ჯერ საცეკვაოდ მიიწვია, მერე შინ. ტუკი სმითისაგან გამორჩეულად, „დიდი რობერტის“ ახალი მსხვერპლი ძალიან თავმდაბალი ქალიშვილი გახლდათ. არცრას ითხოვდა მსახიობისაგან, რომელსაც, როგორც გამოირკვა, ბავშვობიდან აღმერთებდა. პირიქით, დე ნირო თავად აყრიდა ძვირად ღირებულ საჩუქრებს: ბრილიანტებს, მოკაზმულობას, ავტომანქანებს. მადლიერი მოდელიც მას მთელ მსოფლიოში დაჰყვებოდა გადაღებებზე, კარიერა სულ მიატოვა საყვარლის გულისთვის. ეს იდილია გრძელდებოდა ოთხი თვე, მერე კი ნაომიმ ყველაფერი დაანგრია დაუყონებლივი ქორწილის მოთხოვნით. აი მაშინ კი, ძველის გახსენებით, მსახიობმა იფეთქა და ლაზათიანადაც მიბეგვა გათავხედებული გომბიო. მერე კი, როგორც ჩანს, მეტი აღმზრდელობითი ეფექტის მოსახდენად, ტუკისთან განაახლა კავშირი.

და მაინც, წარმტაცი ქემფბელი არ მიუტოვებია და მთელი წელიწადნახევარი იწყვეტდა ძანცს ორ ქალს შუა. პირველმა უფრო ახალგაზრდა და მოუთმენელმა ნაომიმ ვერ გაუძლო. 1993 წლის ზაფხულში ირლანდიაში გაემგზავრა ცნობილი ჯგუფის „იუ-თუ“-ს კონცერტებში მონაწილეობის მისაღებად; და აი, ერთხელ, საღამოთი, დე ნიროს ნიუ-იორკის ბინაში საერთაშორისო ტელეფონმა დარეკა. პატრონმა აილო ყურმილი და ნაომის აღელვებული ხმა გაიგონა: „ბონომ (ჯგუფის სოლისტმაძ აგერ ახლახან ხელი მთხოვა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს — შენი ერთი სიტყვა და იმ წუთშივე დაგიბრუნდები!“ მსახიობმა ცოტა ხანს იყუჩა და წარმოსთქვა ფრაზა, რომელსაც ისტორიულობა ეწერა: „რაც გინდა, ჰქენი, ოღონდ ძილს ნუ მიშლი!“

მეორე დღეს დაჯავრიანებული ქემფბელი ბანჯგვლიან ბონოზე დაინიშნა, დე ნირომ კი ღამის საუბრიდან ორ დღეში დაქორწინება შესთავაზა ტუკი სმითს. ისინი 1994 წლის გაზაფხულზე შეუღლდნენ (ბუნებრივია, ფარულადძ. ერთხანს ცოლ-ქმარი ბედნიერად ცხოვრობდა, სანამ რობერტს უცებ შვილის გაჩენა არ მოესურვა საყვარელი ქალისგან, მაგრამ უსიამოვნო ამბავი ელოდა — ტუკი უნაყოფო აღმოჩნდა. სწორედ მაშინ ჩაიბუდა მსახიობის სულში სიყვარულის ადგილას სიძულვილმა. ქორწინების გადასარჩენად ტუკის მოუწია სუროგატული დედის დახმარებისათვის მიმართვა, რომელიც დათანხმდა დე ნიროსაგან ეტარებინა მომავალი ბავშვი. თუმცა ტყუპის დაბადებამ საქმე მხოლოდ გაამწვავა — 1995 წლის მარტში რობერტმა განქორწინება მოითხოვა.

### გრეისი ცეცხლში

**ტუკისთან განშორების შემდეგ დე ნირომ მაგრად გაუტია. მისი ჰოლივუდური ბინა ადგილობრივმა ენამოსწრებულებმა მონათლეს „ფილიალად კონკურსისა „ამერიკის შავკანიანი მზეთუნახავი“. რომელი ზანგი გოგონა არ მოხვედრილა მსახიობის მკლავებში? უითნი ჰიუსთონის გარდა, რომელმაც მასთან კუნძულზე სამი კვირა გაატარა, რობერტის საყვარლებად ყოფნა მოასწრეს: მძლეოსანმა ჰეიდ დივერსმა (ამბობენ, ვნების ტალღაზე მან ისე დაუკაწრა გრძელი ფრჩხილებით მსახიობს ზურგი, რომ ამ უკანასკნელმა მთელი კვირა ვერ შესძლო სიარულიძ, მომღერალი ჯანეთ ჯექსონი (მას კი დე ნირომ თავად გაუძახა გარეთ უკვე ერთი კვირის მერე — ისე მოსაწყენი აღმოჩნდა ლოგინშიძ, „პლეიბოის“ ვარსკვლავი კარინ ტეილორი (ეს მულატი გოგონა ძალიან ბევრს ლაყბობდა ტელეფონით ჰოლივუდის ვარსკვლავთან ურთიერთობის თაობაზეძ. გასაკვირია, რომ ამ დაუსწრებელ ორთაბრძოლაში სექს-ბომბმა კი ვერ გაიმარჯვა, არამედ ჩვეულებრივმა და არცთუ ერთობ მიმზიდველმა სტიუარდესამ, თანაც 42 წლისამ, გრეის ჰაითაუერმა, რომელიც 185 სმ სიმაღლით სავსებით შეესაბამებოდა თავის გვარს („ჰაითაუერი“ ინგლისურად ნიშნავს „მაღალ კოშკს“ძ. ჟურნალისტთა ყველა ცდის მიუხედავად, ვერა და ვერ მოახერხეს იმ წლების ჰოლივუდში ყველაზე უჩვეულო რომანის წვრილმანების შეტყობა.**

მთელი წელიწადი მალავდა დე ნირო დიდსაკოვან საყვარელს გარეშე თვალთაგან, 1997 წლის 17 მაისს კი ადგა და დაქორწინდა გრეისზე, თანაც ქორწილი სპეციალურად მიუსადაგა სტალონეს შეუღლებას, რომელიც იმავე დღეს შედგა და ყველა რეპორტიორისა და პაპარაცის ყურადღება მიიქცია. ოღონდ უკვე სამი კვირის მერე მსახიობი ევროპაში გაექცა ცოლს. ის მხოლოდ ზაფხულის მიწურულს დაბრუნდა და მაშინვე შეიტყო მეუღლის ფეხმძიმობის ამბავი. „ღმერთო, რად დამაქორწინე ამ ტუტუცზეო“, — ამ წამოძახილით გაეცალა პენტჰაუზს და ჰოლივუდში დაბრუნდა.

მას აქეთ დე ნირო თითქმის ყოველდღე გადაღებებზეა და ასეთივე სისტემატურობით იცვლის საყვარლებს. საწყალ გრეისს კი არც იხსენებს. ეგ იმიტომ, რომ ასეთ პრინციპს იცავს: „ქალი, როგორი ლამაზი და სექსუალურიც არ უნდა იყოს, ჩემს ცხოვრებაში მხოლოდ მესამე ადგილს დაიკავებს: სამუშაოსა და საბანკო ანგარიშის შემდეგ!“






### იცით თუ არა თქვენ, რომ დე ნიროს...

*1. ყველაზე მეტად ჟურნალისტები ეჯავრება — მათი ცნობისმოყვარეობისა და დილეტანტობის გამო.*

*2. არ უყვარს კინო — ათეულობით წლით მუშაობისას მოახერხა ის, რომ არც ერთი თავისი ფილმი არ უნახავს. ტელევიზორსაც ძალიან იშვიათად ჩართავს ხოლმე, თანაც მაშინ, როცა ეკრანზე ეროტიკა მიდის.*

*3. კონიაკს აღმერთებს. მისივე აღიარებით, ფუჟერი „ჰენესის“ დაულევლად სახლიდან არასოდეს გამოდის.*

*4. ყოფილი ცოლებისა და შვილების მრავალრიცხოვანი კლანიდან ყველაზე უფრო უყვარს გერი ქალიშვილი დრინა. ამასთან, ბოროტი ენების მტკიცებით, სულაც არამამობრივი გრძნობებით.*

*5. უკლები სექსუალური ძლიერების მთავარ საიდუმლოდ მსახიობი მიიჩნევს... მოკრივის აბრეშუმის ტრუსს. იმისი აზრით, ეს საცვალი სიარულისას უქმნის შეგრძნებას, თითქოს სხეულს ქალი უსვამს ნაზად ხელს.*

*6. ჰოლივუდში მხოლოდ სამს ენდობა: შონ პენს (საყვარელი თანამესუფრეძ, მარტინ სკორცეზესა (საყვარელი რეჟისორიძ და ჰორვი ქეითელს (საყვარელი მეზობელიძ.*

*7. ბოლო ხანს მხოლოდ ეპიზოდებში გადაღებას ამჯობინებს 3-მილიონიანი ტარიფით, რისთვისაც ახალი მეტსახელი დაირტყა — ჰოლივუდის № 1 მეხალტურე.*

ტექნიკის სიახლენი

# როგორი მჩატეა!

*ზედმეტ გრამებთან ბრძოლა — აი, რაზე იმტვრევენ თავებს ნოუტბუკების მწარმოებლები. რაც უფრო მსუბუქია მოწყობილობა, მით მეტი აქვს პატრონის კაბინეტის დატოვებისა და იმასთან ერთად შვებულებაში ან აგარაკზე გამგზავრების შანსი.*

**ეკონომია გასწიე. კომპანია Dell-მა ყველაზე იაფი მსუბუქი ნოუტბუკი გამოუშვა. 1150 დოლარად სულ 1360 გრამი წონის Latitude D420-ს გვთავაზობს. წონისა (და ფასისძ დაკლება მოხერხდა ბატარეის ტევადობის შემცირების ხარჯზე (მხოლოდ სამი საათი იკმარებს).**



მწარმოებლებმა ჩამდგარ DVD სადისკეზეც უარი თქვეს და ის გამოსატანი სადისკეს ჩასართავად სპეციალური ელემენტით შეცვალეს. Dell-ის ლეპტოპის საინტერესო თავისებურებაა ფუნქცია Wi-Fi Catcher-ი. მისი დახმარებით ხერხდება შემოწმება, არის თუ არა ახლოს უმავთულო ქსელი — შემოწმება ნოუტბუკის ჩაურთველად და ბატარეის დატენვის შენარჩუნებით.

სურვილისამებრ, ნოუტბუკის აღჭურვა შეიძლება თითების ანაბეჭდთა წასაკითხი სენსორითა და დამატებითი ბატარეით, ოღონდ ეს ლეპტოპის წონას 230 გრამით გაზრდის, ხოლო ფასს — რამდენიმე ასეული დოლარით.

**დახატე. ნოუტბუკი Sony VAIO TX37TP გაკეთებულია ნახშირპლასტიკისაგან და კიდევ ნაკლებს იწონის — 1250 გრამს. ამასთან, სიახლის სისქე სულ 1,95 სანტიმეტრია. მცირე ზომების მიუხედავად, მოწყობილობა აღჭურვეს ოპერატიული მეხსიერების 1,5 ჰიგაბაიტითა და მძლავრი ვიდეობარათით.**

ასეთ ლეპტოპზე ნებისმიერი გრაფიკული რედაქტორები დაუბრკოლებლად მუშაობენ, ასე რომ ის დიზაინერებსა და ფოტოგრაფებსაც მოეწონებათ. უკანასკნელთ გამოადგებათ. კიდევ ერთი სათვალავი VAIO TX37TP, რომელსაც ორფეროვანი DVD სადისკეს დისკების ჩაწერის უნარი შესწევს.



მოწყობილობას ახლავს 11,1 დუიმიანი დისპლეი მაშუქით, ასე რომ ამაზე მუშაობა ლამითაც შეიძლება. ნოუტბუკის ფასია 2150 დოლარი.

**ითამაშე. კორეულმა LG-მ ერთ-ერთი ყველაზე მსუბუქი ნოუტბუკის — TX Express-ის გამოშვება გადაწყვიტა, რომელიც სულ 1100 გრამს იწონის.** მისი მთავარი განსაკუთრებულობა არის ზეეკონომიური პროცესორი Intel pentiom M733. პროცესორის წყალობით ბატარეის წონა თითქმის 300 გრამით შემცირდა და ავტონომიური მუშაობის მისაღები დრო შენარჩუნდა — სამ საათამდე.



სიმსუბუქისათვის ლეპტოპს მოაცილეს ჩადგმული სადისკე, სამაგიეროდ აღჭურვეს დამატებითი USB-პორტით (გამოსატანი საწერი მოწყობილობისათვის) და უნივერსალური კარდ-რიდერით. დისპლეის ზომაზე კი მწარმოებლებს ეკონომიურობა არ გაუწევიათ: 12 დუიმიანი ეკრანი გაახარებს კომპიუტერული თამაშების მოყვარულთ. იმათ ჩატანებული ბგერითი ბარათიც მოეწონებათ ყურსასმენთათვის გამოსასვლელებით. სიახლის ღირებულება 1800 დოლარია.

**დაიცავი. ახალი ლეპტოპი Fujits Computer Systems-იდან სულ კილოგრამნახევარს იწონის.** მოწყობილობის კორპუსი შესრულებულია სპეციალური შენადნობიდან მაგნიუმის საფუძველზე, რაც აუცილებელ სიმსუბუქეს უზრუნველყოფს. მაგნიუმივე ხდის ნოუტბუკს უფრო მტკიცეს — Life Book RB6-210 რამდენიმემეტრიან სიმაღლიდან დავარდნას უძლებს. დარტყმებისა და დავარდნებისაგან კომპიუტერის შიგთავსიც დაცულია: ხისტი დისკი აღჭურვილია სპეციალური მაამორტიზებელი სამაგრით.



მწარმოებელმა ინფორმაციის შენარჩუნებაზეც იზრუნა: ლეპტოპზე არის თითების ანაბეჭდების სენსორი და ხისტი დისკის დაცვა ორი პაროლის დახმარებით (800 000-800 000 შესაძლო კომბინაციებით). Life Book-ის კიდევ ერთი ღირსება — ავტონომიურ რეჟიმში 8 საათი შეუძლია მუშაობა. სიახლე 1650 დოლარად იყიდება.

ხსოვნა

## ბაბო (ბარბარე) გიგაშვილი-კუპატაძისა



**ყველასაგან დიდად გამორჩეულო ჩვენო ძვირფასო და უსაყვარლესო დედა! კიდევ რამდენიმე დღე და შენი ლამაზი, მუდამ მშფოთვარე და დაუდგრომელი სული ამქვეყნიურობიდან იმქვეყნიურ საუფლოში გადაინაცვლებს...**

ავადმყოფობამ 13 თვე ლოგინს მიგაჯაჭვა.

შენი გადარჩენის მთავარ იმედს უფლის მხრიდან შეწევნაში ვხედავდით. წმინდა ბარბარეს დღეს იყავი დაბადებული და ამიტომ წმინდა ბარბარესაც შევთხოვდით შენს გადარჩენას...

შვილებზე უზომოდ შეყვარებული და დაფეთებული დედა იყავი. შენზე არ მოქმედებდა არც ჩვენი ასაკი, არც ჩვენი განათლება და არც ჩვენი სამსახურებრივი თუ საზოგადოებრივი მდგომარეობა.

როგორც პატარებს ისე გვექცეოდი. სამართლიანი დატუქსვაც იცოდი, როცა ამას ვიმსახურებდით. მერე ამას შენებურ ბრძნულ დარიგებას მოაყოლებდი ხოლმე.

დედა! გამორჩეული იყავი ავკარგიანობით, პატიოსნებით, გულისხმიერებითა და სათნოებით. ამიტომ ყველა გაფასებდა, ყველას უყვარდი.

საოცარი შრომისმოყვარეობა გახასიათებდა, უსაქმოდ ერთი წუთითაც არ ჩერდებოდი. არა მხოლოდ ყოველდღიური, არამედ სამომავლო („სახვალიო") საქმეების დაგეგმვა და შესრულებაც ჩინებულად იცოდი.

შენი გარდაცვალებით უზომო ტკივილი და მწუხარება მოგვაყენე მთელ ჩვენს ოჯახს, განსაკუთრებით კი მამაჩვენს, ურომლისოდაც გაჩერება არ შეგეძლო.

ახლა კი ეს ვაჟკაცი, კაცი რომელსაც გრძნობების გამოხატვა ნაკლებად ეხერხება, ავადმყოფობამორეული მალულად ცრემლებს ღვრის და თავის გულს ასკდება.

თავს იმით ვინუგეშებთ დედა, რომ მხოლოდ ფიზიკურად დაგვშორდი, სულით კი ერთად ვიქნებით...

უფალმა გაანათლოს შენი სული! ამინ!

**ოჯახებით — შენი შვილები**
**ელვერ, თორნიკე, რობერტ და ელგა კუპატაძეები**

საერთაშორისო ასოციაცია „ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" გამგეობა და ასოციაციის წევრები თანაუგრძნობენ ასოციაციის თავმჯდომარეს მაია კვეზერელი-კოპაძეს და ანდრო დევდარიანს მამის

ჯონდო დევდარიანის

გარდაცვალების გამო.

---

ოთარ, ბიჭი, მანანა, ოთო აბდუშელიშვილები, ოთარი, ეკა თარგამაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოთარ კერძაია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

მადონა, თამაზ, სოფიკო, ვასიკო მაისურაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოთარ ამირანის ძე კერძაია

---

რკინიგზის საავადმყოფოს პათოლოგანატომიური სამსახური ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი თანამშრომელი

ციალა გიორხელიძე-გურჯია

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

თემურ ჯორბენაძე, ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ციალა გიორხელიძე-გურჯია

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მეცნიერება

## რამდენიმე სიტყვა მენტალურ მკურნალობაზე

**სწავლული ბიოფიზიკოსი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და მენტალური (აზრითი, გულში გატარებული) მკურნალობის შესახებ მეცნიერული პუბლიკაციების ავტორი ალექსანდრე დუბროვი მედიცინის ამ მიმართულებაზე გვესაუბრება:**

— ცალკეულ ადამიანთ მანძილზე მკურნალობა ათასობით წლის წინათ ეხერხებოდათ. ქრესტომათიული მაგალითი — იესო ქრისტემ მკვდარი ლაზარე გააცოცხლა. თან ეს ლეგენდა კი არა, სახარებაში მოთხრობილი სარწმუნო ფაქტია.



სადღეისოდ ასობით ნიჭიერი მკურნავი მთელ მსოფლიოში, სწავლულთა და ექიმთა კონტროლის ქვეშ, ეხმარება ავადმყოფებს იმ შემთხვევებში, როცა მედიცინა უძლურია. ხშირად თვით იმათაც ბოლომდე როდი ესმით თანდაყოლილი ნიჭის ბუნება. ხდება, როცა კაცს ეჩვენება, თითქოს ხელებით კურნავს, მაგრამ დეტალური გამოკვლევისას ირკვევა, რომ ხელები არაფერ შუაშია — სნეულზე მკურნავის აზრი ზემოქმედებს; ამიტომაა, ზოგჯერ, რომ მანძილზე განკურნების შესახებ გვსმენია ხოლმე.

არცთუ იშვიათად პაციენტი ეგებ ათასობით კილომეტრზე იმყოფება იმისგან, ვინც დახმარებას ლამობს და რეალურად ეხმარება კიდევაც. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ფენომენალური უნარის მქონე უნიკალური ადამიანები აქამდე რჩებიან მეცნიერებისა და სამედიცინო პრაქტიკის მიღმა. ამ დროს კი ზოგიერთ სხვა სახელმწიფოში, მაგალითად, ბულგარეთში, ასეთ მკურნავებს „ატესტირებენ" (შარლატანებთან რომ არ აერიოთ), შეისწავლიან და კანონმდებლურად უმკვიდრებენ გაწვალებულთა დახმარების უფლებას.


### განცხადება

**სს თბილისის „ცენტროლიტის" აქციონერთა საერთო კრება ჩატარდება ამა წლის 16 ოქტომბერს 12 საათზე „ცენტროლიტის" სხდომათა დარბაზში.**

**ამა წლის 30 აგვისტო ცხადდება აქციონერთა საალრიცხვო დღედ.**

დღის წესრიგი:

1. 2005 წლის წლიური ანგარიში;
2. 2006 წლის აუდიტორის არჩევა;
3. საწარმოს ბიუჯეტისადმი დავალიანების განხილვა და მისი დაფარვის სამომავლო გეგმის შედგენა.

**მისამართი: თბილისი, ანდრონიკაშვილის № 29, ტ. 65-00-18.**

**სამეთვალყურეო საბჭო**



საქმე № 2/2832-06

### განჩინება

**კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ**

ქ. თბილისი 24 აგვისტო, 2006 წ.

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ი. ადეიშვილმა ერთპიროვნულად განიხილა შპს „ავჭალის" გაკოტრების მმართველის ნიკოლოზ ბაკაშვილის განცხადება კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ.**

**სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა რა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18, 22-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით

**დაადგინა:**

1. შპს „ავჭალის" გაკოტრების მმართველის ნიკოლოზ ბაკაშვილის განცხადება დაკმაყოფილდეს;
2. კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებლად მოწვეულ იქნეს შპს „ავჭალის" კრედიტორთა კრება 2006 წლის 5 სექტემბერს 10 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, სხდომის დარბაზი № 10 (მისამართი: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. № 1).
3. ინფორმაცია კრედიტორთა კრების მოწვევის თაობაზე გამოქვეყნდეს „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლით განსაზღვრული წესით.
4. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**მოსამართლე: ი. ადეიშვილი**
**25.08.06**



**2006 წლის 7 სექტემბერს, მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. № 1. სხდომის დარბაზი № 10 (თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, მოსამართლე ი. ადეიშვილი), 11 საათზე დანიშნულია შპს „კომპანია საქთხევადგაზის" კრედიტორთა კრება, რომელზეც განხილული იქნება გაკოტრების მმართველის განცხადება „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონის მე-19 მუხლით განსაზღვრული ხარჯების შესახებ, აგრეთვე სს „საქტრანსგაზმრეწვის" მოთხოვნა.**



### განცხადება

**ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელმა რეგისტრატორმა შპს „ICT დელამენ"-მა შეიცვალა ოფისი.**

**შპს „ICT დელამენ"-ის ახალი მისამართია:**

**თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 74ა. მე-7 სართული, ოფისი №714 (ვაკის პარკთან, სს „საქწყალპროექტის" შენობა). ტელ: 94-14-91, 95-16-52.**

ხავერდოვანი სეზონი

# აჭარა დამსვენებლებს სექტემბრის ბოლომდე უმასპინძლებს



**აჭარაში საკურორტო სეზონი, შესაძლოა, სექტემბრის ბოლომდე გაგრძელდეს, რადგან სინოპტიკოსები ამ რეგიონში მზიან და თბილ ამინდებს ვარაუდობენ.**

აჭარაში წლევანდელი სეზონი დამსვენებელთა დიდი რაოდენობით გამოირჩეოდა. შავი ზღვისპირა ზოლში ტურისტები სომხეთიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან და ევროპის ქვეყნებიდან ჩავიდნენ.

ექსპერტთა შეფასებით, აჭარაში დამსვენებელთა მოზღვავება იქ შექმნილმა ინფრასტრუქტურამ და უსაფრთხოების შესაბამისმა ზომებმა განაპირობა.

მედიანიუსი

შეგახსენებთ!

## სკოლებში სასწავლო პროცესი 18 სექტემბერს დაიწყება

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ახალი, 2006-2007 სასწავლო წელი 18 სექტემბერს დაიწყება. როგორც „მედიანიუსს" განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში უთხრეს, ამ დროისათვის მოსწავლეების მისაღებად სრულ მზადყოფნაში იქნება ის სკოლები, რომლებიც პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა „იაკობ გოგებაშვილის" ფარგლებში რემონტდება.

პროგრამის ფარგლებში წელს ქვეყნის მასშტაბით 58 სკოლა შენდება, 68-ს სრული, 221-ს კი ეტაპობრივი რეაბილიტაცია უტარდება.

მედიანიუსი

ანეკდოტები

— ექიმო, მიშველე რამე, ჩემი ცოლი ჩემს სექსუალურ ფანტაზიებზე ეჭვიანობს.

— კი მაგრამ როგორ უნდა იეჭვიანოს, თუკი ფანტაზიაა?

— იმ ოხრებს ჩემს სახლში მუდამ რაღაც რჩებათ.

* * *

ოთხი წლის ბიჭუნას დასაძინებლად აწვენენ:

— ღამე მშვიდობისა, შვილიკო, შენ ალბათ უკვე ბაჭიები გესიზმრება?

— არა, ჯერ არა, ჯერ ხომ მხოლოდ რეკლამაა!

* * *

— ალო, მიხო, ეს შენა ხარ?

— ჰო, მე ვარ.

— მიხო, ორსულადა ვარ.

— ბოდიში, ნომერი შეგეშალა.

* * *



პესიმისტი მხოლოდ უსასრულო გვირაბს ხედავს.

ოპტიმისტი — სინათლეს გვირაბის ბოლოს.

რეალისტი — გვირაბს, სინათლესა და მომავალ მატარებელს.

და მხოლოდ მემანქანე ხედავს ლიანდაგებზე წამოსკუპულ სამ ყეყეჩს.

* * *

განქორწინების პროცესზე:

— რა არის თქვენი განქორწინების მიზეზი?

— სხვადასხვა ინტერესები გვაქვს. ჩემს ცოლს კაცები აინტერესებს, მე კი — ქალები.

* * *

— ექიმო, დამეხმარეთ, ჩემი ქმარი სიზმარში ლაპარაკობს.

— მაშინ მაგას დღისით ლაპარაკი დააცადეთ.

* * *

მოსამართლე ქმარს ეკითხება განქორწინების მიზეზს:

— ჩემმა ცოლმა ვირი მიწოდა.

— მერე რა მოხდა, ნუთუ ისე გეწყინათ, რომ განქორწინებაც კი მოგინდათ?

— მაგრამ თქვენ ხომ არ იცით, ეს როგორ მოხდა. მე ცოლს საყვარელთან საწოლში წავასწარი. როგორც ზრდილობიანი კაცი, სამზარეულოში გავედი და ვახშმის მომზადება დავიწყე. ცოლი კი მეძახის: ეი, ვირო, მოდი, ნახე მაინც, ეს როგორ კეთდებაო.

ლარის კურსი

**30 აგვისტოდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3101 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7420 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2343 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0651 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9739 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4384 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,5155 ლარი. |

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში" 98-96-32; 899 328576

კადრი



ჯემალ კასრაძის ფოტო

ინფორმაცია

## რადიო „ჰერეთმა" ახალი სამაუწყებლო სეზონი დაიწყო

**რადიო „ჰერეთმა" თავის დაბადების დღეს, 29 აგვისტოს ახალი სამაუწყებლო სეზონი დაიწყო. რადიოსადგურის საეთერო ბადეში ახალი ამბები და განახლებული გადაცემები განთავსდება.**

3 სექტემბრიდან ეთერში დაბრუნდება საინფორმაციო ანალიტიკური პროგრამა „მთელი კვირა", რომელმაც ივნისში შეწყვიტა ეთერში გასვლა. „მთელი კვირა" მოკლე დროში სხვადასხვა გამოკითხვების თანახმად, საკმაოდ მაღალრეიტინგული აღმოჩნდა. მას „ჰერეთის" კორესპონდენტებთან ერთად გიორგი ალადაშვილი გაუძღვება. „მთელი კვირა" ეთერში ყოველ კვირას 19 საათზე გავა.



გარდა იმისა, რომ გადაცემა ორიენტირებული იყო განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესების გაშუქებასა და გამჭვირვალობაზე, გადაცემის მომზადებაში „ჰერეთის" „მოხალისეებიც" მონაწილეობდნენ.

„მთელი კვირა" აქტიურად აშუქებდა კახეთის რეგიონში მიმდინარე პროცესებს და საზოგადოების პრობლემებსა თუ ჩინოვნიკების უკანონო ქმედებებზე ხმამაღლა საუბრობდა.

„ვამაყობთ, რომ ეს იქნება კახეთის რეგიონიდან პირველი დამოუკიდებელი საინფორმაციო წყარო ინტერნეტში, რადგან როგორც ასეთი აქამდე კახეთის რეგიონიდან ინფორმაცია ინტერნეტში არ იყო" — აცხადებს „ჰერეთის" დირექტორი რამაზ სამხარაძე.

მედიანიუსი

კრიმინალი

## ძებნილი საქართველოში შემოსვლას ცდილობდა

28 აგვისტოს რეგიონული სამმართველო ლაგოდეხის სასაზღვრო სამიგრაციო კონტროლის განყოფილება „ცოდნაში", სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის გავლის დროს, მესაზღვრეებმა დააკავეს შსს-ს მიერ ძებნილი საქართველოს მოქალაქე, რომელიც საქართველოში შემოსვლას ცდილობდა.

დამნაშავე შემდგომი რეაგირებისათვის შსს-ს ქ. ლაგოდეხის განყოფილებას გადაეცა.

## ვერსად დაიმალებით!



რეგიონული სამმართველო „ბათუმის" სასაზღვრო სამიგრაციო კონტროლის განყოფილება „სარფში", სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის გავლის დროს, მესაზღვრეებმა შსს-ს მიერ ძებნილი საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს.

ისინი შემდგომი რეაგირებისათვის შსს-ს აჭარის მთავარ სამმართველოს გადაეცა.

მედიანიუსი

დარია თუ ავდარია

## ამინდი 30 აგვისტოს

**დასავლეთ საქართველოში** — მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით +31⁰ – +35⁰, ღამით +25⁰ – +28⁰.

**აღმოსავლეთ საქართველოში** — მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით +32⁰ – +36⁰, ღამით +26⁰ – +28⁰.



**თბილისში** — მცირე მოღრუბლულობა. ჰაერის ტემპერატურა: ღამით +29⁰, დღისით +36⁰.

**ბათუმი** — ღ. +28⁰, დ. +35⁰; **სოხუმი** — ღ. +26⁰, დ. +34⁰; **ქუთაისი** — ღ. +27⁰, დ. +35⁰, **ოზურგეთი** — ღ. +26⁰, დ. +35⁰, **ზესტაფონი** — ღ. +28⁰, დ. +34⁰; **რუსთავი** — ღ. +29⁰, დ. +36⁰, **ფოთი** — ღ. +26⁰, დ. +34⁰; **მესტია** — ღ. +14⁰, დ. +23⁰; **სტეფანწმინდა** — ღ. +15⁰, დ. +21⁰; **თელავი** — ღ. +28⁰, დ. +35⁰; **გორი** — ღ. +26⁰, დ. +34⁰; **ახალციხე** — ღ. +21⁰ დ. +34⁰; **ბორჯომი** — ღ. +27⁰, დ. +35⁰; **ცხინვალი** — ღ. +19⁰, დ. +32⁰; **სამტრედია** — ღ. +27⁰, დ. +35⁰; **ზუგდიდი** — ღ. +28⁰, დ. +36⁰; **ჭიათურა** — ღ. +24⁰, დ. +35⁰.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები

გამომცემელი — შპს „ახალი საუკუნე"
მ. კოსტავას 14
ტ: 899 537616

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი სპარტაკ ქოზულია

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აწყობილი 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.